შედარებით ანალიზიდან ჩანს, რომ განსაკუთრებული კულტურული კონტექსტი - ქართული კულტურა და მასში არქიტექტურული დასავლური და აღმოსავლური კულტურები, თბილისსაც ახასიათებს და ანიჭებს მას გამორჩეულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვითმყოფადობას. ისტორიული თბილისი ნამდვილად მრავალკულტურული ერთობაა, რომელიც სხვადასხვა კულტურების ხალხთან შემოქმედებითი და ინოვაციური შერწყმის შედეგად წარმოიშვა და შეეთვისა ძლიერ კულტურულ და ისტორიულ თვითმყოფადობას. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ასეთი კულტურული მემკვიდრეობა ცუდ ფიზიკურ მდგომარეობაშია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი სხვა, მსგავს პირობებში მყოფი ქალაქი უკეთეს მდგომარეობაში ვერ იქნებოდა.

ICOMOS-ის რეკომენდაციები სამრეწველო ღონისძიებებისთვის

ICOMOS-ი აღიარებს თბილისის "გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას", მაგრამ მოუწოდებს წევრ ქვეყანას, გააძლიეროს ისტორიული ქალაქის დასაცავად წამოწყებული ძალისხმევა და შექმნას ისტორიული ქალაქის სათანადო კონსერვაციისა და მასში ცვლილებების კონტროლისათვის აუცილებელი დაგეგმვის მექანიზმები, როგორც გარდაუვალი პირობა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მის შესატანად. ICOMOS-ი ასევე მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, მთელი ძალისხმევით დაეხმაროს ქვეყანას ამ მნიშვნელოვან საქმიანობაში.

ICOMOS-ის რეკომენდაციები

ძველის შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში გადავადდეს, რათა შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო გარემო, მართვის სტრუქტურა და ძველის რეაბილიტაციის, რესტავრაციის და ნომინირებულ არეალში ცვლილებებზე კონტროლის დაწესებისათვის აუცილებელი სახელმძღვანელო პრინციპები.

ღირებულებები:

"ჩემი თბილისი სადღაც გაქრა..."

ღირებულებები - ცნობილი და გამორჩეულ ქართველ მხატვარს, იების გამყიდველს, „კლასიკოსებს“, „გაზაფხულის დილას“, შესანიშნავი პორტრეტების ავტორს თავის დროზე თამაზ ჭილაძემ „თბილისის პოეტი“ უწოდა. ნაცნობი თუ უცნობი ნამუშევრებით სავსე მის სახელსონში ყველაზე კარგად გრძობს, თუ რას გულისხმობდა ეს სიტყვები. კედლიდან ჩვენი ქალაქის მკვიდრი შემოგვეყურებენ - თბილისის ქუჩებში მოსიარულე ქალიშვილები, მესაათე, ხარაზი; აქვია რამდენიმე ჩინებული სურათი, რომლებზეც თბილისური, ავნიანი სახლებია აღბეჭდილი. სამწუხაროდ, დღეს ეს სახლები აღარ არსებობს; ისევე, როგორც აღარ არსებობს ჩვენი ქალაქის ბევრი მშვენიერი ადგილი, ჩვენს ბავშვობასთან თუ სიმწვანეილესთან დაკავშირებული სახლები, რომლებზეც გადმოცემებოდა შემოგვრჩენია.

- კარგა ხანია, თანდათანობით მეცვლება გრძობები თბილისის მიმართ, - გვეუბნება ბატონი დიმიტრი, - არადა, ყოველთვის შეყვარებული ვიყავი ამ ქალაქზე. იშვიათად ემოგზაურობდი, რადგან ყოველთვის მიჭირდა აქაურობასთან განშორება. ერთხელ საფრანგეთში ვიყავი ექვსი თვით. ოთარ იოსელიანთან ვმუშაობდი ფილმზე „მთვარის ფაგორიტები“. იქ ყოფნის მეოთხე-მეხუთე თვეს საშინელი ნოსტალგია დამემართა - ფიზიკურად გავხდი ავად, გული ამტკივდა... ყოველთვის მიმანდა, რომ თბილისელები ქვეყნად ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი, კეთილი ხალხია.

- თქვენი სურათების პერსონაჟებიც, ძირითადად, ამ ქალაქის მკვიდრი არიან.

- დიას... ერთხელ, ჰერმან ჰესე-სადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, ავერინცივება, რომელიც თბილისში პირველად იყო, თქვა, თქვენს ძველ უბნებში თვალნათლივ დავინახე, რომ ქალაქი ხალხის გარეშე მკვდარია; აქაურობის სახეს ადამიანები ქმნიან, ეზოებში რომ სხედან, საუბრობენ, იცინიანო. მართლაც, ეს ქალაქი ხალხთან ერთად უნდა აღიქვას. განსაკუთრებით, ძველი უბნები. მე ასეთი მიყვარდა ჩემი ქალაქი, ასე ვხატავდი. სულ ხუთ-ექვსი ნამუშევარზე მაქვს აღბეჭდილი სახლები და არც ერთი მათგანი აღარ არსებობს. მე თბილისის მკვიდრთ ვხატავდი. ამას მარტივი მიზეზი აქვს - რასაც ან ვისაც ვხატავ, ის ძალიან უნდა მიყვარდეს. ცივი გულით და ხელით მუშაობა არ გამოდის. ხშირად გზავდი თბილისში მოსიარულე გოგონებს. ძალიან მიყვარდა, მომწონდა მათი სიარულის მანერა, პლასტიკა. საოცარია - სიარულის მანერა ყოველ ხუთ-ექვსი წელიწადში ერთხელ იცვლებოდა...

- როგორც ვიცო, თქვენც ძველ უბანში გაიზარდეთ.

- დიას, სოლოლაკში, განოვსკაის ქუჩაზე, ახლა ტაბიძე რომ ჰქვია. წამდვილ თბილისურ, მაღალჭერიან, სქელკედლებიან, ფართორაფებიან ბინაში, სადაც ორმოცდაათი წელიწადი გავატარე. იმ ბინას მხოლოდ იმიტომ შეველოე, რომ ბნელი იყო და მუშაობა მიჭირდა. სახელმწიფოს ჩავაბარე და თხოუმეტი წელია, ველოდები ბინას, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის გვერდით შენდება. სოლოლაკში ვეღარ შევდივარ, ისე მტკივა გული...

- პო, ძნელია, როცა ხედავ, რომ ქალაქი შენს თვალწინ ნადგურდება და გრძობს, რომ უმწეო ხარ, ვერაფერს შეეღი ამ საქმეს.

- ხანდახან მგონია, რომ უკვე დიდი ხანია, მიზანმიმართულად ხორციელდება თბილისის მოსპობის გეგმა... ახლა მახსენდება ელენე ახვლედიანის სხოვნისადმი მიძღვნილი არაჩვეულებრივი საღამო მარჯანიშვილის თეატრში. საღამო ცხონებულმა სოსო ჩხაიძემ დადგა. ეკრანზე ფოტოებს აჩვენებდნენ. მერე გა-

ვიცე, უმეტესობა სააკოვის გადაღებული ყოფილა. ფოტოებზე აღბეჭდილი იყო, როგორ ანგრევდნენ რიყეს და ელენე ახვლედიანი როგორი სასონარკვეთით, როგორ ისტერიული სისწრაფით ხატავდა იმ სახლებს, მის თვალწინ ნაცარტუტად რომ აქცევდნენ. ეს იყო ტრაგიკული, თითქმის ფელისიუსული კადრები. დიდი მხატვარი, რომელიც მთელი სიცოცხლე თავის ქალაქს ხატავდა, უყურებდა, როგორ უნგრევდნენ ამ უსაყვარლეს ქალაქს და ცდილობდა, მოესწრო, როგორმე ჩანახატებით მაინც გადაერჩინა ეს სახლები სამუდამო დავინყებისგან. სხვათა შორის, ეს სწორედ იმ კაცის "დამსახურება" იყო, ვისაც დღეს ზარ-ზეიმით უხდიან ობოლებს და რომელმაც, ნებით თუ უნებლით, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა თბილისს. მაშინ გიორგი შენგელიამ თქვა, ძველ დროზე ფილმის გადაღება რომ მოგვიჩვენებ, მაღე საამისოდ ერთი ქუჩაც აღარ დავგრჩებო. საუბედუროდ, სწორედ ასე ხდება.

რიყის დანგრევას მოჰყვა უამრავი გამოუსწორებელი, დაუმუშაველი ცვლილება. ჩვენს თვალწინ ნახევარი ჩამოაჭრეს შელიქ კახარიანცის სახლი. რესპუბლიკის მოედანი რომ გაკეთდა, ქალაქში მწარედ ხუმრობდნენ, ეს მსოფლიოში ერთადერთი მოედანია, საიდანაც გადავარდნა შეიძლებაო. აღარაფერს ვამბობ "ივერიანზე". ერთხელ, ლადო ალექსი-მესხიშვილთან, ვნახე ფრანგული ჟურნალი არქიტექტურაზე და იქ ნა-ვიკითხე, რომ მსოფლიოში დამკვიდრებული ელემენტარული წესია: მდინარით გაყოფილ ქალაქში არ შეიძლება, მაღალსართულიანი სახლი აშენდეს მდინარის ახლოს. განა ჩვენმა არქიტექტორებმა არ იციან ეს წესები, მაგრამ ამგვარ ლაფსებში დამნაშავე ყოველთვის არის ვინმე ხელისუფალი, ერთი პიროვნება, რომელიც, საუბედუროდ, უფლებამოსილია, გადაწყვიტოს ეს საკითხები. ამგვარი სამწუხარო ფაქტები დიდ ქალაქებშიც ხდება. პარიზში ექვსი წელი მიმდინარეობდა მსჯელობა, უნდა დანგრეულიყო თუ არა "პარიზის სტომაქი" - უზმარზარი ბაზარი ძველისძველი შენობები-თა და მიწისქვეშა კომპლექსით, რომელიც ემილ ზოლას აქვს აღწერილი თავის რომანში. ამ საკითხს მაშინდელი პრეზიდენტი ლობიერებდა და ბოლოს, ბაზრის დანგრევა გადაწყდა. მას მერე ბევრი დრო გავიდა, მაგრამ პარიზელებმა ვერა და ვერ ახატეს იმ პრეზიდენტს, დღემდე აძაგებენ "სტომაქის" დანგრევის გამო. სხვათა შორის, მაშინ ერთი საინტერესო ამბავი მოხდარა. ძველი შენობები ერთ ღამეში გადაიტანეს ქალაქგარეთ, მეორე დღეს ამ შენობების ქვეშ დაბუდებული ვირთხები მათ კვალს დაადგნენ, მთელი ქალაქი გადაიარეს, და ბოლოს, თავიანთი სახლების ახალ ადგილს მიაღწიეს. მე ნანახი მაქვს ფრანგულ გაზეთებში დაბეჭდილი ფოტოები - ვირთხების ლაშქრის მსვლელობა მთელი პარიზის გავლით, თავიანთი სახლების საძიებლად. ასეა, ცხოველებიც კი ვერ ელევინან თავიანთ შენობებს.

- იქნებ, ქალაქის გარეგნული ცვლილება იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ ადამიანები შეიცვალნენ.

- რასაკვირველია. ადამიანის ჩამოყალიბებაზე და სულიერ მდგომარეობაზე მოქმედებს ის, თუ რა გარემოში ცხოვრობს. დღეს ბავშვები კოლოფებში იზრდებიან. არადა, ლამაზ ქუჩაში სიარული, ლამაზ სახლში ცხოვრება, კვალს აჩვენებს კაცს. ადამიანები გულგრილები გახდნენ, ერთმანეთისა აღარ ესმით. ამას წინათ გაიმართა ბრწყინვალე მხატვრის - რეზო თარხან-მოურავის გამოფენა. გახსნაზე უამრავი ხალხი მოვიდა, საგამოფენო დარბაზში ტევე არ იყო. ომდენიმე დღის მერე შევედი გამოფენაზე და სრულიად ცარიელი დარბაზი დამხვდა. ადამიანებმა დაკარგეს ინტერესი, ხალხის, სიითო.


ადრე ქუჩაში გასვლა მენატრებოდა, ახლა მეზარება. ალბათ იმის ბრალია, რომ ქუჩები შეიცვალა. რუსთაველის გამზირსაც კი ვეღარ იცნობ. მე განსაკუთრებით მწყდება გული ბორჯომის მაღაზიაზე, რომელიც ჩვენი თაობის თავმჯდომარე იყო. ძველ ქალაქში ვეღარ გავიდი... მაგრა არ შეიძლება, არც ვეღარ შეიძლება, რომ ძველი არ დავანეროთ და ჩვენი უბნები დავინეროთ. ახლა უბნებში ხდება, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ ბოტანიკურ ბაღთან წამოჭრილი ურჩხულის გამო მათ გადაჭრეს. ამგვარ სიმბინჯებზე უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მხოლოდ სიტყვებად რჩება.



ეს სახლი ჰუმიანისა და ვარსხლის ქაიხაის კართან იდგა.



გაზაფხულის დილა (ფრაგმენტი)



მეტხის ადამიანები ამ სახლის პირველი სართულია შიშორა, სადაც სპინდორაის მაღაზია გახსნა.

ბოდა, ახლა მეზარება. ალბათ იმის ბრალია, რომ ქუჩები შეიცვალა. რუსთაველის გამზირსაც კი ვეღარ იცნობ. მე განსაკუთრებით მწყდება გული ბორჯომის მაღაზიაზე, რომელიც ჩვენი თაობის თავმჯდომარე იყო. ძველ ქალაქში ვეღარ გავიდი... მაგრა არ შეიძლება, არც ვეღარ შეიძლება, რომ ძველი არ დავანეროთ და ჩვენი უბნები დავინეროთ. ახლა უბნებში ხდება, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ ბოტანიკურ ბაღთან წამოჭრილი ურჩხულის გამო მათ გადაჭრეს. ამგვარ სიმბინჯებზე უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მხოლოდ სიტყვებად რჩება.


- ახლანა მინისძვრით დაზიანებული სახლებიც პრობლემა იქცა. კაცმა არ იცის, რა მოელის სოლოლაკს და მთაწმინდას.

- ძველ ქალაქში ახალი მშენებლობა არქიტექტორების ხელშია. თბილისის ომის შემდეგ მტკიცედ გვერდებოდნენ, რომ თავისუფლების მოედანი პირვანდელი სახით აღდგებოდა, მაგრამ დღეს ხომ ხედავთ, იქაურობა რას დაემსგავსა. ეს სახლები ახალ უბანში შეიძლება ძალიან კარგი იყოს, მაგრამ იმ ადგილის, ისეთ გარემოში, ამგვარი მშენებლობები აღმამოფრთხილებია, დანაშაულია. რაც შეეხება მინისძვრით დაზიანებულ სახლებს, ჩემი აზრით, აუცილებელია, შეიქმნას კარგ არქიტექტორთა კომისია; ეს ძნელი არ იქნება, რადგან გვყავს უამრავი ნიჭიერი არქიტექტორი, რომელიც დღეს დაუსაქმებელია. ამ კომისიის წევრები უნდა იყვნენ თბილისელები, რადგან აუცილებელია, იმ საკითხზე იმუშაოს ხალხმა, ვისაც თავდავინყებით უყვარს თავისი ქალაქი, უყვარს ის უბნები, სადაც ბავშვობა აქვს გატარებული; განსაკუთრებულად უყვარს თითოეული სახლი, თავისი ფასადებით, ეზოებით, ადამიანებით უყვარს ეს სახლები. ასეთი ადამიანები არსადღეს არ ნაველენ გარეგნულად თავიანთი ქალაქის საზიანოდ. უნდა შეიქმნას რამდენიმე სტანდარტი იმ სახლებისა, რომლებიც თბილისის ძველ ანსამბლებს შეერწყება. დღეს ბევრს ვლაპარაკობთ პროფინციალობაზე. პროფინციალიზმი სწორედ ისაა, რომ ახალი ანადგურებს ძველს.

წელან ვთქვი და ვიმეორებ: ქალაქის დანგრევის გეგმა კომუნისტების პერიოდთან მოდის, და ამგვარ ნამონწყობს ყოველთვის აგრესიული მდაბიობე უდგანან სათავეში. კონკურსებიც კი ცხადდებოდა - მონსტრებს შორის და იმარჯვებდა ყველაზე საშინელი მონსტრი.

ამიტომაცაა, რომ გარეთ გასვლა აღარ მიწდა. ძველი უბნებისკენ აღარ ვიხედები. ჩემი თბილისი სადაც გაქრა, დაიკარგა. ყველაფერზე ჩაქვული მაქვს ხელი... ამის საფუძველს ის დამანგრეველი პროცესები მაძლევს, რაც ჩვენს გარემოში ხდება. ერთადერთი იმედი ისღაა, რომ როცა პოლიტიკური სიტუაცია შეიცვლება, იქნებ, მაინც იმძლეა-როს ჩვენმა გენეტიკურმა ფონდმა, იქნებ, რაღაცის აღდგენა მაშინ მაინც მოხერხდეს. უახლოეს მომავალში კი ნათელ სხვის ვერ ვხედავ...

პერსონაჟები რომანისთვის



"პერსონაჟები რომანისთვის" - ასე უკეთა ამ ნახატს და მისი ავტორი, ვახტანგ რურუა თითქოს ავულონებს კალამს შეჭიდებულ მთხველებს - აჰა, თქვენ გმირთა გალერეა და თუ ბიჭები ხართ, გამოიყვანეთ თითოეული მათგანი სტატიკური მდგომარეობიდან, დააშორეთ და კვლავ შეახვედრეთ ერთმანეთს, გადატანით განსაცდელები, გამოატარეთ ომებისა და რეკლუციების ქარტეხილები, მოგვარეთ სიხარულები და ტკივილები, მინიჭეთ უნარი უყვარდეთ, სძულდეთ, ყოყმანობდნენ, სწამდეთ... ააშვებინეთ ცაში წითელი ბუშტი პაპის კალთასთან მდგარ ბიჭუნას...

ეს ნახატი გახლავთ სავიზიტო ბარათი, გნებავთ სიმბოლო მომავალი რუბრიკისა, სადაც სიძველისგან გაყვითლებული ფოტოები გამოქვეყნდება. ამ ფოტოებზე აღბეჭდილი იქნებიან რეალური ადამიანები - რეალური პერსონაჟები ყველაზე ჯადოსნური რომანისა, რომელსაც ცხოვრება უკეთა სახელად.

ქალაქური პოეზია

გიორგი მირზაპვილი

*
თეთრი ტილო, თეთრი ლამბაქი, თეთრი ლიმონი, თეთრი სახე. შავი სტრიქონი. რვალის მხედარი რესპუბლიკის მოედანზე.
ანდროპოვის ყურებთან
ჰყიდონ გაზეთებს,
სიგარეტს, სასმელს გამაგრილებელს.
შადრევანი, აუზი,
დევენილი ბავშვები
ბანაობენ.
"აბა მამი ზღვა?"
ლარი მაქვს ვალი
კავსაძის კუთხეში.
უტიფრად დაპქრინ
თავხედი მძლოლები
ქალაქის ქუჩებში.

თეთრი კედელი, თეთრი წარწერა, თეთრი ნიორი,
თეთრი არაყი. ლურჯი საღამო. "მზეჭაბუკი".
სპორტის სასახლე
"აჭარა"

დახლები
ჰყიდონ წიგნებს,
ჟურნალებს, მწვანის,
ჩურჩხვლებს, ასკილს.
ღვინის სარდაფი.
დახლთან - სამხედრო
კათხაში - ღვინო,
ყველი, წინმატი,
შემწვარი თევზი,
კამათლის რაკუნი.
ძველი ელსენი
ძველი ამქრები.
ლუდი, ღვინო.

თეთრი დუქანი, თეთრი დილა, თეთრი საყდარი,
თეთრი ხალაო.
შავი მუშამბა. "ლურჯა ცხენები", "გოგონა ბუმბით",
ინტეგრალები.
ნიკალას მზერა, ტაბიძის პალტო, "გემო", "ჟირაფი"
"ალაზნის ველი", "მთაწმინდის მთვარე"; პორტფელი,
"მერი",
"გემი "დალანდი", ქვიფი ტივზე, "ექიმი ვირზე",
მურწა, არღანი, "რაც უფრო შორს ხარ",
"სილაში ვარდი".

*
ფირნიში "ავტოსკოლა". დები იშხნელები.
ფინჟლავს. ასფალტი. ბაზრობა - ტლაპო.
ნახმარი "ფორდი" - ტაქსი - კატაფალკი.
"დინამოს" სტადიონი. თურქული პროდუქცია.
რიგი საელჩოსთან. რუხი "გოსკინპრომი".
მთელი პლენიანი მყუდრო უბანია.
ფოსტამტი. კედლები, ჭიშკრები, თაღები.
ფანჯრები. სკვერები, მიღები, სარკმლები.
ზარი ლიუბეკიდან. "ზარი ახლობელთან"...
"მინი მარკეტი", ძველი სოლოლაკი,
"ბოლნისის" წარწერა, რამაზ პატარიძე.

ქარვასლა, სიონი, აბანოები.
დღეა მაგნიტური, ღამე მთვარიანი.
კადრი მკვეთრია ნიბახას ობიექტივში.
შარდენის ქუჩაზე ფილები აყრილია.
ტიხრული მინანქარი, ოქრომჭედლები.

ფარდაგი, ქაცვი, ტემპერა, მუყაო
ჩუბიკა - თენგიზ მირზაპვილი.
საყდარი, ნახირი, ყაყაო ზამთარში.
"სიმღერა პაავათაზე", გრიმების ზღაპრები.

ცხვარი, ქართლი, თუმეტი, სვანეთი.
"საღამო ხანის ჩანანერები".

მანანა თავაძე - აპლიკაცია.
ქალები, ბოთლები. დროშები, ჭიქები,
მძივები, ბეჭდები, სამაჯურები,
ნიგვის ნამცხვარი, ბროწეულები,
მსხლები, ბუ, აღმოსავლური მოტივი.

თონე. რკინიგზა. მტკვრი. ქარხანა.
ბუფეტი სკოლის, დაფა, მერხები.
ზურგანათა, ზარი, მასტიკა, ნახერხი,
სამელენ, დლიური, მატალო, რვეული.
მშობელთა კრება, მშობელთა აქტივი.
სხდომა პარლამენტის. კიტრი, პამიდორი,
ქინძი, რეპანი, ძმარი და ზეთი.
სვანური მარლი, ხახვი, ნიორი.
სპორტის ამბები, მატჩი ფეხბურთის,
პირდაპირ ეთერში - "რუსთავი 2"-ია.
"რას ფიქრობს ხალხი?". კინოანონსი
"რემბო და ვერლენი", "ქეთო და კოტე".
"დაისი", "აიდა", მილოშ ფორმანი.
"რადიო 106". უაზრო ბგერები.
ამინდის პროგნოზი: იქროლებს ქარი...

ქალაქური პროზა

III თავი

არა, მაინც როგორ ახერხებდა ეს ჯველი ამდენს? გასალახი იყო. გასალახი კი არა, სხვაგან სულ სხვანაირად აუნევედნენ ყურებს, სულ დაუნითლებდნენ. კიდევ უფრო სხვაგან იმ ყურებს საერთოდაც დააჭირდნენ, თოკზე აუხსამდნენ და გულზეც ჩამოკიდებდნენ. ეს ყველაფერი კი იმიტომ არ ხდებოდა, რომ აქ ღონდონია, ინგლისი კანონების მოყვარული ქვეყანაა და პოლიციელებითაა სავსე. იმიტომ კაცს არ გინდა, ისე მოიქციე, როგორც სხვაგან, ანუ როგორც მიჩვეული ხარ. არადა, არ გამოდის, იმიტომ, რომ კაცი, რომელიც იმგვარ რამეებს სჩადის, როგორც ეს გასიებული ახვარი, იმ დროში გაბრუნებს, რომელსაც კარგახანია გამოეჭეცი.

ჩვეულებრივ, ადამიანურ, თუნდაც მკაცრ ლაპარაკზე მხოლოდ გაცინება, რადგან აქ ამას იქეთ მხოლოდ სასამართლო შეიძლება იყოს. ოულდ ბეილი კი სასაცილოა ჩვენთვის, რადგან, ყოველგვარ ოულდ ბეილისა და მისტერ ჯადჯებს ჩვენთვის ფასი არა აქვს, გადახეული ქვითარია, ხინკლის ჩეკია, როგორც ძველად იტყოდნენ. ჩვენთვის მთავარი ტკივილია. სასამართლო კი ტკივილი არ არის. სასამართლო ვერაფერს გატკენს. ამგვარ ჩახლართულ საქმეს ისედაც წლები დასჭირდება, ტკივილი კი ყველაზე კარგი ნაშალია ჩვენთვის. მაგრამ აქ, ამ მხარეში, სადაც გამოიქვცა, დასახლდა, ცხოვრობდა და ცდილობს სამსახურიდან საწვინდობად რაღაც ნაილუღლულო ტელევიზორთან მჯდომმა, თითქოს, ბავშვის მოყვრება მინდობდა, მაგრამ ვერ მოუხსნარია, ეს ჯველი, ეს გასიებული, ყურებაცაბცაბეზული, ყურებადასაჭრელი ნაბოზარი ასეთ ბადებებს გიქსოვს და შენ აღარაფერი შეგერჩენია ხელში, რომ ატკინო. ტკენა ნაშალია. ტკენა ნაშალია ასეთუბისთვის. აქ კი ტკენა ასე პირდაპირ არ გამოდის, არ გამოდის და მორჩა. ვერ ატკენ. ყველაფერზე წამსვლელია. აქ თბილისური არ გავა.

ტკივილი. ტკივილი. მაგრამ, ჰა, არ არის. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ. ჩვენ ასეთები ვართ. მისტერ უილსონს კი უკვირს. სტუმრები ტყავს, დვიდ? ჩემი და ჩამოვიდა... და სიძე. საშობაოდ? არა, ერთი წლით. სასწავლებლად. და შენთან უნდა იცხოვრონ? დახა. შენ ძალიან კეთილი კაცი ხარ დევიდ, მაგრამ როგორ უნდა იცხოვრონ შენთან?

ჩვენ ასე ვცხოვრობთ. მისტერ უილსონი დეტექტივის თანამშენაა. მისი ლურჯი ჩასუქებული მანქანა ხშირად დგას ჩვენი ფანჯრების წინ. იერთი მისტერ უილსონი ჩვენი უფრო ფიზიკის პროფესორს ჰგავს, ტექსტებით - ქალაქელ ბიძას. - დღეს ერთი ვნახე, Georgian. ვუთხარია, ჩემი კარის მეზობელი ქალიშვილიათქო. გაეხარა. მეც ვუთხარია, რუსები ბევრნი ხართ ღონდონში მეთქი, და ეწყინა. ვიცო, რომ გამოყვავი, მაგრამ მაინც რუსებთან ხართ ახლოს-მეთქი. იცი, რა მითხრა? თქვენ მიხედვით ირლანდია-სო. მე თვითონ ირლანდიელი ვარ და ირლანდიას როგორ მიხედო-მეთქი. მოვატყუე. რას არჩევს ეგერ ჩამოსული ირლანდიელს და უელსელს? ...

რომანის გაგრძელება. დასაწყისი იხ. "ქიმაგი" NN9-10, 2002

დევიდ, შენი სიძე მადანა? კარგი ჭამის მოყვარე ჩანს. ღონდონი დევიდ, რომ გაგაჩერე, ჩემს ცოლს სულ ძინავს და... - ალბათ მიხვდით, რომ დევიდს მეძახის. მე და ხათუნამ სულ ზურგით ვართოთ ყველაფერი და რაღაც მოვართოთ. პირველად რომ შევედი ლექციაზე, მიხვდით, რომ მოსმენას აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ არაფერი მესმის. ათი წლის წინათ იყო. მე ბრიტანეთის მოქალაქე ვარ. მე სიტყვი ვმუშაობ. მე ექვს საათზე ვიღვიძებ, სახლში კი საღამოს რვაზე ვბრუნდები. მე აღარ ვენევი და სამსახურში მებრტოთი დადივარ. მე ყოველ დღით ვიპარსავ წვერს და კოს-

კაკ მორილაძე

ძირს სიზინდის რესპუბლიკა!

ტუმს ვიცემე. ჩემი მანქანით ხათუნა დადის. მე თრეჩნე ნერვები არ მყოფნის. ჩვენს შვილს ალექსანდრე ჰქვია და ოთხი წლისაა. ჩვენ ჰამერს-მიტზე ვცხოვრობთ, ველთაჯე როუდზე, გეგ რავენსკორტის პარკის წინ. ჩვენ თუ-ბედრუმი გვაქვს მესამე სართულზე. ეს ბინა ჩვენია. ჩვენ გვიყვარს ღონდონი. ჩვენ ვებრტოთ ღონდონს და ახლა სათრევი ტომრები ისე მძიმე აღარ არის. ხათუნა არ მუშაობს. სკოლაში და პარკში დაატრებებს ალექსს. ალექსი კერძო სკოლაში დადის და ინგლისურად და ქართულად ერთნაირად ლაპარაკობს. ალექსმა ძილში წამოყვირება იცის. ჩვენ კარგად ვართ. ალბათ, ბედნიერებიც ვიქნებით. ჩვენ ვცხოვრობთ.

და ამ დროს ჩემი და სიძე ჩამოდიან. ვიცი, რატომაც ჩამოდიან. პრობლემა აქეთ. უნდა ჩამოვიდნენ. მეორე საწოლი ოთახი მათი იქნება. ალექსი ჩვენთან დაიძინებს. ჩემს დას თამუნა ჰქვია, ჩემს სიძეს ზაზა. ჩემი და ჩუშია, უთქმელი, ამბინა და მისი გული ამდენ დარდს და ბოლმას ვეღარ დაიტევს. ჩემი სიძე მსუქანია, ვარდისფერი და ეშმაკი. მას კარგი სამსახური ჰქონდა. მიატოვა და ჩამოვიდნენ. ჩემს სიძეს აქ სწავლა უნდა, ცხრათვიანი კურსია. დღი ეკონომისტი გამოვა. ისედაც კარგი ეკონომისტი. მაგრამ ასეთი. ეს მათი ბოლო შანსია. ორი წლის წინათ ჩემი სიძე გოგოს გადაეკიდა. გადაეკიდა კი არა, მუყუყვარდა. ალბათ, მუყუყვარდა, მე იქ არ ვყოფილვარ. როცა მართან გაუსკდა, დაჰკრა ფეხი და როგორც წესია, მასთან წავიდა. მეცე მოულოდნელად დაბრუნდა, ჩემს დას ემუდარა და იძახა, რომ უმისოდ არ შეუძლია. ჩემი და არ ენდო. მაშინ ჩემმა სიძემ ამოთქვა, წავიდეთ, გადავიკარგოთ, ყველაფერს დავთმო-ბო. დათოსთან და ხათუნასთან წავიდეთ, სამსახურსა მივატოვებ, მთელს ჩვენს ფულს ამ საქმეს მოვახმარ, ცოტასაც ვისესხებ, ცოტასაც მამამ ჩემი მოვეცემს, ღონდონში ვისწავლი, სამსახურს ვიშოვი და ვიცხოვრებო. ყველაფერი კი იმიტომ, რომ ჩემი დის გარეშე არ შეუძლია. ჩემს დას ჰგონია, რომ ამქვეყნად ერთადერთი მამაკაცი არსებობს, ეს ვარდისფერი, ყურებდნამოჭრხლებული ჯველი. ჩემი და ხომ ყოველდღე

კვებობდა მისი წასვლის შემდეგ. ჩემმა დამ ჩაალაგა. ჩემმა სიძემ კოლეჯის მინევეა მიიღო. ისინი ჩვენთან ჩამოვიდნენ. ჩემი სიძე ინგლისური ენის შესწავლას დაეწყო, advanced კატეგორიაში გავიდა, ჩემი და კი სახლში ზის. მე არ მჯერა ჩემი სიძის, არც არასოდეს მჯეროდა. ძალიან ვარდისფერია იმისთვის, რომ პირდაპირ დაუჯერო. ასე არ გამოდის, თვითონ - სწავლა და ინგლისური, ჩემი და - სახლში. ჩემმა დამაც ხომ ამ ქვეყანაში უნდა იცხოვროს. მოვიდივარ საღამოს, არის ჩუმად. ეფუხნები შუარჩევი კოლეჯი, იარე ინგლისურზე. თურმე ჩემს სიძეს არ უნდა. მარტო იმან უნ-

ძირს სიზინდის რესპუბლიკა!

და იცხოვროს და იმუშავოს აქ? ჩემს სიძეს ლუდი მოაქვს საღამოობით. მე მთვლებარე, წაბლს ვწვავ სამზარეულოში. ჩვენ ოთხნი ბუხარითან ვსხედვართ. ხათუნას შემე უყვიდა. ჩემს სიძეს არ უნდა, რომ ჩემმა დამ ინგლისურზე იაროს, რადგან იმ სკოლაში მოუწევს სიარული, რომელიც კი-ნოდან არის ეს ფრზა, ქართული კი-ნოდან. ხათუნა მისმენს და მეც ვამჩნევ, როგორ აკვირდება ზაზას. ზაზა კარგ ხასიათზეა, ყველა სად გამოვარ და ველოდები, თითქმის ვიცი, რასაც გაიგებენ. ამიტომ არ ვრეკავ მთელი ათი დღე. არა, კიდევ ხუთი დღე. აი, როგორი მზინია დილაა. პარკში გადასვლა შეიძლება. საერთოდაც, რომელიმე ყვავილს ვიყიდი თავისი ქოთნით და აქ, სამზარეულოს ფანჯარაზე დავდგამ. რა უცნაური ფანჯარებია და კიდევ უფრო უცნაური რაფები. ჩვენთან ოცი კაეტული ეტევა ერთი ფანჯრის რაფაზე, აქ კი, ერთიც არა...

ეხლა ხათუნა მოიცლის, დავჯედები და ყველაფერს ვეტყვი. სხვანაირად არ გამოვა. გული გამისკდება, ვინმეს რომ არ ვუთხრა. ეკას ველავუთვალო, საეჭვოს ვერაფერს უპოვებ. ნეტავ, როდის მიძებნია. მაგრამ ამან უფრო დამაბეჭდა.

ეს ფულის საქმეც, როგორღაც ჩემთვის ძალიან ხილულად მოაწყო. თორმეტი თასი დილარი ჩამოიგებინეთ, რაც იმდღესვე გადაახრდავა ფუნტებზე და ხათუნას ახალგახსნილ ანგარშიზე დადო. აქ უცხოელებს ასე გახსნილი ანგარშიები არ უყვართ. მე ამ საბანკო ამბებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ასე მითხრა, რომ ორიათასი ფუნტი მოძრავი იქნება, ოთხიათასი კი ერთი წლით შეინახება და რაღაც პროცენტი დაემატება. ხათუნამ ბარათი შეაძლია, მაგრამ ზაზამ იუარა, დაამჭირდება და შენ და თამუნამ გამოიტანეთ ხოლმეო. ამა-ნაც დამაბეჭდა. ფულზე ლაპარაკისას სულ ცახცახი უფარდებოდა ხოლმე. მაგრამ აი, სხვანაირი გავხდით. როგორც ხათუნა ამბობს, last chance და მეც, მე მიჭირს როცა არ არის, როცა არ იყო. როცა არის მაგინყდება და ვერთობი. ისეთი თბილია, ისეთი საყვარელია, ისეთი უცნაურად ფუმიფულია, როცა მარტოები ვართ... აქ მოდამი ყოფილა, რომ მოხერხებულე წყვილები თავიანთი თავულობისთვის სასტუმროს უბრუნდებიან. ან-ნა, ნაჩხუბარი ცოლ-ქმარი სადღაც მიყრუებულ ადგილას მიმეზაფერება და მარტოობით ცდილობს რაღაცის

II თავი

ალექსანდრეს ოთხის თხუთმეტ წუთზე უმთავრდება სკოლა. ოთხი წლისაა და სკოლაში დადის. იქ სიმღერებს ასწავლიან და ზღაპრებს

უამბობენ, სკოლის დირექტორი, თითქმის ორმეტრიანი, სათვალისანი კაცი კარებში დგას და ყველა ბავშვს ხითხითითა და თავის დაკვრით ესალმება. კაი გრძელი ცხვირი აქვს და როცა თავს უკრავს ხოლმე ბავშვებს, მემუნი ვინმეს თვალში არ ატაკოს ეს თავისი ცხვირი. ღამის იატაკამდე უკრავს თავს. წიგნებიდან გადმოსულ კაცს ჰგავს. ჩვენ რომ შვილი გვყოლოდა, ეგებ სულ სხვანაირად ყოფილიყო ყველაფერი.

ჩემი ბრალი არ არის. თითქოს აქ მაინც უნდა გასინჯულიყო, თითქოს აქ მაინც უნდა ემკურნალა. იქ ამბობდა, ხო იცი, საქართველოა და მიტყდებაო. აი, ჩავლდ და მიხვდებო. რამდენს ვლოცულობდი, რომ ემკურნალა და ახლაც რამდენს ვლოცულობ.

დავდივართ მე და ხათუნა. სულ ვუყვები და ვუყვები. მოვლენ დათო და ზაზა და დათო იტყვის: "გახვედა, მამაო", რომელიღაც კინოდან არის ეს ფრზა, ქართული კი-ნოდან. ხათუნა მისმენს და მეც ვამჩნევ, როგორ აკვირდება ზაზას. ზაზა კარგ ხასიათზეა, ყველა სად გამოვარ და ველოდები, თითქმის ვიცი, რასაც გაიგებენ. ამიტომ არ ვრეკავ მთელი ათი დღე. არა, კიდევ ხუთი დღე. აი, როგორი მზინია დილაა. პარკში გადასვლა შეიძლება. საერთოდაც, რომელიმე ყვავილს ვიყიდი თავისი ქოთნით და აქ, სამზარეულოს ფანჯარაზე დავდგამ. რა უცნაური ფანჯარებია და კიდევ უფრო უცნაური რაფები. ჩვენთან ოცი კაეტული ეტევა ერთი ფანჯრის რაფაზე, აქ კი, ერთიც არა...

ეხლა ხათუნა მოიცლის, დავჯედები და ყველაფერს ვეტყვი. სხვანაირად არ გამოვა. გული გამისკდება, ვინმეს რომ არ ვუთხრა. ეკას ველავუთვალო, საეჭვოს ვერაფერს უპოვებ. ნეტავ, როდის მიძებნია. მაგრამ ამან უფრო დამაბეჭდა.

IV თავი

ეს ფულის საქმეც, როგორღაც ჩემთვის ძალიან ხილულად მოაწყო. თორმეტი თასი დილარი ჩამოიგებინეთ, რაც იმდღესვე გადაახრდავა ფუნტებზე და ხათუნას ახალგახსნილ ანგარშიზე დადო. აქ უცხოელებს ასე გახსნილი ანგარშიები არ უყვართ. მე ამ საბანკო ამბებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ასე მითხრა, რომ ორიათასი ფუნტი მოძრავი იქნება, ოთხიათასი კი ერთი წლით შეინახება და რაღაც პროცენტი დაემატება. ხათუნამ ბარათი შეაძლია, მაგრამ ზაზამ იუარა, დაამჭირდება და შენ და თამუნამ გამოიტანეთ ხოლმეო. ამა-ნაც დამაბეჭდა. ფულზე ლაპარაკისას სულ ცახცახი უფარდებოდა ხოლმე. მაგრამ აი, სხვანაირი გავხდით. როგორც ხათუნა ამბობს, last chance და მეც, მე მიჭირს როცა არ არის, როცა არ იყო. როცა არის მაგინყდება და ვერთობი. ისეთი თბილია, ისეთი საყვარელია, ისეთი უცნაურად ფუმიფულია, როცა მარტოები ვართ... აქ მოდამი ყოფილა, რომ მოხერხებულე წყვილები თავიანთი თავულობისთვის სასტუმროს უბრუნდებიან. ან-ნა, ნაჩხუბარი ცოლ-ქმარი სადღაც მიყრუებულ ადგილას მიმეზაფერება და მარტოობით ცდილობს რაღაცის

გამოსწორებას. ჩვენ არაფერი აგვრევი. გოგობს უთქვამთ ერთი-ორჯერ, ქმრებს ეტყობათ, როცა სხვა ქალს გაიჩენენო. მე არ შემიტყვია. ალბათ, მე სუსტი ვარ მანდ, სიბნელეში, მაგრამ ის ძლიერია. იმდენად ძლიერი, რომ ვერ შეატყობ. ასეთი, როცა ახლოსაა, მაგრამ როცა წავა, როცა წავა, მე ვფიქრობ, რატომაა ასეთი კარგ ხასიათზე? ნუთუ მხოლოდ ეს ფული აქვს?

ხათუნა მხრებს აიჩეჩს ხოლმე. ის კი კარგ ხასიათზეა. მთელი თავისი საქციელით, სიცილით, ფეხებით, ლაპარაკით, უაზრო ანგარიშების ჩაბარებით მატყუებს. ის ხომ ძალიან ჭკვიანია. რა ხდება? რაღაც

მოიფიქრა თავისთვის. აი, ასე და ვეღარ ვართმევ თავს ეტყვებს. და თბილისში ვრეკავ. ხათუნა შინ არ არის, ხუთფუნტიანი ბარათი ადრევე მოვიმარაგე. ვრეკავ და ეკას და თიკოს ვთხოვ, იმ გოგოს ასავალდასავალი დაადგინონ. დაცინეც ეს არის, იმასაც თამუნა ჰქვია. აი, ვზივარ და ველოდები, თითქმის ვიცი, რასაც გაიგებენ. ამიტომ არ ვრეკავ მთელი ათი დღე. არა, კიდევ ხუთი დღე. აი, როგორი მზინია დილაა. პარკში გადასვლა შეიძლება. საერთოდაც, რომელიმე ყვავილს ვიყიდი თავისი ქოთნით და აქ, სამზარეულოს ფანჯარაზე დავდგამ. რა უცნაური ფანჯარებია და კიდევ უფრო უცნაური რაფები. ჩვენთან ოცი კაეტული ეტევა ერთი ფანჯრის რაფაზე, აქ კი, ერთიც არა...

ეხლა ხათუნა მოიცლის, დავჯედები და ყველაფერს ვეტყვი. სხვანაირად არ გამოვა. გული გამისკდება, ვინმეს რომ არ ვუთხრა. ეკას ველავუთვალო, საეჭვოს ვერაფერს უპოვებ. ნეტავ, როდის მიძებნია. მაგრამ ამან უფრო დამაბეჭდა.

IV თავი

ეს ფულის საქმეც, როგორღაც ჩემთვის ძალიან ხილულად მოაწყო. თორმეტი თასი დილარი ჩამოიგებინეთ, რაც იმდღესვე გადაახრდავა ფუნტებზე და ხათუნას ახალგახსნილ ანგარშიზე დადო. აქ უცხოელებს ასე გახსნილი ანგარშიები არ უყვართ. მე ამ საბანკო ამბებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ასე მითხრა, რომ ორიათასი ფუნტი მოძრავი იქნება, ოთხიათასი კი ერთი წლით შეინახება და რაღაც პროცენტი დაემატება. ხათუნამ ბარათი შეაძლია, მაგრამ ზაზამ იუარა, დაამჭირდება და შენ და თამუნამ გამოიტანეთ ხოლმეო. ამა-ნაც დამაბეჭდა. ფულზე ლაპარაკისას სულ ცახცახი უფარდებოდა ხოლმე. მაგრამ აი, სხვანაირი გავხდით. როგორც ხათუნა ამბობს, last chance და მეც, მე მიჭირს როცა არ არის, როცა არ იყო. როცა არის მაგინყდება და ვერთობი. ისეთი თბილია, ისეთი საყვარელია, ისეთი უცნაურად ფუმიფულია, როცა მარტოები ვართ... აქ მოდამი ყოფილა, რომ მოხერხებულე წყვილები თავიანთი თავულობისთვის სასტუმროს უბრუნდებიან. ან-ნა, ნაჩხუბარი ცოლ-ქმარი სადღაც მიყრუებულ ადგილას მიმეზაფერება და მარტოობით ცდილობს რაღაცის

დამით გამეღვიძა. მე ხომ კურდღელივით მძინავს. ჩვენი კარი შეღებულა და დათო არ არის. ვიფიქრე, ცუდად ხომ არ გახდა-მეთქი. ძალიან იღვინა და მოვა თუ არა, იმ-ნამსვე ორ აბ ნუროფენს ყლავებს. თავის ტკივილია, ქრონიკული უკვე მხოლოდ პარასკევ საღამოს არ

სტკივა თავი, იმიტომ, რომ იცის, ხვალ შაბათია. დერეფანში გავედი, საპირფარეოს კარი შევალე და რომ გამოვტრიალდი, ვხედავ, იმათი საწოლის კართან არ აყუდებულა? ტუჩებზე მიიღო თითი... შემოვიედი და დავნექი. მალე შემობრუნდა. მაშინ მიაბმო ყველაფერი.- აქ რაღაც აკეთებდი? არ უპასუხია. ეგებ ლაპარაკს უგდებდა ყურს, ეგებ აინტერესებდა სექსი აქვს თუ არა. თამუნას არ უთხრა.

- ნათერს აქედან, - ნაიბურტყუნა და გადაბრუნდა - ნათერს აქედან. - ეგ შენ უნდა უთხრა. -მე ვეტყვი, აბა ვინ? - მერე თამუნა? - თამუნა... თვეა და მორჩა. ახლა ეს მეუბნება: - მოგკლავ. - სისულელეა. - ამაზე მეტი რა უნდა გიქნას კაცმა? - შენ მოკლავ... და დათო? მე რა ვქნა? - დათო... და გაჩუმდა. ცრელი მაგიდაზე, კოვზი თავულობი.

ვგდები და მივდივარ, ალექსანდრე უნდა მოვუყვანო. - შენც წამოდი. გავიაროთ. კაფეში დავჯდეთ. არ მომიყვება. - მოგკლავ. - ასე ვერ დაგტოვებ მარტოს. - კარგი... არა... არაფერს არ ვუთხარ. კარგი, ვითომ არაფერი. დათო... - მაინც წამოდი. კარგი ამინდია, - მანქანის გასაღებს ვიღებ თაროდან...

შემოვიდვარ. მისი ჩუმი, მღელვარე ხმა მესმის. ტელეფონზე ლაპარაკობს. თბილისში რეკავს. - კარგი, - შევდივარ და ფეხზე დგება. ბუხარითან იჯდა საფარძელში. - ხო მშვიდობაა? - ვეკითხები და ჩანთები ვყრი იატაკზე. - კი, - იღიმება კიდეც. ნაძალადევი, ზუსტად ისე, როგორც გუშინ საღამოს, როცა ის მათხოვარი ტორტს აჭმევდა თავისი ხელთ და ტურტასაც ხელსახოცი უწმენდა. - რა ხდება? - იმან დამირეკა, - კინალამ წავიქციე. - იმ ქალმა? - იმან. - რა ბრძანა? - მიმაგდო, შენც მიგაგდო. მე რა ვქნაო, ბილეთის ფულიც არა მაქვს, რომ უკან წავიდეო... სხვა ყავს ვილაცხ.

- ტყუილია, - ახლა კი უნდა მოწინააღმდეგე ღონდონი საშლელია, თუ მეგრძოლი არ ხარ, თუ ხუთი წუთით მეტი გძინავს, თუ თავს ზოგავ - ნავთუნამ გამოიტანეთ ხოლმეო. ამა-ნაც დამაბეჭდა. ფულზე ლაპარაკისას სულ ცახცახი უფარდებოდა ხოლმე. მაგრამ აი, სხვანაირი გავხდით. როგორც ხათუნა ამბობს, last chance და მეც, მე მიჭირს როცა არ არის, როცა არ იყო. როცა არის მაგინყდება და ვერთობი. ისეთი თბილია, ისეთი საყვარელია, ისეთი უცნაურად ფუმიფულია, როცა მარტოები ვართ... აქ მოდამი ყოფილა, რომ მოხერხებულე წყვილები თავიანთი თავულობისთვის სასტუმროს უბრუნდებიან. ან-ნა, ნაჩხუბარი ცოლ-ქმარი სადღაც მიყრუებულ ადგილას მიმეზაფერება და მარტოობით ცდილობს რაღაცის

დამით გამეღვიძა. მე ხომ კურდღელივით მძინავს. ჩვენი კარი შეღებულა და დათო არ არის. ვიფიქრე, ცუდად ხომ არ გახდა-მეთქი. ძალიან იღვინა და მოვა თუ არა, იმ-ნამსვე ორ აბ ნუროფენს ყლავებს. თავის ტკივილია, ქრონიკული უკვე მხოლოდ პარასკევ საღამოს არ

გაბრძანება ხვდებოდა ნაიბურტყუნა



მამია მადლობლობის ნაბიჯი

ერთი სახლის ისტორია

ქიჩელის ქუჩა, სახლი № 20

ქართული

ქიჩელის ქუჩა XIX საუკუნის მინურულს ქალაქის კიდეზე, ვერეს უბნის პირზე მდებარეობდა. თავდაპირველად მას ყორღანოვის ქუჩა ერქვა. ახალგაზრდა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ მიხეილ გედევანიშვილმა აქ სახლის მშენებლობა წამოიწყო. მიხეილ წარმომადგენელი იყო იმ უძველესი გვარისა, რომლის გენეალოგია ქრისტეს კვართის ისტორიას უკავშირდება. მცხეთელი

მიხეილ გედევანიშვილის სამკურნალოში მუშაობდა არაერთი გამოჩენილი ქართველი თერაპევტი და ქირურგიც. საავადმყოფოში ღარიბი მოსახლეობისათვის მომსახურება უფასო იყო.

მიხეილ გედევანიშვილის სახლში იკრიბებოდნენ საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე მანაბელი, იაკობ ნიკოლაძე, ნიკო ნიკოლაძე... რუსი თუ უცხოელი სტუმრები. მოსკოვის ერთ პოპულარულ ჟურნალში



საბავშვო ბაღის მასწავლებლები ბავშვების ერთ ჯგუფთან ერთად. შუაში - ან. გედევანიშვილი, მარცხენი - მ. მამარაშვილი, მარჯვნივ - თ. არისტაძე.



ელიოზის მიერ იერუსალიმიდან უფრო კვართის ჩამოტანის შემდეგ, მის შთამომავლობას XVI საუკუნემდე ელიოზისძეებად იხსენიებდნენ, ხოლო XVI საუკუნის შემდეგ ელიოზისძე გედევანიშვილებად. მიხეილის ცოლი – ანასტასია – გედევანიშვილი იყო. მიხეილმა სახლის პროექტი იტალიელ არქიტექტორს შეუკვეთა. მას გადამწყვეტილი ჰქონდა, სახლი ტფილისისათვის ტიპური, "ნახევრადევროპული" – "ნახევრადაზიური" სტილით აშენებულიყო. ამიტომ სამსართულიანი სახლის ფასადი ევროპულია, ეზოს მხარეს კი თბილისური აივნები და რკინის ხვეული კიბეებია. სახლის მშენებლობის პერიოდში მიხეილის ოჯახი ილია ჭავჭავაძისთან ერთად ცხოვრობდა 5 წლის განმავლობაში მისი დის სახლში; "ივერიის" რედაქციაც იქვე იყო. ილია ანასტასიას მშობლების – კონსტანტინესა და მამოს დიდი ხნის მეგობარი იყო; ხშირად ჩადიოდა მათთან მცხეთაში. ანასტასია იგონებდა, როგორ ეტყოდა ხოლმე ილია მამოს: "განგებ მცხეთაზე გამოვიარეთ, რომ თქვენი მშენიერი ქართული ენა გავიგონო და შევინახო". მამო გიყმყერელი ახაშენიდან იყო. მისი მჭვერელი მტყეველები და კარგი ქართული მის ძმის შვილიშვილს – რეჟისორ მიხეილ გიორგიშვილსაც გამოჰყვა. ილიამ ანასტასიას ქმარი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩააბა. 27 წლის მიხეილ გედევანიშვილი ილიამ ტფილისის გუბერნიიდან რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დეპუტატად წარადგინა. მიხეილ გედევანიშვილი ერთ-ერთი პირველი რენტგენოლოგია მთელი მამონდელი რუსეთის მასშტაბით. 1896 წელს მას ჩამოაქვს პარიზიდან ძვირფასი აპარატურა და ხსნის რენტგენისა და ფიზიოთერაპიის კაბინეტს, რომელიც შემდგომში მისი სახლის პირველ სართულზე საწოლიან სამკურნალოდ გადაკეთდა. ეს მოხდა ვილჰელმ კონრად რენტგენის მიერ რენტგენის სხივების აღმოჩენის მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. ამრიგად, თავის სახლში გახსნილ საავადმყოფოში პირველი ქართველი რენტგენოლოგი და ფიზიოთერაპევტი უახლესი მეთოდებით მკურნალობდა ავადმყოფებს.

(1998 წ.), რომელშიც დაიბეჭდა მოკლე ისტორია გედევანიშვილის სახლისა, ვკითხულობთ: "...И так же, как в клинике, собирались на консультации лучшие врачи Тифлиса, на втором этаже - в квартире доктора - приходили самые блестящие, самые талантливые и красивые господа и дамы, живущие и приезжавшие в те времена в Тифлис". მიხეილის ცოლი – ანასტასია გედევანიშვილი – საქართველოში ქალთა მოძრაობის სათავეში იდგა. 1905 წლის 20 დეკემბერს ანასტასია და მიხეილ გედევანიშვილები სახლში დიდი შეკრება ჩატარდა, რომელსაც 150 ქალი დაეცნო, არამარტო ინტელიგენციიდან, არამედ მუშების ოჯახებიდანაც. ეს იყო "ქალთა თანასწორუფლებიანობის საქართველოს კავშირის" დამფუძნებელი კრება, რომელზედაც ანასტასია მოხსენებით ვამოხდის და სადაც მას ირჩევენ კავშირის თავმჯდომარედ. ანასტასია გედევანიშვილმა სორბონაში პედაგოგიკის კურსის მოსმენის შემდეგ 1907 წელს პირველი ქართული საბავშვო ბაღი დააარსა. რადგან განათლების მინისტრმა აუკრძალა ქართულ ენაზე ბავშვების გაზრდა, ეს ბაღი გედევანიშვილების სახლში არაღელვარულად მუშაობდა. ბაღი აკაკის სახელს ატარებდა. აკაკი ხშირად მოდიოდა ბავშვებთან სტუმრად. იაკობ გოგებაშვილი ბაღს შეფობდა. მან ღარიბ მოწაფეებს სტიპენდიები დაუნიშნა. ანასტასია გედევანიშვილი იგონებს: "ერთ დღეს საბავშვო ბაღში ლიტერატურული დილა გაგზარეთ, და აკაკი მოვიბატიყეთ. პოეტი იმ დროს ავადმყოფობდა და არსად დადიოდა, მაგრამ ჩვენ მაინც გვევლიოდა. ბავშვების გამოსვლებმა აკაკი ძალიან გაახარა. შემდეგ სახუმარო ლექსებითაც მიმართა ბავშვებს. ბოლოს კი სთქვა – თქვენ ხართ ჩემი ექიმები, თქვენ მომარჩინეთო. ეს დღე ჩემს სიცოცხლეში მიმარჩნია საუკეთესო ბენეფიკტორად, რომელიც არ დამავიწყდება". ილიას მკვლევარების შემდეგ, მიხეილ გედევანიშვილი, როგორც რედაქტორი და გამომცემელი, აგროვებს ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობას და თავის სახლში იწყებს დიდ საქმეს – ილიას თხზულებათა გამოცემას. სა-



რედაქციო კომისიის სხდომები, რომლის წევრები იყვნენ კიტა აბაშიძე, გრიგოლ ყიფშიძე, იოსებ გედევანიშვილი, ივანე გომართელი, ივანე ზურაბიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, იაკობ ფანცხავა და ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ გედევანიშვილის სახლში იმართებოდა. 1914 წელს ქართულმა საზოგადოებამ საჩუქარი მიიღო – ილია ჭავჭავაძის პირველი აკადემიური გამოცემა, ქართული პოლიგრაფიის შესანიშნავი ნიმუში. ილიას არქივი უმდიდესი მასალით ანასტასიამ, ქმრის სიკვდილის შემდეგ, საჩუქრად გადასცა ლიტერატურულ მუზეუმს. ძვირფასი სამედიცინო აპარატურა – რენტგენის, დარსონვლის და სხვა, გადაეცა საჩუქრად თბილისის სამედიცინო მუზეუმს.

მიხეილს და ანასტასიას სამი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდათ, კოტე ნიჭიერი მხატვარი იყო, იგი ოცი წლის ასაკში გარდაიცვალა. ქეთო ძალზე ლამაზი და უაღრესად განათლებული ქალი გახლდათ, მეცნიერ-მედიკოსი პეტის მუხა. შალვა გედევანიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა მამისეულ სახლში. შალვა პარიზში მუშაობდა გამოჩენილ კინორეჟისორ მარსელ კარნესთან, საქართველოში კი თოჯინებისა და მულტიპლიკაციური ფილმების პიონერი იყო. მან გადაიღო მხატვრული ფილმებიც, მათ შორის პოპულარული "ქეთო და კოტე" ვ. ტაბლიაშვილთან ერთად. მიხეილ გედევანიშვილის შემდეგ (1922 წ.) საავადმყოფოს სათავეში იხი შვილი – დიმიტრი ჩაუდგა. გასაბჭოების შემდეგ რამდენიმე წელიწადში სახლი გედევანიშვილებს ჩამოერთვა, საავადმყოფო დახურეს, ოჯახს მხოლოდ ორი ოთახი დარჩა. დიმიტრი გედევანიშვილმა, მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა, თავისი სახსრებით მოახერხა რამდენიმე ოთახის თავისავე სახლში გამოსყიდვა. დიმიტრიმ ცოლად შეირთო 19 წლის თამარ ციციშვილი, ქართული კინოს მომავალი ვარსკვლავი, რომელიც მან თავისსავე საავადმყოფოში გაიცილა, როგორც პაციენტი. ახალგაზრდები ცდილობდნენ მიხეილის ოჯახის ტრადიციების გაგრძელებას. დიმიტრისთან და შალვასთან, მათ შვილებთან – მიხეილთან, როსტევეანთან, შერმადინთან და მანანასთან სხვადასხვა თაობის ქართველი და ჩამოსული გამოჩენილი აღმომავლები იკრიბებოდნენ. გედევანიშვილების სახლის ერთ ბინაში სტუდენტობიდან სიკვდილამდე ცნობილი ნევროპათოლოგი პეტრე ქავთაძე ცხოვრობდა. ახლა მის ბინაში რეჟისორ მალხაზ ჟვანია შვილები, ახალგაზრდა ჟურნალისტები ცხოვრობენ. პირველ სართულზე რამდენიმე წელი ცხოვრობდა პროფესორ გ. ბახტაძის ოჯახი. 70-იანი წლებიდან აქ ცხოვრობს მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, რომლის ბინა მუზეუმშიც არის, მისი და მისი შვილის – გიორგი მირზაშვილის ნამუშევრების მუდმივი ექსპოზიციებით.

ქიჩელის 20-ში დაიბადა და ცხოვრობდა კინორეჟისორი მიხეილ კობახიძე, "ქორნილისა" და "ქოლგის" ავტორი.

ქიჩელის 20-ში, გედევანიშვილებთან ინახება გრიგოლ ორბელიანის საწერი მაგიდა და სავარძლები, ყარაშვილის ვიოლინო, ცნობილი რუსი კომპოზიტორის იპოლიტოვ-ივანოვის როიალი, რომელიც მან თავის მკურნალსა და მეგობარს – მიხეილ გედევანიშვილს დაუტოვა მოსკოვში გამგზავრებისას. აქ დაცულია მიხეილ და დიმიტრი გედევანიშვილების მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, აპარატურა. მოსკოველი პოეტი ანა ბერდჩევესკაია, რომელზეც შთაბეჭდილება მოახდინა გედევანიშვილების სახლის ისტორიამ და ატმოსფერომ, რუსულ ჟურნალში წერს: "... Во времена достатка и роскоши, как и во времена бед и разрухи, хозяйка, оставаясь верными самим себе и традициям семьи много работала, много читала, радужна принимала гостей. И - помнили... сюда вполне мог бы зайти тот самый молодой доктор, сестра за свой собственный письменный стол, взять свою ручку со стальным пером, обмакнуть в свою чернильницу и написать рецепт на превосходной латыни".

მიხეილ გედევანიშვილის აშენებულ სახლში მისი შთამომავლობის უკვე მუზეუმი თაობა ცხოვრობს. ისინი ისევ იმ მაგიდას უსხედან, ჩვენი დიდი წინაპრები რომ ახსოვს.

თავისუფლების მოედანი ქველად და ახლა



მარცხენი - თეატრი ქარვასლით, სარკს ახლა გუბერნი.



NO COMMENT

ადამიანები კვიან და წივიან

ელენე ზორიძე

შევარდნაძე ჩავა პუტინთან და ეტყვის, დავემგობრდეთო. პუტინი დათანხმდება და ხელს ჩამოართმევს შევარდნაძეს. ერთი კვირა რომ გავა , გაზი ,ან შუქი გამოირთევა და ამის მიზეზი არის ის, რომ პუტინს აღარ უნდა საქართველოსთან მეგობრობა. თვითმმართველობის არჩევნებზე ყველა ხმას აძლევს ასლანს, რახან ასლან ბაბუს აჭარა ძალიან ლამაზია. ხომ დავილუპეთ ასლანის ხელში. ფვანიას უნდა, რომ მიხეილი ციხეში ჩასვას. ის ეჭიმება ფვანიას და ფვანია-მიხეილს. ჯანმრთელობას საქართველოში კარგად ვერ იცავენ. მაგალითად, სიგარეტზე რომ აწერია გაფრთხილება, იმას საერთოდ არ უყურებენ. უცნობი მღერის ვარკეთილში, რომ ხალხმა აირჩიოს მემარჯვენიეები. ადა-მიანები კვიან და წივიან, სულ ფხებებზე ჰკიდიათ მემარჯვენიეები.

...ყველა ბედნიერი იქნებოდა

მანანა კაცრიძაძე

მე არჩევნებზე ხმას მივცემდი ნინო ბურჯანაძეს, რადგან ის ძალიან, ძალიან ჭკვიანი ქალია და იცის რა არის უმუშევრობა, როდესაც ბავშვის დედა არ მუშაობს და არ შეუძლია ბავშვის რჩენა.

ადამიანებს იმიტომ იტაცებენ პანკისში, რომ ფული გააკეთონ და პრეზიდენტზე მდიდრები გახდნენ. კანონი რომ კანონობდეს ყველა ბედნიერი იქნებოდა, ყველას ექნებოდა ხელფასი, არცერთი მათხოვარი არ იქნებოდა ქუჩაში და საქართველო ყველაზე წესიერი ქვეყანა იქნებოდა. საქართველოში იმიტომ არიან ამერიკელი ჯარისკაცები, რომ ისინი ჯორჯ ბუშმა "შპიონებად" გამოგზავნა.

მე ვერ ვიტან რუსეთს, ზოგიერთს უყვარს ზოგიერთს უყვარს

ლიკა მაჭარაძე

რუსეთი სულ ეჩხუბება საქართველოს. რუსეთი გვიწყობს მიწისძვრას. მე ვერ ვიტან ამიტომაც რუსეთს, ზოგიერთს უყვარს. ქუჩაში როცა ავტონისსპექცია დგას, იმიტომ, რომ ეტყობა ედუარდ შევარდნაძემ უნდა გაიაროს, ან იმიტომ, რომ თუ დაარღვევენ ადამიანები, უნდა გააჩერონ.

ინსპექტორების ხელფასს მთავრობა თავისთვის იტოვებს

ლუკა დამიანი

საქართველოს და რუსეთის ურთიერთობები ძალიან დაძაბულია. რუსეთს ჭირდება აფხაზეთი არა იმიტომ, რომ ის ლამაზია, არამედ იმიტომ, რომ იქ მდებარეობს რუსეთის საიდუმლო მიწისქვეშა ბაზა. იქ რუსეთის ყველანაირი რაკეტები და ატომური ბომბები არის. პედაგოგებს და ინსპექტორებს იმიტომ არ აძლევენ ხელფასს, რომ მთავრობა იმ ხელფასს იტოვებს თავისთვის.

პრეზიდენტს უნდა პრეზიდენტობა

ინტარკვი ირიძე მაჭირთაძე

- როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა საქართველოსა და რუსეთს შორის?
- ძალიან ცუდი დამოკიდებულებებია. რა თქმა უნდა, საქართველო მართალია.
- რა არის თბილისში მოდაში?
- წვეტიანცხვირიანი ფეხსაცმელები, აბანოები.
- რატომ იტაცებენ პანკისში ხალხს?
- ფულის გამოძალვის მიზნით.
- როგორ მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია?
- დათო ხუჯაძე ფვანიას გუნდს აძლევს ხმას. ყველგან და ყველა ქუჩაზე მისი პლაკატებია გაკრული.
- რა უნდა პრეზიდენტს?
- პრეზიდენტს უნდა პრეზიდენტობა.
- რატომ არ ურიგებენ პედაგოგებს ხელფასს?
- მათი უფროსები და მათი ბოსები მათ ფულს იპარავენ და ჯიბეში იდებენ.

ყველა პარტია ქარდია

მარიამ ჩაქვაძაძე

მხოლოდ არჩევნების დროს იხსენებენ ხალხს. ერთხელ, როდესაც ერთი ქალისგან ინტერვიუს იღებდნენ, მან თქვა,რომ ყველა პარტიის ნომერს ნაშლიდა და თავზე ქურდებს დაანერდა. მე ამას სწორ არჩევანად ვთვლი და მგონია, რომ ყველა პარტია ქურდია და საქართველოს დამლუპველი. საქართველოში უსამართლო ხალხიცაა და სამართლიანიც. სამართლიან ხალხს მე ვენდობი, მაგრამ უსამართლოს, არა. მე მთავრობა უსამართლო და საქართველოს ფულს რომ აცლიან, ესეთი ხალხი მგონია. მე არ ვენდობი მათ, ისინი ყალბთაბანდები არიან. აშშ-ც კარგი ყალბთაბანი ქვეყანაა. მან ჯარები აქ იმიტომ ჩამოიყვანა, რომ ჩვენი ნდობა მოეპოვებინა და ჩვენი ბიუჯეტის გაფცქენა სურს.ჩემი აზრით ეს ასეა და სხვას მე არ ვფიქრობ. პედაგოგები ძალიან კარგად ანახვლიან, მაგრამ პატარა ხელფასი აქვთ. მე ეს ძალიან არ მომწონს და ვფიქრობ, მთელ საქართველოსაც.

რა უნდა პრეზიდენტს?

ლუკა ბურდული

საქართველოს მართვა კიდევ რამდენიმე წელი. მას არჩევნების ეშინია იმიტომ, რომ სხვა პარტიამ არ მართოს საქართველო.

სანდრო ფალიანი

პრეზიდენტს, ანუ ედუარდ შევარდნაძეს უნდა ფული და საქართველოს მუდმივი პრეზიდენტობა.

გიორგი ოპრავაშვილი

პრეზიდენტს უნდა საქართველოს გაძლიერება და დაცვა., იმიტომ, რომ, როცა ომი იქნება, საქართველომ გაიმარჯვოს. პრეზიდენტი ჩვენ გვაძლევს ფულს, რომ დანგრეული სახლები ავაშენოთ.

სალომე რაზიკაშვილი

პრეზიდენტს ეშინია რომ არჩევნებზე არ აირჩიონ. შევარდნაძეს უნდა, რომ აირჩიონ, მაგრამ მე არა მგონია, რომ აირჩიონ. ისე, ჩემთვის სულერთია, ვინ იქნება ჩვენი პრეზიდენტი.

მანანა კაცრიძაძე

პრეზიდენტს უნდა, რომ ჩვენ ვითომ კარგად ვიყოთ, ამას იმიტომ ამბობს, რომ ხალხმა მას მისცეს ხმა.



ბავშვის სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები

ჰქონდეს სახელი და მოქალაქეობა; დაცული იყოს თვითმყოფადობის ხელყოფისგან; თავისუფლად გამოთქვას საკუთარი შეხედულებები; ჰქონდეს აზრის, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლება; მშვიდობიან შეკრებებსა და ასოციაციებში მონაწილეობისა; პირადი ხელმეუხეზებლობისა; სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღებისა; იყოს დაცული წამებისგან და სხვა სასტიკი, არაადამიანური და მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობისგან ან სასჯელისგან; იყოს დაცული უკანონოდ დაპატიმრებისა და თავისუფლების გაუმართლებელი აღკვეთისგან.

რას ფიქრობენ ბავშვები და რა არ ესმით უფროსებს

მონაყადა დალი კუპრაძაძე



ბია ბალაშვილის ნახატი



ლევან კიკალიშვილის ნახატი

კანონი რომ კანონობდეს

თაქო ბაზრიძიძე

კანონი რომ კანონობდეს მგელი კრავს არ შეჭამდა და გლეხიც ცხვარს სასამართლოში არ უჩივლებდა. არ შეიძლება კანონის დარღვევა. თუ ადამიანი კანონს დაარღვევს, იგი დაისჯება.

მამუკა კობახიძე

კანონი რომ კანონობდეს, საქართველოში არ იქნებოდა გაჭირვება და ხალხი არ მოწყობს მიტინგებს და არ მოუწდებათ, რომ ვინმე გადადგეს, თავისთვის წესიერად იცხოვრებენ და არაფერს არ მოითხოვდნენ. კანონი რომ კანონობდეს, ახლა ბიუჯეტში ნაკლები ფული არ იქნებოდა იმაზე, რაც უნდა იყოს. კანონი რომ კანონობდეს, ბევრი რამ იქნებოდა თბილისში შეცვლილი.

რატომ იტაცებენ პანკისში ადამიანებს

ლევან რაქალიშვილი

პანკისში იმიტომ იტაცებენ ადამიანებს, რომ ფული მიიღონ. დაურეკავს მომტაცებელი მოტაცებულის ახლობელს და ეტყვის:ან ფული მომიტანე ამა და ამ ქუჩაზე, ან მოვკლავო. ზოგი ესე აკეთებს: დაურეკავენ პოლიციას და ერთად წავლენ იმ ადგილზე. ზოგი მომტაცებელი კიდევ შეიარაღებულია. როცა მარტო ახლობელი მოდის ფულით და პოლიცია არ მოყავს, მაშინ მოკლავს მომტაცებელი ორივეს და ფულს აიღებს. მოკლედ რომ ვთქვათ, იმიტომ იტაცებენ პანკისში ადამიანებს, რომ ფული მიიღონ.

ქართული ჭარი

სამხი შარვაშიძე

ჯარში არიან ჯანიანი კაცები. ისინი ჯარში მთელ ძალას ხარჯავენ, მე მაგათ ვენაცვალე. ჯარში აჯიმიანებს აკეთებენ,ბუქნებს აკეთებენ. სწავლობენ სწაიპრობას, ავტობატის, პისტოლეტის სროლას. ვარჯიშობენ, როგორც მხეცები. სერფანტები ეუბნებიან: გაინტერი, რა, მოხუცი ქალი ხარ?! ჯარისკაცები კვირაში სამ ლარს იღებენ, ოფიცრები კი უფრო მეტ ფულს, დაახლოებით თხუთმეტ ლარს.

როგორ უნდა მოეზადოს ბიჭი ჭარისთვის

ლუკა ბურდული

ჯარისკაცებს ძალიან მკაცრი კანონები აქვთ, მათ ყველაფერი გათელილი აქვთ. მათ ასწავლიან იარაღის სროლას, შპიონაჟს, ვერტმფრენის მართვას. ისინი დილით ადრე დგებიან, შიშულდებიან და ტიტვლები თოვლით დაბრიან. ისინი ცივ წყალში ბანაობენ იმიტომ, რომ გაკაჟდნენ. ქართველებს ძალიან უნდათ დაკარგული ქალაქების დაბრუნება.

ნამდვილი ეკოლოგია

გიორგი ხარსიძე

- თქვენ ალბათ მოგხესხენებათ,რომ:
 - საქართველოში მიწისძვრა მოხდა. ამის შედეგად დაზიანდა 1 000 მდე სკოლა. ამიტომ სწავლება შეწყდა და 100 000 მდე ბავშვი უსწავლელი დარჩა 1 სექტემბრამდე.
 - საქართველოში ხის მჭრელები ცოცხალ ხეებს ჭრიან. ამიტომ ადრე, სადაც ლამაზი ბუნება იყო, უდაბნოსავით უშნო ადგილად იქცა. ამიტომ თუ ხეს მოვჭრით, ჰაერიც აღარ გვექნება. შევეცადოთ ხეები არ მოვჭრათ.

რატომ მღერის „უსწოხი„ ვარკეთილში?

ნიკა მაჭარაძანი

უცნობი იმიტომ მღერის ვარკეთილში, რომ იგი მემარჯვენიებს აძლევს ხმას. მან რომ აღორძინებას მისცეს ხმა, ეს გვიმობო იქნება.

სკორტალი კალეიდოსკოპი

მამუკა კობახიძე

რაულს პრეტენზიები აქვს ესპანეთის მეორე ტრენერზე და იგი არ დაესწრო პირველ ვარჯიშს. ზიდანია იაპონიაში ჩავიდა მეორე დღეს იმიტომ, რომ მას გაუჩნდა შვილი და ვერტმფრენით ჩაფრინდა. ქართველებმა მიაღწიეს დიდ უპირატესობას და ისინი მიდიან იტალიაში, ბარიში, ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენს წყალბურთელებს უტარებენ კონცერტებს, რომ ფული შეუგროვდეთ. მათ არ ჰყავთ სპონსორი და ჭირდებათ, რომ წავიდნენ ევროპის ჩემპიონატზე.

სანდრო სამხარაძე

ფეხბურთში დორტმუნდის “ბ” ჩემპიონი გახდა ლიგაში და უეფას ჩემპიონატში გავიდა. მსაჯმა ხურდა დაკარგა და ფეხბურთელები ჯეირანს თამაშობდნენ. რაგბიში ჩვენმა მონინალმდევემ დაარტყა, მაგრამ პალიკო ჯიმშელიძე ახტა და ბურთი თავში მოხვდა.

დიმიტრი კვიციანი

- გუმინ დონწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში.
- ჰოკეის ჩემპიონატი მოიგო სლოვაკიამ.
- ტენისშიც გაიმართა ჩემპიონატი და მოიგო ფედერერმა.
- ბექშემს თაბაშირი მოხსნეს და ითამაშეს. ჩემპიონატზე ფავორიტად არცერთი გუნდი არ ითვლება. ყველაზე ძლიერებად საფრანგეთი და ბრაზილია ითვლება. ტენისში ახალი ჩემპიონატი 26 ივნისს იწყება, უმეტესობა ძლიერი მოთამაშეები არ ითამაშებენ.

რა არის თბილისში მოდური

სანდრო ხუციშვილი. ნიკა კანკაძა.

შეგახსენებთ, რომ შარმანდელი ჩურჩულები დღეს მოდაში აღარ არის. დღეს ვაგონი მიქრის და გაივლის ძალიან მოდურ სადგურებს: ბაზრობებს, ტოტალიზატორებს, რუსთაფი2-ს, გარაუებს, ბუტკებს, სუპერმარკეტებს, კაზინოებს, პარლამენტს, მაკდონალდებს, აგარაკებს. მზავრობისას არ დაგავიწყდეთ: მობილურები, სიგარეტები, ნაშუბი. გოგოებმა ჩაიცვან წვეტიანი ფეხსაცმელები, ბიჭებმა დაისხან ჟილსანდერი. კიონოში უნდა ნახოთ ჰარი პოტერი და სფაიდერმენი და შეჭამოთ ბევრი ჩიპსი და დალიოთ ბევრი კოკა-კოლა. ტელევიზორში უყურეთ კომუნიკატორს და ფეხბურთის ჩემპიონატებს და ჩვენ ეზოს. მომავალ შეხვედრამდე!

http://www.24hours.ge

24

სამყარო

D

შაბათი, 1 ივნისი, 2002 წელი, №0

ჩემი სამყარო ბევრების სამყაროა. ყველანაირი ხმაური მუსიკაა, ადამიანთა ხმებშიც განსხვავებული ტემბრია, ინტონაციაა, საოცარი ხმოვანებია გარშემო, ყველაფერს "შპონივით" ვაკვირდები და ბაც! ჩავეჭერ ხოლმე. როგორი ურთიერთობაა ჩემსა და ბევრებს შორის? ინტიმური.

მუსიკაზე დიდი დემოკრატია და რელიგია არ არსებობს, იმიტომ რომ უნივერსალურია. ანდრია ბალანჩივაძე ამბობდა: მუსიკა არის ტაძარი, სადაც ყველა ადგილი დაკავებულია, სხედან გენიოსები, წრეს შემოუვლი და, თუ ერთ ავტურზე მაინც ჩამოჯექი, ხომ კარგი, თუ არადა, უნდა გამოხვიდე გარეთო. ჩვენი სამყარო დანაღმული ველია, მუდმივი კონტროლი გჭირდება იმისთვის, რომ დიდი დამწვრობა არ მიიღო. არ მეგულება ისეთი შემოქმედი, რომელიც კმაყოფილია და სვებედნიერი. შეიძლება სვა და იყო ბედნიერი, მაგრამ შემოქმედებაში სვებედნიერი? არ არსებობს...

ჭარბია



ბიძინა კვიციანი



ქეთევან სადლობალაშვილი
"როგორ იწრთობოდა ფოლადი"

ბევრებთან ურთიერთობა გვიან დაიწყო (17 წლისამ). ომის დამთავრების შემდეგ ცენტრალურ მუსიკალურ ათწლედთან გაიხსნა სკოლა-ინტერნატი "ხანდაზმული ბავშვებისთვის". რაღაც რიტმს დაეკავებოდნენ და ვინც სწორად გამოეჩინებოდა, ის ჩაირიცხებოდა. რაღაც შემეშალა და ჩემმა მეგობარმა ოთარ ხატიასვილი მაჯობა (ახლა გენერალია). ის რომ კომპოზიტორი გამხდარიყო, მე ვიქნებოდი კარტოფილის გამთლელოთ გამგე ჯარში, მეტს ვერ მივალწედი. მოკლედ, როგორც იქნა, ჩამრიცხეს ინტერნატში. როცა ინსტრუმენტების განაწილების დრო დადგა, აქვს მაჯობა. დაიტაცეს პატარა და პრილა ინსტრუმენტები. შეგვრჩა აყუდებული კონტრაბასი მე და პიკო ნიყარაძეს. გუშინ შემხვდა პიკო და გავიხსენებდი კონსერვატორიის უკან, ფლიგელში იდგა კონტრაბასები. ისეთნაირად აგვანყობინეს, რომ ცოტათი ჩელოს დამსგავსებოდა და ბაზი მთლად არ გაგვებახებინა, მაგრამ ისე ვუარაგვით, მთელი მთანმინდის კრაზანები გვესოვოდნენ - რას უკრავთ, თქვენნი დედა ვატირეთო. დასივებულები გამოვდიოდით. თან შიმშილი იყო და ის კონტრაბასი გვაპატრონობდა კიდევ - ზედვეყუდებოდა, რომ არ წავეცეულიყავით, აკაკის აკვანივით ვირწოდით შიმშილისგან. ისე, შეგვძლო, ზედაც ჩამოგვძინა, დირიჟორი ვერაფერს გაიგებდა. ახლაც ვურჩევ მოსახლეობას, მიეტანონ კონტრაბასი. მოკლედ, დიდი შრომა დამჭირდა ამხელა ჯორჯლას, რაიმესთვის რომ მიმეღნია. დღე-ღამე ვმუშაობდი. სამი წლის განმავლობაში საათიც კი არ გამომიტოვებია. რაც 17 წლამდე დაკვარა, 3 წელიწადში ავინახლავრე, თეორეტიკოსიც გავხდი და პირველი სიმღერაც დაგვრე - "შავთვალა, ხუჭუჭთმიანო", რომელსაც "გვეების" ორკესტრი ასრულებდა. მოგვიანებით სიმფონიების დროც დადგა. "შემოღებება მთანმინდა-ზე" იყო პირველი სიმფონიური პოემა. ასე წავიდა და წავიდა... მერე დაიწყო მარტო ხეტოლი. ჩავიდოდი ბორჯომში, მაშინ იქ დედათა და სიდედრთა სანატორიუმი არ არსებობდა, ცვხოვრობდით მე და ტყის მცველი ტინონა თავისი 6 ბა-

ტი. იენისში ჩასული, ოქტომბრის ბოლოს გბრუნდებოდი თბილისში. მერე გია ყანჩელიც ავიყოლიე და დავდიოდით ლიკანში. დავბინავდებოდი ისეთ ოჯახში, სადაც ინსტრუმენტი იყო და დღე-ღამე ვმუშაობდით. პირველი მსმენელიც ჩვენ ვიყავით, კრიტიკოსებიც და შემფასებლებიც.

ბიძლიანი - ერთმა ხელმა არ უნდა იცოდეს, რას აკეთებს მეორე მუსიკაში - ერთმა ყურმა უნდა იცოდეს, რას უსმენს მეორე

ბევრები იარსებებს მუდმივად, ადამიანის გარეშეც, მაგრამ როცა მოდიხარ, ის უნდა მოიტანო, რაც მანამდე არ ყოფილა. თუ განმეორდი, აზრი არა აქვს შენს ნასვლა-მოსვლას. შენი სამყარო რომ სხვისას არ დაემსგავსოს, უნდა განავითარო ყური, რომელსაც თავისი განათლება აქვს და ხშირად თვალს ჯობს. უნდა მოისმინო ყველაფერი - შალაოვანი დაწყებული, ულტრათანამედროვეთი დამთავრებული. ამასობაში დაიხვეწები და ალაპარაკებები მუსიკის ენაზე, მხოლოდ შენებურად! მართალია, იმდენი რამეა დანერგილი, სამი ცხოვრება არ ყოფა მის მოსმენას, მაგრამ განათლება და ინტელექტი აუცილებელია. ეს გენმარება, ერთი ყურით აკონტროლო, რას აკეთებს მეორე. რაც მთავარია, კარგი ყური არ მოგცემს საშუალებას, რომ შეეყრდნეოდი იყო საკუთარ მუსიკაზე... პროფესიული კრიტიკაც აუცილებელია, მაგრამ სად არის?

ჩვენი მუსიკისმცოდნეები საღამოს რომ მუსიკას მოუსმენენ, დიდი ანალიზს აკეთებენ. რეზო ლალიძე ამბობდა: მუსიკა "პერაში" არ არის, ცოტა უნდა გააცივო. მართალია, საფუძვლიანი ანალიზს დრო სჭირდება...

მუსიკალური სამყარო

მე ვარ ჩემი თაობის ერთგული კაცი. მარტო ფიზიკურად კი არ მიყვარდა და მიყვარს ჩემი მეგობრები, მათი ნიჭიერება და მუსიკა მიყვარს. სულიერი სიბალღვე მაქვს გია ყანჩელთან, მიყვარს მისი სამყარო. ასეთივე იყო ჩემთვის ჯანი. რამდენი მეგობარი დავკარგე და ასე არ უმოქმედი. როცა ვმუშაობ, გამახსენდება ჯანი და გიჟივით წამოვკარდები. ვერ ვებუდები მის არყოფნას. სულ მგონია, რომ წასულია და უნდა ჩამოვიდეს, დარეკოს, გამოჩნდეს... საზარელი შეგრძ-

ნება, როცა შენს გარშემო ნელ-ნელა ვინროვდება საყვარელი ადამიანების წრე. ასეთი იყო სულხან ნასიძე, ნოდარ გაბუნია - მათ მხოლოდ მუსიკა კი არა, ადამიანური თვისებებიც სხვანაირი ჰქონდათ. მარტო რეზო ლალიძე რად დირს! კეთილშობილ ხალხთან მქონდა ურთიერთობა. მახსოვს, მე და ნასიძემ ერთად დავგუნრეთ კანტატა "1905 წელი". ივანოვიში, ხელოვანთა სახლში დავდიოდით ხოლმე. მაგ დროს ერქვა - "გახსოვს, ტურავა". მოგვიწყვეს შეხვედრა ხანატიურიანმა, მოსტაკოვიჩმა და კაბალევსკიმ. მოსტაკოვიჩის ახალი დაწერილი ჰქონდა მე-11 სიმფონია და შემოგვთავაზა, თუ გინდათ, პირველ განყოფილებაში თქვენი კანტატა დავუკრათო. ასეთი სულით მდიდარი ხალხი იყო. მახსოვს, ავიდა და კაბალევსკიმ სულხანს თავისი "პლაში" მისცა. კაბალევსკი იმ სივრცე იყო, ორივენი გავეხვიეთ მის "პლაშიში". არაჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, გენიოსები...

ერთ რამეს ვაკვირდები: ჩვენ, მწერლებმა, მხატვრებმა, რეჟისორებმა ერთმანეთი გავზარდეთ, ერთმანეთზე ვახდენდით გავლენას. რობიკო სტურუა, ფილიპეტი რომ აქვს თავში, სულხანს ვეძახი, მოქმედება ჩვენზე. ასევე კარგი ნიგნებით - ოთარ ჭილაძე, ჭაბუა, კარგი ნახატებით - პიკო, "ჩუბჩიკა", ზოდერი დავარქვი, ფოსტალიონის ჩანთით რომ დაბოდილობს... და რა ვიცი, ვინ აღარ...

ამას წინათ, ახალგაზრდებს უთქვამთ: ახლა იწყება თუ იწყება ლიტერატურა და ხელოვნება, აქამდე რა იყო... მესმის, ახალგაზრდებს ზედმეტი მოსდით ხანდაზანს, მაგრამ, ჩვენც ხომ ვიყავით ახალგაზრდები... მუსიკა ისეთი სამყაროა, მისი შესწავლა თავისებურ კულტურას გეძებს და უფლებას არ მოგცემს, კეთილშობილებისა და თავმდაბლობის ზღვარს გასცდე. ახალგაზრდები ნანყენი ყოფილან თურმე ჩვენზე - არ გვეტყენო. ახალი თაობა მიყვარს, მაგრამ გაუმთლებელ ადამიანს დიოტირამებს ვერ ვუძღვრებ. ჩემთვის მიუღებელია, რაც ახლა ხდება - ნოტების წერაც არ იციან, ჩამოკრავენ სინთეზატორს და მერე "არანჭიროე-შჩიკუვა" მთელი სიმძიმე. კომპიუტერიზაცია კარგია, ბგერის გაყოფა ხერხდება, უამრავი დამხმარე საშუალებაა, მაგრამ ადამიანის სულს კომპიუტერი ვერ შეცვლის. თუ მოისპობ ადამიანი და რობოტიკი დაგვეპატრონებინა, კი ბატონო, მაგრამ, მანამდე სულის შემცველი არაფერია. ახალმა თაობამ უნდა იკითხოს, საიდან მოდის, თორემ დიდი დამაგრ-

ძელებლით ბარნოვზე რომ უთოს ჩართავენ და პლენარზე შარვალს აუთოებენ, არაფერი გამოვა. რაზე ხარ შეერთებული, უნდა იცოდეს. ცოდნის გარეშე ვერაფერს მიაღწევ...

იმპულსი, პროცესი და შედეგი

შემოქმედება არის მაგნიტური ველი, რომელშიც ზოგჯერ ხვდები და ზოგჯერ ვერა. იქ ერთი ტიპი გეხმარება. არ ვიცი, ვინ არის. იქნებ ღმერთია! ჩვენსა და კლასიკოსებს შორის ის განსხვავებაა, რომ მათ, ერთი კი არა, ათასი ადამიანის ნიჭი ჰქონდათ. ხომ არ შეიძლება, მოცარტი ბავშვი ყოფილიყო, ის გენიოსად დიბადა. მათ მუსიკას უკრავდნ და დაუკრავდნ უსასრულოდ. ჩვენგან რა დარჩება და რა დასაჭირდებათ თაობებს, არ ვიცი.

ქმნადობის პროცესში მთლიანად ეფლობი. ცალი ხელით კეთება არ შეიძლება. ამ დროს ჩქამმაც კი შეიძლება დაგვანგროს. სიმარტოვე და სიჩუმე აუცილებელია, იმიტომ რომ, არ იცი, საიდან რა იწყება და როდის მთავრდება. ეს ჩემთვის, თორემ სულხან ცინცაძე, აქეთ თათში რომ ქეფი და ყაყანი იყო, იქით კვარტეტს წერდა. ერთხელ ვუთხარი - გადაბმული ვაგონები რომ დაიღის, სცადე, იქნებ, მეორე ვაგონში დანერო-მეთქი. კვდებოდა სიცილით, არ თქვა არსადო.

ისე, სადაც უნდა ვიყო, ქეფში თუ შეხვედრებზე, ფიქრის პროცესი ყველგან გრძელდება. ის მთავარი ძაღვი არ მეკარგება. არის ხალხი, ინსტრუმენტის გარეშე რომ აორკესტრებს - მოსტაკოვიჩი იყო ასე, სტრავინსკი - პირიქით. თუ გამოიმუშავებ, ინსტრუმენტის გარეშე შეგიძლია დალაგო. ზოგჯერ, კომპოზიტორისთვის ყველაფერი იმპულსია - ტყვილი, სიბარული, ბუნება, თუმცა, ყველაფერს სევდა დაჰყვება თან. რომ ვიციანი და ვხალისობ, ყველას ჰგონია, არიქა, ბიჭებო! სინამდვილეში ძალიან სევდიანი ვარ.

როცა ვამთავრებ მუშაობას, აგერაა ნუგუმა (მეუღლე), ის პროფესიონალი მუსიკოსია და პირველი მსმენელიც. როცა ნუგუმა სადმეა ნასული, უსუგუმი ვარ დარჩენილი.

კონტრსამყარო

გარშემო რაც ხდება, ძალიან განვიცდი. რომ მეკითხები, როგორ გეგუნი სოლომონ ისაკიჩების არსებობასო, ვერ ვგულები. თუკი მეჯღანაუშვილი მუა სექტაკლის დროს უკრავდა ტაშს, ესენი უარესს შერებიან -

კონცერტის დაწყებამდე, ორკესტრი რომ ინსტრუმენტებს აწყობს, მაშინ უკრავენ ტაშს. თანაც, რა ამბიცები... გადამწყვეტ "ჭეშმარიტებებს" რომ ამბობენ - დღეუმ! ეს ასეა! გავიგებები კაცი...

ხშირად დაკვეთებზე ვმუშაობ. ძალაუნებურად მორგუნავს, მაგრამ დიდიხან რომ "კარტოშა" დაგიდგება თავში, რას იზამ? ჩემი ერთი ნაწარმოებიც კი არა მაქვს ჩანერილი. სად რა არის გაბნეული, ღმერთმა უწყის...

მსმენლის გარეშე

არ ვამტკიცებ, რომ ნაწარმოების მოსმენისა და აღქმისთვის აუცილებელია პროფესიონალიზმი საჭირო. მსმენელი თუ ხარ, უნდა მიეჩიო ერთხელ, ორჯერ, ათჯერ მოსმენას და მერე ეჩვევი. ჩვენთან არავის უნდა, კარგად გამოწყობილი ნაეიდეს კონცერტზე. მახსოვს, ბერლინის "შტატს-ოპერაში" ვესწრებოდი ვაგონების ოპერებს, რომელთა მოქმედებები 2-4 საათს გრძელდება. დარბაზში ზის 80 წლის ხალხი და უზრავლესობამ ეს ურთულესი მუსიკა ზეპირად იცის. ჩვენთან კი მომრავლდნენ "ყრუ-მუნჯთა სკოლის ასპირანტები" და "უცოდინართა მხარდამტენი საზოგადოებები", რომლის ავანგარდში ტელევიზია დგას. მუსიკის მოსმენა უნდათ სამზარეულოში, ნიორწყლის ფონზე, კარტოფილის ფტეკის მუსიკა ცალკე... ზოგი რამ ავლანარში უნდა იმღერო, ზოგი - სახლში. რატომღაც, ყველამ გადაწყვიტა, ესტრადაზე გამოყარონ ის, რაც სახლში აქეთ. მსმენელი თავად გახდა შემსრულებელი, სიმღერის ტექსტებია - ვაიმე, დედა! არადა, პოეზია ცალკე მუსიკაა და შენს ნახევარ საქმეს უკვე აკეთებს კარგი ლექსი. ვალაკტონის რომ გადმოვიღებ, შემითრევს ხოლმე და მესაუბრავს... მოკლედ, კარგი სიტყვაა "არამზადა" - არა ხარ მზად და მორჩა!

ანონსი

რეზო გაბრიძე აპირებს "კედელზე დანერგილი მოთხრობის" მიხედვით მიუზიკლის გაკეთებას და იმაზე ვფიქრობ. რეზო მაჩქარებს, მაგრამ ასე უცხად არ გამოდის. თავად რა ენაღვლება, ორმოცი კაცის ნიჭი აქვს და უკულმართი ტვინი, ჭიანჭველებით სოლომონ ისაკიჩების არსებობასო, ვერ ვგულები. თუკი მეჯღანაუშვილი მუა სექტაკლის დროს უკრავდა ტაშს, ესენი უარესს შერებიან -

“იუმორი მამველი ნიჩბებია იმისთვის, რომ ნავი არ ჩაიძიროს”

ბ. კვერნაძე

ბიძინა კვერნაძის ჯვრისწერისა და ნიშნობის ბეჭდის ამბავი

39 წელია, რაც მე და ნუგეშა ერთად ვართ, თუმცა, ჯვარი არ გვქონდა დანერვილი. შარშან შეგვიჩინა შვილები – არ გვინდა, უკანონოები გვექვას და ჯვარი დაინერეთო. არადა, იმის საშუალებაც არ გვაქვს, სახლში პატარა სუფრა მაინც გავშალოთ. მოკლედ, დაგვაყენეს ბავშვებმა ფაქტის წინაშე, ეკლესიაში ჩვენს მეტი არავინ იქნებაო – დაგვაიმედეს და წავედით. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ ბეჭედი არ მაქვს. ვიფიქრეთ, გზაში სადღე ლარიან ბეჭედს ვიყიდით-თქო, მაგრამ კვირა დღეს ყველაფერი დაკეტული აღმოჩნდა და არც ეკლესიაში იყო რაიმე, ბეჭდის მაგვარი.

უცბად მღვდლისგან შესმის – ბიჭო, ბიძინა არა ხარ შენა? შეხედე, მერაბ ელიოზიშვილია. სახტად დაგვრჩი. გამახსენდა, პირველად რომ ვნახე ელიოზა, ნოდარ დუმბაძეს ვუთხარი – დუქნის დათეს თათებიდან რომ ლიმონათს წაართმევ, იმას ჰგავს-მეთქი. ერთხელაც, მე და ნოდარი შევედევართ მარჯანიშვილის თეატრში და რას ვხედავთ: ზის ელიოზიშვილი და ლიმონათს სვამს ბოთლიდან. ძლივს მოვასულიერე ნოდარი... პოდა, ეს ელიოზა დგას ანაფორაში და ბეჭედს მთხოვს. სადაა ბეჭედი?! უცბად ჩემს შვილს, ფისასო, მხერა გაუმტერდა დედამისის ჩანთაზე და მღვდელს ეუბნება – მამაო, დანა გეჩვენებო... სულ გადაიხრია ეს ელიოზიშვილი... ამასობაში, ჩანთის “ზმეიკაზე” რომ რგოლია, ის მოაჭრეს, განი-გამონიეს და წამომაცვეს თითზე. შემერქო ეს “ბეჭედი”, ძლივს გამოვიძრე. ორ დღეს იოდში მქონდა ხელი. ასე დამთავრდა ჩემი ჯვრისწერა. რაც შეეხება ბეჭედს, მიღებებსა და შეხვედრებზე ვიკეთებ ხოლმე დიდ ბიზნესმენებთან, რომელთაგან ერთ-ერთი, ძალიან გამოჩენილი, რატომღაც გლახად დაკრულ მჭადს მაგონებს...

“ბუხანკა” პურის ნოსტალგია

- ექიმებმა წონაში დაკლება ურჩიეს ბიძინას და ორი თვეა, პურს არ ვაჭმევ – ჰყვება ქ-ნი ნუგეშა. ამაზე გაუთავებლად ვჩხუბობთ. ერთ დილა საცად დაგა მონყენილი და მეუბნება – მთელი ღამე პურთბალიშზე მედო თავი და პური მესიზმრებოდაო.

- რას მაჭმევენ თუ იცი, - განაგრძობს ბატონი ბიძინა, - ბატონუტზე რომ “კატოკი” გადაატარო, ისეთ გაუგებრობას, არადა, ბავშვობიდან მონოლოგები მქონდა პურზე, სულ გეტიროდი, პური არ გვეყოფა-მეთქი და მანყნარებდნენ. უცხოეთიდან ყველას სუვენირები მოჰქონდა ხოლმე, მე კი - პური.

ნუგეშა მეუბნება, შენ ეპიკურილი ხარ, ჭამა-სმისა და დროსტარების მეტი არაფერი გინდაო. ვეუბნები – ეპიკურილი კი არა, პურიტანი ვარ-მეთქი. მე და რეზო ლალიძე იმხელა პურებს ვყიდულობდით, არც ერთ გაზეთში არ ეტეოდა. დიდი “ბუხანკები” იყო, ორგანყოფილებიანი, ანტრაქტიცი კი არ ჰქონდათ. ახლა თავგების მორჩენილ ნაგლეჯებს მაჭმევენ...

თავგადასავალი რეზო ლალიძესთან ერთად

რეზო ლალიძე ფანტასტიკური ნიჭის პატრონი და გამორჩეული კაცი იყო. გარშემო ყველაფერი უყვარდა - ადამიანები, ბუნება. თევზაობაში მისი ასისტენტი ვიყავი. პირველ თევზს რომ დაიჭერდა, აკოცებდა და ისე გადმომიგდებდა. დაკოცნილი ჰყავდა ყველა თევზი. ერთხელ ჭანარი დაიჭირა და, ამას, ეტყობა, ცხვირი ეფხანებოდა და ქვაზე გაიქექაო - აღარ აკოცა. სასწაულად ისროდა ზადეს. ერთხელ მეც ვცაღე ზადის გადაგდება და კინაღამ თან გადავყვიცი. იმ სიმძიმე რაღაცა კბილებით როგორ უნდა დაიჭირო. მართალია, ახალგაზრდობა სპეციალობა არ არის, მაგრამ ენერჯია გავს ბევრი. სად აღარ დავდიოდით, ყველაფერს ვასწრებდით. ღამით ავდებოდით, ნავედითო - რეზო იტყოდა, გავიღორღოქოთო (“ლოროლოქი” მეგრულად ბატს ნიშნავს). “Лебединое озеро”-ს “ლოროლოქის წუმბეს” ეძახდა.

ერთი მთელი წაცნობი ჰყავდა, ლიკლიკატო დაარქვა. ანანურთან ცხოვრობდა ის კაცი და ერთხელ, შუალამისას, აიჩემა - ნავიდეთ, ვნახოთო. ძლივს მივაგვენით სადღაც, სოფელში, მიწურში. გადაირია ის ლიკლიკატო, მოკვდა ტირილით, ისე გაეხარდა ჩვენი დანახვა. ასე დავდიოდით. მცხეთაშიც, ვითომ სასეირნოდ გამოსულენი, ხან გორში ამოვყოფდით თავს ღამის 3 საათზე, ხან - ობჩაში. გოფდებოდნენ მასპინძლები, დაერეოდნენ ამ მძინარე ქათმებსა და გოჭებს, გამოჭრდნენ ყელს. ვის უნდოდა გოჭი, თუ სადმე პრასი მქონდათ, ძირიანად ეჭამდით. ერთხელ ობჩაში ვართ ბიძამის შალკოსთან და გადაამეკიდა - ლუხუტა უნდა გარევიო, ის მდინარე,



ბია ყანგალი. ბიძინა კვერნაძე. ჰანსელ კახიძე. თინათინ მირზაგვილი (ფაფრიკას) ნახატი

რომელშიც ბავშვობაში ვთევზაობდით. მივედი, კაცო, ვხედავ, მდინარეზე კალაპოტი კი არის, მაგრამ წყალი არაა... არ დაუფერო, ბიძინაო - შალიკომ მიიხრა, ლუხუტის ბავყის პარიზშიც კი ვიცნობ, ზურგი აქვს მზისგან დამწვარი... დილას წამოვედით ობჩიდან და ზესტაფონში აიტეხა - ღვანკითი ავიდეთ, ერთი წაცნობი მყავს და მაინტერესებს, რას აკეთებო. ავედით სოფელში და ძლივს ვიპოვეთ ის სახლი. მჭადივით იყო დატყეპებული მიწაზე. ტალახისა საშინელი და დიდი ევანახი სახლის წინ. მიეტოპავთ ტალახში, კარი ღიაა და კარგი ხატები მოჩანს კედელზე. შევედი. წამოხტა ფიცრულ ტახტზე წამოროლილი კაცი, გაავლო ხელიდან წიგნი და მომეგება. ვიფიქრე, რას კითხულობს ამ ყიამეთში-მეთქი. ავიღე წიგნი, აწერია - კინო და პოეზია. რა შენი

საქმეა, ბიჭო, ამ ღვანკითის ტალახში კინო და პოეზია, რომელმა კინომ უნდა ამოაღწიოს აქამდე-მეთქი, ვუთხარი. რეზო რომ დაინახა, სულ გადაირია. შემოჰკრა ტაში. მარჯვენადან წამოვიდა ყველი. მეორე ტაშზე წამოვიდა მჭადი, პრასი და ღვინო. დაგვრჩით იმ ღამეს ღვანკითში.

ეს ყველაფერი შენს სამყაროზე გველენას ახდენს, რადგან აგროვებ, კენკავ ლაპარაკს, ინტონაციას, ტემბრს, ლექსს, ხალხურ სიმღერას და ინსტრუმენტთან მისვლაც გიხარია...

მიდის გამალბული მუშაობა.

შევედვარ სულხანის კაბინეტში. არავინაა. საფერფლეში ხრჩოლავს სიგარეტი. ეტყობა, ახალი გასულია. ველოდე, ველოდე და წამოვედი. მეორე დღესაც იგივე განმეორდა - ოთახში არავინაა, სიგარეტი ხრჩოლავს. გამოვედი და ვიკითხე, კი მაგრამ, გამაგებინეთ, ამ კაცს უკვე კრემაციაც გაუკეთეთ-მეთქი?

შერემეტივეოზე მივედევარ მე, სულხან ნასიძე და ჯანო კახიძე. იქ ჩვენი რუსი კოლეგები დაგვეცდნენ. ვხედავ, ერთად მოდიან ალიკა მაჭავარიანი და გია ყანგელი (ალიკას ალეს ეძახდნენ). საზეიმოდ გამოვაცხადე - მოდის ქართული მუსიკის აღდგენა-მეთქი.

ერთი კომპოზიტორი იყო, კულა ნარიშანიძე. აფხაზეთში ცხოვრობ-

და, მაგრამ ჩიოდა, აქ არ მაფასებენო და მოსკოვში გადავიდა. სხვათა შორის, ყველას იცნობდა. ერთხელაც, დგას “სსენიან”. ვუთხარი, კულა, შენ რომ აფხაზეთში დაბრუნდებოდა, კომპოზიტორებში აკულა იქნებოდი-მეთქი... შოსტაკოვიჩი სიცოცხლით მოკვდა.

ზამთარია. მოსკოვში, ქუჩაში, მოვდივართ მე და დანკვეიჩი ცოლებთან ერთად. ქალები მომყავს ხელკავით და უცებ საშივენი წავიქეცი. ეს შთასავით კაციც ზევიდან დაგვეცა. ავდექით თუ არა, ნუგეშა მეუბნება - ძალიან მტკიცეა სახსრები და წყალტუბოში უნდა გამგზავნო. სახსრები თუ შექნება, კი-მეთქი, ვუთხარი.

მაგნიტოფონი “ტომიზა” მაჩუქეს გერმანიაში (აქ ერთი-ორ კაცს თუ

ექნებოდა), ჩემი შვილები თავს იწონებენ, მეზობლები “ტომიზას” სანახავად მოდიან, არის ერთი გნასია.

ერთხელაც ჩემი შვილი ეუბნება დედამისს - მშობელთა კრებაზე უნდა წამოხვიდე და კარგად ჩაიცი, იქ დაწამებული მშობლები მოდიან, არ შემარცხებიო. ნუგეშა შეწუხდა, კარგი და დასაზმანი არაფერი ჰქონდა, მაგრამ დაეამშვიდე - “ტომიზა” დაიჭირე ხელში და ისე ნადი-მეთქი. ბოლოს ისე მოხდა, რომ ბავშვებმა “ტომიზაც” ააფეთქეს და დაგვრჩა მარტო “შწური”.

ნუგეშამ ისე მოამარაგა სახლში მცენარეები, თავი ხუდადოვი მგონია. მემშინია, რომელიმე ბუჩქიდან კურდღელი არ გამოხტეს..

ქართული ხასიათი - ესაა გადაღებული “შახმატის” პარტია.

იკოსხლავს ბავშვის გული

ჭოენის სახელობის სამედიცინო ცენტრში

გადარჩენილი დედა-შვილის ამბავი

ერთი ქმარდაღუპული ქალი გულის მანკით დაავადებულ თავის ყრუ-მუნჯ ბავშვს ზრდიდა და იცოდა, რომ ერთ "შეგნეიერ" დღეს მისი უფროსი დატირებაც მოუწევდა და ამქვეყნად აღარაფერი ახარებდა.

1996 წელს საქართველოში ბავშვებისთვის გულის ოპერაციების გაკეთება შესაძლებელი გახდა, მაგრამ ისე ძვირი ღირდა, რომ მარტოხელა დედა სრულ სასონარკვეთილებაში ჩაეარდა.

მაღე სახელმწიფომ ბავშვთა კარდიოქირურგიული პროგრამის დაფინანსება დაიწყო და ეს საოცნებო ოპერაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა, თუმცა, ჩვენი გულგატეხილი გვირის ყურამდე ამ ამბავს არ მიუღწევია. ასე გავიდა სამიწიერი მოლოდინის ხუთი წელი. 12 წლის ბიჭს კი სიცოცხლე ძალიან გაუჭირდა.

მერე ყველაფერი ზღაპრის სიუჟეტით განვითარდა. ნათესაებმა შეიტყვეს, 14 წლამდე ასაკის ბავშვებს გულის მანკის ოპერაციებს უფასოდ უკეთებენო და უთხრეს. დედა-შვილის ოცნება ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრის ახალგაზრდა კარდიოქირურგებმა ირაკლი მეტრეველმა და ავთო ცინცაძემ აასრულეს. ეს მათ მიერ მოხდენილი მე-700 პატარა სასწაული იყო.

დღეს იმ ბიჭს გულის პრობლემა აღარ აწუხებს და კალათურთელის უცხტით ყველას "უბნება", ცუდი გული გადავადგეო. ცოტა ხანში მისთვის ყურის ოპერაციის გაკეთებაც შესაძლებელი გახდება და, როგორც ექიმები ვარაუდობენ, მერე შეიძლება აღაპრაკიც დაიწყო.


ბავშვთა კარდიოქირურგიისთვის

საქართველოში ბავშვთა კარდიოქირურგიული დახმარების პროგრამა 1996 წლის სექტემბრამდე არ არსებობდა. უცხოელი სპეციალისტების დახმარებით კ. ერისთავის სახ. კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტში პერიოდულად სრულდებოდა გულის თანდაყოლილი მანკების არაკომპლექსური ქირურგიული კორექციები.

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს წლიური მოთხოვნაა ბავშვთა გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიული კორექციაზე შეადგენს 320-350 ოპერაციას. მათგან, ოპერაციათა თითქმის 75% უნდა სრულდებოდეს სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში. ეს გარემოება დაადო საფუძვლად ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრის გახსნას. პროექტი მიზნად ისახავდა გულის თანდაყოლილი მანკების დიაგ-



მარია ბაბაიანი ფოტო



ნოსტირებას ანტენატალურ და სიცოცხლის ადრეულ ასაკში, მათ დროულ ქირურგიულ მკურნალობას. აგრეთვე, ჩვენი მიზანი იყო მთავრობისა და ფართო საზოგადოებისთვის გულის თანდაყოლილი მანკის, როგორც სოციალური პრობლემის წარმოადგენა.

1994 წლიდან საქართველოში ბავშვთა გულის ქირურგია-კარდიოლოგის მუდმივმოქმედი პროგრამის ამოქმედებისთვის საქველმოქმედო ორგანიზაცია "გლობალ ჰილნგმა" (აშშ) დაიწყო კადრების მომზადება. 1996 წელს ორგანიზაციამ და საქარ-

თველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოში ბავშვთა გულის ქირურგიის განვითარებისთვის. 1996 წლის 16 სექტემბერს თბილისის ბავშვთა ჰქანდაცვითი ბაზაზე გაიხსნა ბავშვთა გულის ქირურგია/კარდიოლოგიის კლინიკა "ქართულ-ამერიკული სამედიცინო ცენტრის" სახელწოდებით. 1997 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ბავშვთა კარდიოქირურგიული დახმარების სახელმწიფო პროგრამა. 1997 წელს "გლობალ ჰილნგის" დამფუძნებლის, ჯოენ მაკ

გოვენის ხსოვნის პატივსაცემად ცენტრს მისი სახელი ეწოდა.

1997 წლიდან დღემდე კლინიკაში დაიგნოსტირებულია 1910 გულის თანდაყოლილი მანკი. ბავშვთა კარდიოქირურგიული პროგრამის ფარგლებში ჩატარებულია 700-მდე კარდიოქირურგიული ოპერაცია. მათგან 59% სამ წლამდე ასაკის პაციენტზე, 74% სისხლის ხელოვნური მიმოქცევით. კლინიკაში სრულდება გულის თანდაყოლილი მანკების კორექციათა სრული სპექტრი დაბალი წონის ახალშობილების ასაკიდან მოზრდილ პაციენტთა ჩათვლით. ყველაზე მცირე წონის პაციენტი 1450 გრამია, ხოლო ყველაზე ხანდაზმული - 36 წლის.

დაბოლოს

საქართველოში, როგორც ბევრად, ბავშვთა კარდიოქირურგიული პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სახელმწიფო პროგრამაა, რომელიც დამსახურებულად ამაყობს ჩვენი ჯანდაცვის მსვეურნი.

ამის მიუხედავად, პროგრამა იმდენად მაინც ვერ ფინანსდება, რამდენადაც ქვეყანას სჭირდება. 300-350 ოპერაციის ნაცვლად, ყოველწლიურად მხოლოდ 200-მდე ოპერაცია კეთდება და ათეულში ადამიანი აღდგანს უწევს დღეობა სიცოცხლის რიგში.

ჯანდაცვის სიდი - თბილისი → გალი → ?

ზაზა ჯაბაშვილი

1997 წელს გალში დაბრუნებულმა მოსახლეობამ სამედიცინო დახმარება ითხოვა და ამის შესახებ ორივე მხარის ადმინისტრაციას ხმა მიანდინა. ცხადია, მონყვეტილი საქართველოს მფლობელები არაფრის გამკეთებლები იყვნენ და ენგურზე ჯანდაცვის ხიდის მშენებლობა მილიანად თბილისში ითავა. აქვე უნდა იქცვას, რომ თავისი მოვალეობა სოხუმშიც შეასრულა და გალის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროცესისთვის ხელი არ შეუშლია.

სამი ამბულატორია

გალის რაიონში სამი ამბულატორია მოეწყო. საბერძნეთის ამბულატორია ხუთი ათასზე მეტ ადამიანს ემსახურება. მათ შორისაა ენგურის მთიანეთის პერსონალიც. ამბულატორიაში 18 მედმუშაკია. აქედან 4 ექიმი - პედიატრი, თერაპევტი, ქირურგი და სტომატოლოგი. მოქმედებს დღის სტაციონარიც, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, ავადმყოფები ღამითაც რჩებიან. გალში საქართველოს მთავრობის დელეგაციის ამასნიანდელი ვიზიტის დროს ენგურის დასახლებაში კიდევ ერთი ექიმი და ექთანი ითხოვეს, რასაც უპრობლემოდ მიიღებენ.

ოტობაის ამბულატორიაშიც 18 მედმუშაკია. ისინი ხუთი ათასამდე ადამიანს ემსახურებიან. ატარებენ ბავშვთა აცრებსაც.

ასევე ნაბაკეის ამბულატორია, სადაც 1 ექიმი და 8 საშუალო სამედიცინო პერსონალია. ისინი ხუთი ათასამდე ადამიანს ემსახურებიან.

ამჟამად მიმდინარეობს სამივე ამბულატორიის რეკონსტრუქცია და, როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე ამბობს, ამბულატორიები ისე მოწყობა, რომ ყველა მნახველს გაახარებს.

დადინანსება

სამივე ამბულატორიის აფხაზეთის დევენილი მთავრობა აფინანსებს. საშუალო ხელფასი 35-41 ლარია. ამის პაციენტთა ჩათვლით. ყველაზე მცირე წონის პაციენტი 1450 გრამია, ხოლო ყველაზე ხანდაზმული - 36 წლის.

გალის საავადმყოფო

გალის რაიონულ საავადმყოფოს თბილისი არ აფინანსებს. სამუხაზროდ, მას არც სოხუმი აფინანსებს. ამიტომ ერთადერთი, რითიც საავადმყოფო არსებობს, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებაა. მოსახლეობა ვადახდის სუუნარა, თუმცა, ცოტათივე ფულს გაღება მათაც უწევთ. შარშან, ზაფხულში, გალის საავადმყოფოში მივლინებული იყო ქართველ ქირურგთა მობილური ბრიგადა, რომელმაც 3 თვის განმავლობაში 200 ოპერაცია გააკეთა და ათასამდე კონსულტაცია ჩაატარა.

წლეულს დაგეგმილია სამედიცინო ჯგუფის გაფართოება და ოფთალმოლოგების დამატება.

სოხუმის მიმართულება

სოხუმისკენ, ჯერჯერობით, ორი სახელმწიფო პროგრამა გაიჭრა. ესაა დაბეგით დაავადებულთა ინსულინით უფასო მომარაგება და საყოველთაო იმუნიზაცია, რასაც საქართველოს მთავრობა აფხაზეთში უკვე რამდენიმე წელია ახორციელებს.

ამას გარდა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სპეციალისტების მომზადების მიზნით, ქართველთა აფხაზ კოლეგებს ტრენინგები ჩაუტარეს.

ამჟამად სოხუმი ონკოლოგიურ დახმარებას ითხოვს. მართალია, ნარკომანია ყვავის (რაც სოხუმის ჯან-

დაცვის მინისტრმა, ლუდა ავირბამ, თბილისში ყოფნის დროს დაადასტურა, როცა თბილისის ნარკოლოგიის მომზადება სთხოვა), მაგრამ 120 ონკო ავადმყოფისთვის საკმარისი ნაბალი არ ყოფილა. თბილისი ამ შემთხვევაშიც აუცილებლად დაეხმარება სოხუმს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისი დახმარებისთვის მუდამ მზადაა, თუ სოხუმი საამისო პოლიტიკურ ნებას გამოამჟღავნებს.

აფხაზეთის

ჯანდაცვის სისტემა

აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ სახელია დარჩენილი. მათ არავითარი თანამედროვე აპარატურა არა აქვთ. ექოსკოპია, ენდოსკოპია, კომპიუტერული ტომოგრაფია და მაგნიტო-რეზონანსული გამოკვლევა იქაური მოსახლეობისთვის ოცნების სფეროა. ასე რომ, აფხაზეთს ახალი ტექნოლოგიებით მხოლოდ იმ შემთხვევაში მოეხმარებიან, თუ ენგურს გადალავნებს. ასეთი შემთხვევა არარსებო იყო.

აფხაზეთის ლეგიტიმური ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე დალილა ზორავა: "ჩვენი მხრიდან აფხაზეთის მოსახლეობის დახმარების მოცულობა საკმარისი დიდია. ყველა, ვისაც სერიოზული მკურნალობა დასჭირდება და ზუგდიდში, ქუთაისში ან თბილისში ჩამოვა, სახელმწიფოს ხარჯზე ვეკურნალობთ. ნაღმზე ავეთქებულ 97 ინვალიდს აღმოუჩინეთ დახმარება. ბევრს პროთეზიც გავუკეთეთ. რა თქმა უნდა, მათ შორის აფხაზეთიც არიან. ამჟამად გვექვს იმ აფხაზ ბავშვთა სია, რომელთაც ვადახდის უნდა და სჭირდებათ კარდიოქირურგიული დახმარება. ასეთი ოპერაციები მხოლოდ თბილისში კეთდება. ვადაყვავით, ეს ბავშვები ჩამოვიყვანოთ და უფასოდ ვეკურნალოთ".

პერსპექტივა

აფხაზი ხალხს ჯანმრთელობის მდგომარეობა პირდაპირ არის დამოკიდებული კონფლიქტის პოლიტიკური გზებით მოგვარებაზე. ასეთ შემთხვევაში აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემა ისეთივე თანამედროვე და მძლავრი გახდება, როგორც ეს ჩვენთანაა.

ამირან ბამყრელიძე: "ჩვენ მომზადებული გვაქვს გალის რეგიონის ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის აღდგენის პროგრამა, რომელიც, წინასწარი გათვლებით, 6 მილიონი დოლარი დაჯდება. თუ იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკური ნება, ჩვენ მზად ვართ, იქაურ მოსახლეობას შესაბამისი სამედიცინო დახმარების სისტემა შევუქმნათ".

პოლიტიკოსები, ჯერჯერობით, მხოლოდ იმას ახერხებენ, რომ ჯანდაცვის ხიდს თანდათანობით ამტკიცებენ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება იმის შესახებაც, რომ თბილისის დახმარებით გალში განხორციელდება ორსულთა, დედათა და ბავშვთა, ინვალიდთა და მარჩენალ-დაკარგულ ოჯახთა სოციალური დაცვის პროგრამები.

აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას კი შესაძლებლად მიაჩნია, რომ გალის შემდეგ თბილისი ტყვარჩელში, ორამჩირვსა და სხვა რეგიონებშიც შეუქმნათ.

ენახოთ.

იხილეთ

ევროკავშირის ვიზა

პრეზიდენტი საქართველოში მედიცინის მიღწევებს ეცნობოდა და პროფესორ კუზანოვის სტენდს მიაღდა, რომელიც ქალის კაცად გადაქცევის ოპერაციის ილუსტრაციას წარმოადგენდა. ყველაზე გამოჩენილი ადგილზე ოპერაციის საბოლოო შედეგის ფოტო ეკიდა - ქალაქიფოფის ხელით ეკავა უზარმაზარი "ბურატინის ლურსმანი". ეს რა არის? - იკითხა გაკვირვებულმა პრეზიდენტმა.

ბულმა პრეზიდენტმა. კუზანოვმა აუხსნა, რომ ეს უნიკალური ოპერაცია, რომელიც მსოფლიოში თითო ჩამოსაფლვლ კლინიკებში კეთდება, რომ ეს დიდი მიღწევაა, ფანტასტიკური შედეგია, მსოფლიოს ელიტარული მედიცინის შემთხვევაა და ა.შ. - ახლა კი ვირწმუნე, რომ ევროკავშირში ნამდვილად მივცილებენ! - ბრძანა პრეზიდენტმა.

ბავშვისადმი კეთილგანწყობილი კლინიკა

თიქო სოზავია

ბავშვთა მრავალპროფილიანი ცენტრალური საავადმყოფო პაციენტებს სთავაზობს პედატირული სამედიცინო მომსახურების აბსოლუტურ უმრავლესობას და ისეთ სერვისს, რომელსაც სხვაგან ვერ ნახავთ - ონკო-ჰემატოლოგია, გენეტიკა, უროლოგია და ნეიროქირურგია. კლინიკა 380-სანოლიანია და ემსახურება 18 წლამდე ასაკის პაციენტებს.

საავადმყოფოში დაინერგა და ამოქმედდა ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემა. შექმნილია დიდი რაოდენობით თანამედროვე ლიტერატურა, შეიქმნა კომპიუტერული და ინტერნეტ დარბაზი, ექიმებისთვის მუშაობენ ინგლისურისა და კომპიუტერის მასწავლებლები. ექიმებს ინტერნეტთან მუდმივი ურთიერთობის საშუალება მიეცათ. ითარგმნა და დაინერგა დაავადებათა მართვის თანამედროვე პროტოკოლები. ჩამოყალიბდა მკაცრი მოთხოვნები ექიმთა მიმართ, რათა მათ იხელმძღვანელონ თანამედროვე უახლესი ლიტერატურითა და სამედიცინო მტკიცებულებებით. საავადმყოფოში მუდმივად მიმდინარეობს კონფერენციები თუ ტრენინგები (დღეში 2-3). შეიქმნა ისეთი



ალაო კახაიანი ფოტო

განყოფილებები და კომიტეტები, როგორც: განათლების, საავადმყოფოს შიდა ინფექციებთან ბრძოლის, ნაშლის რაციონალური გამოყენების. ჩამოყალიბების ფაზაშია ეთიკისა და საჩივრების განხილვის კომიტეტები. საავადმყოფო ცდილობს, მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს პაციენტი და მისი მშობელი საკუთარი უფლებების შესახებ, რასაც

იგი საავადმყოფოს მიერ გამოშვებული ყოველთვიური ცნობის ფურცელით ახერხებს. საავადმყოფომ დაიწყო პაციენტთა კმაყოფილების დონის შესასწავლ კვლევის ჩატარება. გამოკითხულია 120 რესპონდენტი, დაგეგმილია 500 მშობლის გამოკითხვაც.

ბოლო წლების სტატისტიკით, დატვირთვა გაიზარდა, სანაღმ

სენსაციური ოპერაცია

საქართველო ინვალიდის ექლს ემზოდობა

ირმა კახარაძე

ხუთშაბათს თბილისში მდებარე კერძო კლინიკა "კარაბს მედიკალინი" უნიკალური ოპერაცია გაკეთდა. 47 წლის მამაკაცს, რომელიც ავტოავარიამი მოხვდა, კიდურის ატროფიების დიაგნოზი დაუსვეს. აბსოლუტურად უიმედო მდგომარეობას ქმნიდა ის, რომ ხელიში მგრძობლობა სრულიად დაკარგული იყო. რამდენიმე საათიანი სარისკო ოპერაციის შემდეგ პაციენტი თავს ნორმალურად გრძობს და იმედოვნებს, რომ ხელის ჩვეულებრივად მოხმარებას ისევ შეძლებს.

კლინიკის ხელმძღვანელის, ივანე კუზანაძის თქმით, ახლახან ჩატარებული ოპერაციის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს. "ამაზე დიდი ხანია ვმუშაობთ. ოპერაციამდე ჩავატარეთ ექსპერიმენტი, რომელიც ნარმატივით დასრულდა. საუბარია პერიფერიული ნერვების დაზიანებაზე. თუ ოპერაციის შემდეგ პერიოდში ჩვენი პაციენტის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება, ჩათვალთ, რომ ინვალიდის ეტლებსა და ლოკინებს მივაჭყულებთ კიდურებზე, რომელიც ადამიანები აღარ იარსებებენ", - აკონსერტებს პროფესორი კუზანაძე.

ავტოავარიის შედეგად, მამაკაცს ზურგის ტვინის მხრის ნეული ჰქონდა ამოღებული. ამის გამო რამდენიმე ქირურგმა მას ხელის ამპუტირება შესთავაზა. "კარაბს მედიკალინი" კლინიკაში მისულ პაციენტს ექიმებმა განუმარტეს, რომ ასეთი ოპერაცია ჯერ არ გაკეთებულა, მაგრამ, რამდენადაც პაციენტმა ჩათვალა, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა, თანხმობა განაცხადა. "მას ხელი შეუწარმუნდა, თუმცა წინ ხანგრძლივი მკურნალობა ელის. ერთ წლის შემდეგ პაციენტს აღუდგება

ფერი, დაუბრუნდება მგრძობლობა და მის მოხმარებასაც შეძლებს. მანამდე იგი ექიმების უდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს", - ამბობს ივანე კუზანაძე.

1978 წელს, კუზანაძის მიერ გაკეთებული პირველი ხმაურიანი ოპერაციის - თითის რეპლანტაციის (მიკროების) წარმატებით დამთავრება პაციენტს სრული გამოჯანმრთელების იმედს უსახავს.



ყველაზე დიდი ჯარიმა - ნაშლის ფალსიფიცირებისთვის

სად გვიძინოთ ნაშლილი ნაშალი

მამა ჯინანი

ფარმაცევტული კომპანია შერინგ-პლაუ 500 მილიონ დოლარიან ჯარიმას გადაიხდის საკუთარ ფარმაცევტულ ქარხანებში წამლების წარმოებისას დამზადებული ნაშლის გამო. დარღვევები, მრავალჯერადი შემოწმებისას, ამერიკის შერთებული შტატების საკვების პროდუქტებისა და წამლების სამართავლოს ინსპექტორებმა დააფიქსირეს. სამართავლოს მონაცემებით, ეს ისტორიაში უმსხვილესი ჯარიმაა.

ნაშლების ფალსიფიცირების პრობლემა დღეს მთელი მსოფლიოსთვის აქტუალურია. საერთაშორისო ფარმაცევტული მწარმოებლების ასოციაციის მონაცემებით, განვითარებული ქვეყნების ფარმაცევტული ბაზრის 5-7% სწორედ ფალსიფიცირებული ნაშლებითაა გაჯერებული. ეს "მოკრძალებული ადგილი მზის ქვეშ" ფალსიფიკატორებს ყოველწლიურად 14-დან 21 მილიარდამდე დოლარის მოგებას აძლევს. იარაღით, ნარკოტიკებით, ალკოჰოლითა და ბენზინით ვაჭრობის შემდეგ, ფარმწარმოება ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან საქმიანობად ითვლება. ამ წარმატებას ხელს უწყობს, რომ ფალსიფიცირებულ ნაშალს ხარისხისაგან მომხმარებელი, ფაქტობრივად, ვერ არჩევს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ფალსიფიცირებული სამკურნალო ნაშლები არის საშუალება, რომლის დასახელებს არც შეზღუდვები ექვემდებარება და შეზღუდვები ექვემდებარება აღნიშნულს არ შეესაბამება. თანამედროვე მსოფლიოში, პრაქტიკულად, ყველა ნაშალს აყალბებენ, თუმცა, ამის პრობლემა მსოფლიოს არც გასული ორი ათასწლეულის განმავლობაში ჰქონია. პირველ ცნობებს ფალსიფიცირებული ნაშლების შესახებ ძველრომაელი ექიმი დიოსკორიდი ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იძლეოდა. იმავე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გაყალბებების 42% ანტიბიოტიკებზე მოდის. აყალბებენ სამკურნალო კოსმეტიკასა და ბიოაქტიურ და ნაშატებსაც კი.

ექსპერტები ფალსიფიცირებული ნაშლების ოთხ ტიპს არჩევენ. პირველი - "საჭყუარა". მასში მოქმედი სამკურნალო სუბსტანცია საერთოდ არ არის. მიიჩნევენ, რომ მისი გამოყენება ნაკლებად უსაფრთხოა, თუმცა, დაავადებას რომ ვერ უშველის, ფაქტია.

მეორე - "მიმტაცია". მოქმედი ნივთიერება მასში უფრო იაფი და

ნაკლებად ეფექტური საშუალებითაა შეცვლილი. სპეციალისტების აზრით, ეს ყველაზე საშიში გაყალბებაა: არ არსებობს გარანტია, რომ ამგვარი ჩანაცვლება თქვენს შემთხვევაში სასიცოცხლო არ აღმოჩნდება.

მესამე - "შეცვლილი ნაშლები". მასში იგივე ნივთიერებებია, რასაც ორიგინალი შეიცავს, მაგრამ განსვავებული რაოდენობით. ესეც საშიში რამ არის, რადგან, მისი გამოყენების შემთხვევაში, საჭირო თერაპიული ეფექტის მიღების ან გვერდითი მოვლენების არარსებობის გარანტია ვერაფერს მოგცემთ.

მეოთხე - "ასლი". მასში ორიგინალის მსგავსი მოცულობისა და შედგენილობის ნივთიერებები შედის. სამაგიეროდ, არაფერ იცის, სად და ვისგან იყიდა უცნობა მწარმოებელმა ეს სუბსტანცია და რა პრობლემა იყო იგი დამზადებული. მართალია, ნაშლებს მსოფლიო ყველა ქვეყანაში აყალბებენ, მაგრამ ძირითად გაყალბებლებს აზიის, დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები წარმოადგენენ. აყალბებენ როგორც უბრალო ტივილგამაყუჩებლებს, ასევე იშვიათი გამოყენების ნაშლებს. გაყალბების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს "საჭყუარა" წარმოადგენს. "პრეპარატის" ასე წარმოება ძალიან ადვილია. იღებენ ტალკს, კირს, სოდას, ცარცს, ამატებენ ნატურალურ სახეხვევებს: ჭარხალს, სტაფილოს, სხვას, ფუთავენ სასურველ ქაღალდში და "ნაშალიც" მზად არის. ამგვარი შესაძლებლობის შესახებ მოსახლეობა ჩვენს ჯანდაცვის სამინისტროსაც არაერთხელ გაუფრთხილებია.

ფალსიფიცირებული ნაშლების ხიბლი ის არის, რომ ისინი ორიგინალზე ბევრად იაფია. ამიტომაც, რომ მოსახლეობა ჯერ ისევ ყიდულობს "ნაშლებს" მეტროს სადგურებსა და მინსკეცმა გადასასვლელებში. თუმცა, მას იმის გარანტია ვერ ვერაფერს მისცემს, რომ პრეპარატის ორიგინალს აფთიაქში შეიძენს. ამ რამდენიმე ხნის წინათ, ფარმაცევტული ბაზარი სლოვენური ფირმა Pliva-ს მიერ წარმოებული პოპულარული ანტიბიოტიკის, "სუმამედის" ისტორიამ ააღაპარა. დღემდე დაუდგენელმა ფალსიფიკატორებმა აფთიაქები ამ პრეპარატის ზუსტი ასლებით აავსეს, მაგრამ მისი ფოლტეების ანთების განკურნება შეუძლებელი იყო - კაფსულებში სტრუქტურული ვერა.

საბოლოოდ, Pliva-მ მოახერხა საკუთარი პროდუქტის ფალსიფიკაციისგან დაეცვა, მაგრამ ამან "სუმამედი" 7-10%-ით გააძვირა. შეიძლება ითქვას, რომ საქმე წარმატებით დასრულდა, თუმცა, მოსახლეობა ამ შემთხვევაშიც დაზარალებული დარჩა. ეს მოვლენები მეზობელ რუსეთში განვითარდა. საქართველოში მსგავსი სკანდალი ჯერ არ აგორებულა, მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან კარგად შეფუთული ფალსიფიკაცია არ სადგება. უბრალოდ, ბრძოლა ყალბი სამკურნალო საშუალებების წინააღმდეგ სერიოზულ ხასიათს ახლა იღებს. გასული წლის ნოემბერში ქვეყნის პრეზიდენტმა ამ პრობლემას სპეციალური გენერალური კონტროლი დაუდგინა.

განკარგულების მიხედვით, უნდა შეიქმნას ქვეყანაში რეგისტრირებული ნაშლების მონაცემების კომპიუტერული ბაზა. ეს იმისთვის კეთდება, რომ საზღვარი არარეგისტრირებულმა პრეპარატმა არ გადმოკეთდეს. ამასთან, საქართველოში არ დაარეგისტრირებენ ნაშალს, რომელიც მწარმოებელ ქვეყანაში არ არის რეგისტრირებული. გარდა ამისა, სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის კონტროლის ინსპექცია ქვეყანაში მოქმედ აფთიაქებში შეტანილი პრეპარატების ხარისხს ლაბორატორიულად შემოწმებს. ამისთვის ინსპექტორები შერჩეული შემთხვევაში მოხვედრილი აფთიაქებში ნაშალს შეიძენენ.

სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ფალსიფიცირებული ნაშლების ძირითადი წილი ულიცენზიო აფთიაქებში შედის. ამ მიზეზით, აფთიაქებში ფუნქციონირების კანონებში ინსპექციის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. დღესთვის რაიონულ სასამართლოებში 250 ულიცენზიო აფთიაქის საქმეა გადაგზავნილი. პირველ ჯერზე მათ 1000, განმეორების შემთხვევაში - 2000-ლარიანი ჯარიმა ემუქრებათ. აღმასრულებელი ფიქრობენ, რომ ჩვენი პირობებისთვის ეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტია. რაც შეეხება ნაშლის ჩანთებით მოვაჭრეებს, ფარმაციის დეპარტამენტში მათი პრობლემის მოგვარებას კონტრაბანდის პრობლემის მიგვარებას უკავშირებენ.

სამწუხაროდ, მსოფლიო პრაქტიკაში აჩვენა, რომ ადამიანი ფალსიფიცირებული ნაშლის შეძენისგან დაზღვეული ვერც ერთ შემთხვევაში იქნება. ამასთან, რაც უფრო ცნობილია ფირმა, მით უფრო მეტია მისი პროდუქტის გაყალბების ალბათობა. ამგვარ პირობებში მომხმარებელს მხოლოდ ერთი შეიძლება ურჩიო: ნაშალი ისევ ლიცენზირებულ აფთიაქში შეიძინოს - ეცოდინება მან, საჭიროების შემთხვევაში პასუხის მოსთხოვოს.

საავადმყოფო ქსელის რესტრუქტურირება

ქსელის კვლევა

დღეისათვის საქართველოში 267 საავადმყოფოა. ამას უწყებრივ დაქვემდებარებაში მყოფ კლინიკებსაც თუ დაუკავშირებელი, 290-ს მივიღებთ. იმპერიის დროს ამ საავადმყოფოებში 45 ათასამდე საწოლი იყო. მათი რაოდენობა ამჟამად 22 ათასამდე შემცირდა, მაგრამ, როგორც უცხოელი ექსპერტები ამბობენ, ესეც ბევრია. თბილისში 56 საავადმყოფო და 11 ათასამდე საწოლია.

თბილისის საავადმყოფო ქსელის კვლევა უცხოელების მიერ 1995 წელს საქვეყნოდ ცნობილი ფირმის "სიმენსის" წარმომადგენლებმა დაიწყეს. მას შემდეგ ანალოგიური შინაარსის კვლევა კიდევ სამმა ფირმამ ჩაატარა. კვლევების შედეგად გაკეთებული რეკომენდაციები, ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, საკმაოდ მკაცრი აღმოჩნდა (მაგალითად, ამერიკის

უმსხვილესი სამედიცინო ფირმის კაიზერ პერმანენტის ექსპერტების აზრით, თბილისისთვის სავესებით საკმარისი იქნებოდა 1,2 ათასი საწოლი), ამიტომ სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბოლოო დასკვნები ქართველ ექსპერტებს გადაეცემინათ. ქართველებმა შეაჯერეს ყველა კვლევის შედეგი და ოპტიმალური ვარიანტი მიიღეს.

2010 წლის მოსალოდნელი რენტგენობრება

საავადმყოფო ქსელის რესტრუქტურირება 2010 წელს უნდა დამთავრდეს. თბილისში 56 საავადმყოფოდან 13 უნდა დარჩეს. აქედან 9 მრავალპროფილიანი იქნება, 4 - მონოპროფილური. ესენია ფთიზიატრიული, ფსიქიატრიული, ინფექციური და ონკოლოგიური კლინიკები. მრავალპროფილიანი საავადმყოფოები ტერიტორიული პრინციპით შეირჩევა ისე, რომ ქალაქის ნებისმიერ ნერტილიდან კლინიკამდე მისვლაში 15 წუთზე მეტი არ დაიხარჯოს. კლინიკები ალტურული იქნება უახლესი ტექნიკით, მაღალკვალიფიციური კადრებით და სახელმწიფო პროგრამებით. შესაბამისად კონტროლც გამკაცრდება და მკურნალობის ხელ-

მისანდომობაც მიიღწევა. საქართველოს მასშტაბით 256 საავადმყოფოდან 94 უნდა დარჩეს. ცხადია ამას კადრების შემცირებაც მოჰყვება, მაგრამ მთავრობა გვარანტობს, რომ საავადმყოფოთა რესტრუქტურირების შედეგად გამოთავისუფლებულ ყველა თანამშრომელს სოციალური დაცვის გარანტიას მისცემს.

რა თქმა უნდა ალკოჰოლ-მისხივობა

ბატონი ლალო ალქსი-მისხივი-მისხივი ვერმანის გულის ცენტრის განყოფილების ხელმძღვანელი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კარდიოქირურგია. იგი ყოველ წლის შეგებულებას სამშობლოში, დედასთან ატარებს და ბუნებრივი, ბევრ თვის კოლგასაც ხვდება. წლებიანი შეგებულების დროს ბატონი

ლალო ბრიფინგზეც მობრძანდა და ჩვენს საჭირობოტო საკითხებზე თავისი აზრც გამოთქვა. აი რა თქვა მან საავადმყოფოთა გაუმჯობესებების პროცესის შესახებ: "გერმანია ეკონომიკურად ძალიან ძლიერი ქვეყანაა, მაგრამ თანამედროვე მედიცინა იმდენად ძვირი მომსახურებაა, რომ პრობლემები ყველა

ლალო ბრიფინგზეც მობრძანდა და ჩვენს საჭირობოტო საკითხებზე თავისი აზრც გამოთქვა. აი რა თქვა მან საავადმყოფოთა გაუმჯობესებების პროცესის შესახებ: "გერმანია ეკონომიკურად ძალიან ძლიერი ქვეყანაა, მაგრამ თანამედროვე მედიცინა იმდენად ძვირი მომსახურებაა, რომ პრობლემები ყველა

საქს ხდება

ორი ქართველი ქირურგი ახვანია

მოსკოვში მოღვაწეობდა ორი ქართველი ქირურგი. ერთ-ერთ მათგანს ფეხზე გაუჭნა პანარიციუმი - ჩირქოვანი დაავადება. საჭირო გახდა ფრჩხილის მოცილება. დაავადებული მეგობარს შეუწოთა, ოპერაცია შენ გამიკეთო, მაგრამ ცივი უარი მიიღო, ეგა მაკლია შენს ბინძურ ფეხში დავიწყო ქვევაო. დიდი "დღეისათვის" შემდეგ მაინც შეთანხმდნენ. ქირურგიული თვალსაზრისით იოლი ოპერაციისთვის ადგილობრივი გაუტკივარება სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო და ნოვოკაინიც გაკეთდა. სამწუხაროდ მეგობარებს

ძალიან ძვირად დაუჯდათ ერთი უმნიშვნელო მანიპულაციის უგულვებლყოფა - ნოვოკაინის ალერგიაზე გახიწყვა. ინექციიდან რამდენიმე წუთში გული გაჩერდა და სუნთქვა შეწყდა. დაბნეული ქირურგი მეგობარს მივარდა და გულის ხელოვნური მასაჟი ისე დიდი მონდომებით დაუწყო, რომ ორი წუთი ჩაუმტვრია. ამის მიუხედავად ავადმყოფის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და საჭირო გახდა გულის გახსნა მასზე პირდაპირი მასაჟის მიზნით. დაიწყო ნამდვილი ოპერაცია და როგორც იქნა გული ამუშავდა, მაგრამ ქირურგებმა

სიქარეში დიაფრაგმა გახიეს. ამის გამო მუცელიც გახსნეს და დიაფრაგმა გაკერეს. საოპერაციო კომპარი თითქოს დამთავრებული იყო, როცა რენიმა-ციში გადასაყვანი ავადმყოფი საკაციდან გადმოუვარდა და საწყალს ფეხიც მოტყვია. საოპერაციოში ფრჩხილის მოსაცილებლად დაწოლილ კაცს მეორედ დღეს რენიმაციში გაეღვიდა და რას ხედავს: გული გაკერილი, მუცელი გაკერილი, ერთ ფეხი მოტყვილი და ელიზაროვის აპარატით დაჭიმული, ხოლო მეორე ფეხზე ძველებურად დასკუპებული პანარიციუმი.



ბარბის კლიმაქსი



ლანა სარაჯიანი ფოტო

ანა ქაშველაშვილი

რვა წლის რუსულან ჯაყელს სამი ბარბი ჰყავს - ერთი პატარძალი, ერთი მზარეული თავის სამზარეულოს მზარეული და ქურჭლით, ერთი, უბრალოდ, პრანჭია სამკაულებიანი და ისინი გოგონას ყოველდღიურ ცხოვრებაში არიან ჩაბმული. "ან ბარბებით ვთამაშობ, ან ვმეცადინებო, ან ტელევიზორს ვუყურებ," - ამბობს რუსულანა.

თავისი "საქმიანობით" რუსულანა ერთ-ერთი ტიპური წარმომადგენელია იმ თაობისა, რომელთა ბავშვობა თბილისში ბარბის მალაზიის გახსნას დაემთხვა.

ეს არც ისე დიდი ხნის წინათ, 1995 წლის ბოლოს მოხდა. მანამდე მათთვის, ვინც ოცის ჯერ არ იყო, მშობლებს ბარბი უცხოეთიდან ჩამოჰქონდათ. ოცს გადაცილებულ ბავშვებისთვის უკვე საამაყოდ ითვლებოდა, თუ სადმე ჰყავდათ ნანახი. 90-იანი წლების დასაწყისში ბარბის ყო-

ლა იმდენად პრესტიჟული იყო ზოგისთვის, რომ ერთი თბილისელი ბავშვის დაბადების დღეზე მხოლოდ ის მეგობრები მიიწვიეს, ვისაც ბარბის თოჯინა ჰყავდა.

ზამთარში კი მალაზია "ბარბი" გაიხსნა და ოცს გადაცილებულთათვის ბავშვობის ახდენილ ოცნებად იქცა - მათ უკვე თავიანთი შეიღებისთვის დაიწყეს სხვადასხვა პროფესიის მქონე ბარბის თოჯინების მოგროვება.

დღეს ბარბის თოჯინებს მალაზიის მხოლოდ ერთი ფრთა უყავია. ყველაზე დაბალფასიანი ბარბი 19 ლარად იყიდებოდა, თუმცა ბავშვობისდროინდელი სანატრელი ბარბის ახალი მოდელი თავის პროფესიული აღჭურვილობის კომპლექტით 130 ლარამდე ღირს.

მალაზია "ბარბის" დირექტორის, რამაზ სუხიშვილის თქმით, თავიდან, რამდენიმე წლის განმავლობაში ორნახევარჯერ მეტი თოჯინა იყიდებოდა, ვიდრე ახლა; ბოლო სამი წლის განმავლობაში გაყიდვები შემცირდა. მსგავსი პრობლემა ბარბის სხვა

ქვეყნებშიც აქვს - მიუხედავად 40 წლის განმავლობაში ათვისებული მრავალი პროფესიისა, ტანწერილი ბარბის ვიდრე თამაშებისა და მალაზიის ტექნოლოგიური სათამაშოებისთვის კონკურენტის განევა გაუჭირდა - გასული საუკუნის ბოლოს გაყიდვები მთელ მსოფლიოში შემცირდა. მიუხედავად ამისა, სტატისტიკური მონაცემებით, 3-დან 11 წლამდე ასაკის ამერიკელ გოგონას საშუალოდ ათი ბარბის თოჯინა ჰყავს, იტალიელს შვიდი, ხოლო გერმანელს ხუთი.

თუმცა, ჯულია გიორგი ერთ-ერთი არატრიპური ბავშვობის მქონე ამერიკელი მულატი ბავშვი იყო 70-იანი წლების დასაწყისში - მას ბარბი არ ჰყავდა - მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა მუქკანიანი ბარბი, რომელიც მხოლოდ 80-იან წლებში გამოვიდა.

დიდი ბიზნესები ამერიკაში, ეტყობა, გარაჟში ინახება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბარბისაც, მაკინ-ტომის მსგავსად, სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი. გარაჟში რუთ და ელი-ოტ პენდლერის ოჯახი სუვენირებს

აკეთებდა და ყიდა; შემდეგ ელიოტ პენდლერმა და მისმა მეგობარმა ჰაიროლდ მელსონმა ჩარჩოების და სათამაშო სახლებისთვის ავეჯის კეთება დაიწყეს და დააარსეს კომპანია, რომელმაც სახელი Mattel ქართული მეთოდით, დამფუძნებელთა სახელების შერწყმით მიიღო.

ბარბის ისტორიის თანახმად, რუთ პენდლერი (1916-2002) ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში დააფიქრა ქალაქის ჩვილებით მოთამაშე საკუთარმა ქალიშვილმა, რომლის სახელიც, ბარბარა, შემდეგ მსოფლიოში ცნობილ თოჯინას დაერქვა. დედამ გადაწყვიტა, რომ გოგონას უფრო მეტად უფროსი დის ტიპაჟი დაეინტერესებოდა, რომელსაც მოზარდის სხეულის ფორმები ექნებოდა და რომელიც მიბაძვის ობიექტი იქნებოდა და არა მოსაველე პატარა ბავშვი. თუმცა, საკუთარი იდეის გენიალობაში Mattel-ის ხელმძღვანელების დარწმუნება მხოლოდ ევროპაში მოგზაურობის შემდეგ შეძლო. 50-იანი წლებში რუთ

პენდლერმა შეეცარიაში აღმოაჩინა გერმანული კომპიქსების, რომლითაც მეორე მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცები ირთობდნენ თავს, პერსონაჟის - მაცდური, მაგრამ მაინც ბავშვური გარეგნობის ლილის თოჯინა.

1959 წელს ნიუ იორკის თოჯინების ბაზრობაზე პირველად გამოჩნდა კომპანია Mattel-ის ბარბი. იმავე წელს მისი 351 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა თითო 3 დოლარად. 1997 წელს კი ბარბის გაყიდვამ მილიარდ ცხრაასი მილიონი დოლარი მოიტანა - კომპანია Mattel-ის პროდუქცია 150 ქვეყანაში იყიდებოდა.

შავ-თეთრ საბანაო კოსტიუმში გამოწყობილმა თინიჯერმა გოგონამ წლების განმავლობაში სახე შეიცვალა, ჯერ ექთან იყო, მერე უფრო "გონიერი" ექიმი გახდა, მერე, 1968 წელს ლაპარაკიც "ისნავლა", ზღვაზე გაირეჯა, 80-იან წლებში შავკანიანი ბარბიც გამოჩნდა, რომელსაც ვარდისფერპიჯაკიანი საქმიანი ქალი მოჰყვა, დრო და დრო ბარბი მეგობრებსაც იძენდა, მათ შორის, გოგონე-

ბის მოთხოვნით მეგობარი ბიჭიც გაიჩინა - ამჯერად პენდლერების ვაჟის, კენის სახელის მატარებელი.

"მისი მეშვეობით ბავშვებს შეუძლიათ იყვნენ ისინი, ვინც სურთ; ის ყოველთვის ადასტურებდა ფაქტს, რომ ქალებს აქვთ არჩევანის საშუალება," - ამბობდა "ბარბის დედა" და ფემინისტების რისხვის ობიექტი რუთ პენდლერი.

მიუხედავად თავდასხმებისა და ბოლო დროს შემცირებული გაყიდვებისა, კომპანია პოპულარობას ინარჩუნებს და ტრადიციისამებრ, თითქმის ყოველ წელს ახალ თოჯინას უშვებს, რომელსაც კოლექციონერები გამოსვლისთანავე ყიდულობენ.

ერთ-ერთი ასეთი თოჯინა თბილისში, მოხუცთა პანსიონ "სავენეში", ქალბატონ დონატას ოთახის კედელზე ბინადრობს და ბარბისთვის უჩვეულო გარეგნობით გამოირჩევა - თოჯინის ჩაცმულობაზე მისი ამჟამინდელი "დედობილი" ზრუნავს, რომელიც მისთვის კაბების კერვით იხალსებს ცხოვრებას.

-  სპიპერი, 1964
უპირაღი და
-  ფრინა, 1966-76
აიასვილი
-  ტუტი, 1966-71
და
-  ტოლი, 1966-68, 1991
ქა
-  ჯაზი, 1989
აიასვილი
-  სტივისი, 1992
და
-  კელი, 1995
და



- ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული თოჯინა მსოფლიოში, რომლის გაყიდვებიდან ამოღებული თანხამ თითქმის ორ მილიარდ დოლარამდე მიაღწია.
- 3-დან 11 წლამდე ასაკის ამერიკელ გოგონას საშუალოდ ათი ბარბი აქვს.
- ბარბის თოჯინები ამჟამად მსოფლიოს 150 ქვეყანაში იყიდება.
- პენდლერების ვაჟს ერქვა კენი, რომელიც მოგვიანებით ტვიზის სიმსივნით გარდაიცვალა. ბარბის დანარჩენმა მეგობრებმა სახელები პენდლერების შვილებისადმი დაარსების, ტოლისა და შერილისგან შეიძინეს.
- ბარბი "ამერიკის დროის კაფსულში" შეინახეს იმ ნივთებთან ერთად, რომლებიც მომავალ ათასწლეულში უნდა გაიხსნას და შთამომავლობას წარსულის ღირსშესანიშნაობანი გააცნოს.
- რუთ პენდლერმა კომპანია Mattel-იდან წასვლის შემდეგ, თავად მკერდის სიმსივნე გამოვლინდა, ხელუწერი მკერდის წარმოება დაიწყო და მერე ზღმობდა, რომ ცხოვრება მკერდთან მკერდამდე გაატარა.



სახლი, ოჯახი, საუკუნე



ანა კორძაია-სამადაშვილი

1937 წელს უეროვნებო ჩეკისტებმა დახვრიტეს 44 წლის ვახტანგ კოტეტიშვილი, ხოლო 55 წლის შემდეგ, 1992 წლის 2 იანვარს (ხალხის რწმენით მედობის დღეს!!!) "ეროვნულობისთვის მებრძოლებმა" სამჯერ გაძარცვეს ვახტანგ კოტეტიშვილის სახლი და, ვინაიდან თავად ვახტანგ კოტეტიშვილი აღარ იყო ცოცხალი, საგულდაგულოდ დაცხრილეს მისი პორტრეტები. სახლს თურმე სამჯერ გაუჩინეს ხანძარი, სამჯერვე ჩააქრეს მეზობლებმა, რომლებსაც ბოლოს ავტომატები მიუშვირეს და უბრძანეს: - შეეშეთ, ეს სახლი უნდა დაიწვასო.

ვახუშტი კოტეტიშვილი, "ჩემი წუთისოფელი"

შეიძინა ნლის შემდეგ ვახუშტი კოტეტიშვილის სახლი ვახტანგ კოტეტიშვილის ქუჩაზე კვლავ აშენდა. თუმცა ახალი სახლია, ოჯახის მეგობრები ყოველთვის გაკვირვებით აღნიშნავენ, რომ მასში ძველი სახლის სუნი ტრიალებს.

გუგა კოტეტიშვილი: "ბევრს უთქვამს, რომ სახლი ჩვენს ძველ სახლს გავს, არადა არ გავს, გავს სული. იგივე სულია, ისევე მე და ვახუშტი ვართ. დაუფიქრებლად გა-

სი უმცროსი ვაჟის, გუგასა და შვილიშვილის, ტატოს მეგობრებს. სავარაუდოდ ადგომა და მისაღები ოთახიდან გასვლა ძნელი საქმეა, პირადად მე ნამდვილად მიჭირს ხოლმე ამ მყუდრო ადგილის დატოვება.

ყოველ მისვლაზე სიახლეს შენიშნავთ, მასპინძლის ყოველი მოგზაურობის შემდეგ რაღაც იცვლება, კოტეტიშვილების სახლს ახალი ქვეყანა ემატება. ბოლოს გუგა ინდოეთში იყო, ჩამოსულმა ფოტოგამოფენა გააკეთა, "ინდოეთი კვადრატებში". ცალკეული ნამუშევრები სახლში აქვს გამოფენილი.

გუგა: "ნამუშევრებისათვის ჩარჩოები მთლიანად ოთხი ლარი და მიჯდა. თუნუქის ფურცლებია, ფოტოები ზედ დაეკარი. მე მგონი, ლამაზი გამოვიდა."

გუგა სილამაზეს სრულიად მოულოდნელი მასალისგან ქმნის, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, არაფრისგან. გრამოფონი განათებისთვის აქვს გამოყენებული, კარადას, რომელიც მანამდე სადარბაზოში იდგა და რომლის თავიდან მოცილებაც მისი უწინდელი მფლობელის ოცნება იყო, აქ თვალს ვერ მოწყვეტთ. ყოველი სკამი, ყოველი ჭიქა, ყველაფერი, რასაც ამ სახლში ნახავთ, გუგას შერჩეული და ნახევალაია.

თავად გუგას შესახებ წერა საკ-

კოტეტიშვილის ფრესკებითა და იაპონური ქოლგით.

გუგა: "ყველა ნივთი, კიჩიც კი, შეიძლება იყოს გამოფენულად ლამაზი, გააჩნია, რა გარემოში ჩასვამ." ოთხილსში, სადაც ყველაფერი ყველაფერს მიაშენეს, ცოტა მოულოდნელია გუგას სააბაზანოს არსებობა.

გუგა: "საწოლი ოთახი ვაქციე აბაზანად. ალბათ, რამე დათმობაზე უნდა ნახვიდე, თუ რამე გინდა. ისე, წარმოუდგენელია, რომ ოთახი გააუქმო. ჩემი აზრით, სააბაზანოს არანაკლებ სჭირდება ფანჯრები, ვიდრე მისაღები ან სასტუმრო ოთახს. თუ ადამიანისთვის ბანაობა და პიგიენა საერთოდ მნიშვნელოვანია, ალბათ უფრო სასაბუნოა, როცა მზე შემოდის და ყვეაილები დგას. მეტ ხანსაც გაჩერდები და შეგიძლია სტუმრებზე მიიღო, თუნდაც ზამთარში, იმიტომ რომ თბილა. რაც შეეხება პომპეის ფრესკას, ძალიან მარტივია: ქსეროქსითაა გადღებული და ფურცელ-ფურცელ მივაკარო."

ამ ოჯახებში ფულს არა აქვს მინიჭებული ამ ქვეყნიური ბედნიერების საპატიო ფუნქცია. იგი მხოლოდ არსებობის ერთ-ერთი უბრალო საშუალებაა და არა საწუკური მიზანი.

გუგა: "ამ სახლის კონცეფციაა - ნახე, რისი საშუალება გაქვს. მინიმალური თანხები. გამოძრომის სა-



ლევან სილაგაშვილი, ფოტოგრაფი



მოვიდა ასე, ყოველგვარი კონცეფციის გარეშე.

ქვეყანა მხოლოდ ლანდშაფტი არ არის და ქალაქი მარტოოდენ შენობებისა და ქუჩების გეგმარებით არ ამოიწურება. მთავარია, შიგ ვინ ცხოვრობს და რა სული ტრიალებს.

კოტეტიშვილების სახლი არის დიდი, ლამაზი, მრავალფეროვანი, მყუდრო და ძალიან სტუმართმოყვარე. როგორც ერთი ხშირი სტუმარი მიხსნიდა, მეტისმეტად სტუმართმოყვარეც კი. თუმცა, ის ფაქტი, რომ კოტეტიშვილების სახლის კარი მუდამ ღიაა, უკვე მხიარულების საგანი გახდა. 1999 წელს რეჟისორმა რუსულად გლურჯიძემ და ოპერატორმა გაია ფალომემ გადაიღეს ფილმი, სადაც სასიყვარულო ისტორია იმხანად ნეპალში სამოგზაუროდ წასული გუგა კოტეტიშვილის სახლში ვითარდება. თუმცა თავად მასპინძელი მხოლოდ ფილმის ბოლოს აღებს კარს, ის მთავარი მოქმედი გმირია, რადგან ასეთი ამბავი მხოლოდ მის სახლში შეიძლება განვითარებულიყო.

აქ შეხვდებით უამრავ სიმპათიურ ადამიანს, სამი თაობის წარმომადგენლებს - ბატონ ვახუშტის, მი-

მაოდ რთული საქმეა: ფერმწერი, დიზაინერი, ფოტოგრაფი და - რაც ნაკლებადაა ცნობილი - პოეტი. გუგას თქმით, ის მხატვარია.

გუგა: "ოთხი წელი ნიკოლაძეში ესწავლობდი, შეიძინე - აკადემიაში. მე მიმარჩნია, რომ მხატვარი ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ ნებისმიერი ჩემი ოთახი ჩანახატია და არა ზომებში შესრულებული ნახაზი. რასაც ვაკეთებ, ვაკეთებ ინტუიციით: შეედივარ და ვხედავ, რაც უნდა იყოს. ვეყრდნობი პირველ შთაბეჭდილებას. ამან გაამართლა. ადრე ას ვერინატს ვაკეთებდი ხოლმე, ბოლოს მაინც პირველს ვუბრუნდებოდი. პირველი ასოციაციაა მთავარი. ყოველთვის ამართლებს. არანაირი მეცნიერული მიდგომა არ გამარჩნია."

ამ სახლის შესახებ უამრავი თქმულა და დანერგა, თან ბატონ ვახუშტიზე უკეთ ვერავინ გაიმბობთ, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ერთ ადგილს შევხვებით - სააბაზანოს.

თუკი გუგამ იქ მიიბაძაფათა ჩაის დასალევად, ნუ ჩათვლით, რომ გადაირია ან ზედმეტად ფაშილარულია. ეს ყველაზე მზიანი ოთახია და, შესაბამისად, ყველაზე თბილი. თქვენ მოხვდებით სრულიად განსხვავებულ სამყაროში, პატარა ნალ-

შუალება. კონცეფცია ისაა, რომ ფული ცოტაა."

ამგვარი მიდგომა ალბათ ყველასათვის მისაღები იქნებოდა. გუგა ინტერიერს და ავეჯს მასალიდან გამოიმდინარე აკეთებს.

გუგა: "მასალას, რომელიც ყრია, დატვირთვას ვაძლევ. მაგალითად, კაფე "აპოლოსთვის" მაგიდა გავაკეთე. იქვე, ქუჩაში, ძველი წყლის ბაკი ეგდო, დაჭრილი და დაუხანგული. გავრეცხე, ლაქი ნაფუსი და მშვენიერი გამოვიდა. ბაღში რომ სკამი დგას, ოდესღაც ძველი ქიშკირის ზედა ნაწილი იყო, მეგობრებმა მომიტანეს. საქართველოში დიზაინერის საქმიანობა რთული რამაა, თუნდაც უსასწრობის გამო, თორემ ისე გამოიყურება ყველაფრის შეიძლება. მე მომწონს ძველი ნივთები. უფრო იაფია, ვიდრე ხარისხიანი, ლამაზი, თანამედროვე ნივთი. ძველი ნივთებს აქვს ისტორია, თან მართლაც ლამაზია, კარგია"

ქუჩიდან შემოჭრილი ტექნიკური პროგრესის ხმაური ვერ აფრთხობს ძველი ნივთების ელემენტარულ სუფევას. აქ ვერ აღწევს პლასტმასისა და სინთეტიკის ესთეტიკა და ამ სიმყდროვეში ყველაფერს თავისი იერი აქვს და არა დიზაინი.

საით გარბიან სილიკონის ბურთულაში?

(ქართველი მამაკაცები ოქროს შუაღებს ამჭობინებენ)

ენო სვანიძე

ქართველი ქალები ბუნებით არტისტული ვართ და ჩვენთვის ალბათ არასოდეს იქნება სულერთი – როგორ გამოვიყურებით. მითუმეტეს ახლა, როდესაც ქალის გარეგნობაზე ზრუნვის ამდენი საშუალება არსებობს და ინფორმაციასაც უღევად ვფლობთ.

ჩვენ უკვე ზეპირად ვიცით, როგორ იცავს მსოფლიო, რა მეთოდებით ინარჩუნებენ ახალგაზრდულ იერსა და სილამაზეს უცნობი ქალები, ზუსტად ვიცით, ამა თუ იმ ვარსკვლავს სხეულის რომელი ნაწილი კორექტირებით მიაღწია გარეგნობის სრულყოფას და ჩვენც, ქალური ბუნებიდან გამომდინარე, ძალიან მოგვწონს და ვეთაყვანებით ამ სრულყოფილებას. ბუნებრივია, გვიჩნდება სურვილი, შეძლებისდაგვარად ჩვენც დახვეწოთ ჩვენი გარეგნობა.

თავის მოვლის დასავლური მეთოდების წყალობით ქართველი ქალები უფრო მოვლილებად გამოვიყურებით, ვიდრე ჩვენი დედების თაობა ჩვენს ასაკში, ოღონდაც, ბოლო დროს, პოლიუდურმა იდეალმა ოდნავ შედგინა ვაკუუმი. საქართველოში საგრძობლად გახშირდა გარეგნობაში ქირურგიული ჩარევების რიცხვი – მკერდისა და ტუჩების

ყველაფერს ხუთი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ქართველი მამაკაცი.

დათო გომართელი:“სიმღერის სიტყვები გამახსენდა – “ერთი ნახვით დაგიპრობენ თბილისელი ქალები”... სხვათა შორის, ამ სიტყვებს მართლა გულწრფელად ვმღერო. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ყოფილვარ. თბილისელი ქალები არავის არ გვანან. ერთ დროს მათ მართლაც ჰქონდათ რაღაც ისეთი განსაკუთრებული შარმი და პენი, როგორსაც სხვაგან ვერსად შეხვდებოდი. გული მწყდება, ქართველი ქალები ამ შარმს რომ კარგავენ. რა თქმა უნდა, ყველაზე ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ბოლო დროს ჩვენი ქალაქში ძალიან გახშირდა არაბუნებრივი ერთნაირობა. ქალის გარეგნობაში პირველ რიგში ბუნებრიობას ვაფასებ და ძალიან მაღიზიანებს ეს მასობრივი სილიკონიზმი. შეუძლებელია სინტეტერესო და მიმზიდველი იყოს ამდენი ერთნაირი ტუჩი და მკერდი. ჩემი აზრით, მოსაზრებელი უფროა.

ქალმა, რასაკვირველია, თავს უნდა მოუაროს, ოღონდ ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ყველაზე დიდი შედეგური მაინც ბუნებრიობაა. ვფიქრობ, ქიმიური ინექციებით ნაოჭების გაქრობა არ ღირს, იმიტომ რომ, ქალი თუ ხანში შედის, ნაოჭიც გაუჩნდება. უნაკლოები არც კაცები ვართ. როცა ქალი გიყვარს – თავის ნაოჭებიანად

ზიდეგლად და საინტერესოდ გამოიყურებოდნენ.”

დუტა სხირტლაძე:“ქალმა, თავისი ჩაცმულობით, შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს სხვა ადამიანები. ბრმა მიბაძვა ხშირად კომიკურ სახეობს. მახსოვს, ქართველმა ქალებმა პირველად რომ ნახეს ფილმი – “ლამაზი ქალი”, ვვლია რობერტის კინოგამრის მიზაძვით, მაღალი წინდებით, მოკლე კაბებითა და დეკოლტეებით (ერთდროულად) სიარული დაიწყეს. ამ პერიოდში ერთი ევროპელი სტუმარი მყავდა. მე და ეს კაცი თბილისის ქუჩებში რამდენიმე საათს ვსვირნობდით. სტუმარმა დღის ბოლოს გულწრფელი აღფრთოვანებით მითხრა – რა კარგი ქალაქი გაქვთ, რამდენი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი დადისო. ყოფაქცევა იქით იყოს და მოკლე კაბა და დეკოლტე ერთდროულად, საერთოდ ზედმეტი სიმშველი, გემოვნების ნაკლებობის მიმანიშნებელია.

სილიკონის მკერდანი და ტუჩებიანი ქალები სექს-შოპების გასაბერი რეზინის თოჯინების ასოციაციას მიეძინან. ასეთმა თოჯინამ შეუძლებელია ჯანსაღი მამაკაცის ჯანსაღი ინტერესი გამოიწვიოს...”

ლამაზი და მოვლილი ქალი, რა თქმა უნდა, აკაცის სიამაყეა, ოღონდაც არა იმ მეთოდით, რომელიც ქალის სახიდან მიმიკას აქრობს. მამაკაცები ხომ ყველაზე მეტად მამინ

რომ მამაკაცის წარმოსახვას მისთვის არც ძალიან ბევრის ჩაცმა მოუხდეს და არც ძალიან ბევრის გახდა.

არაბუნებრივ, სილიკონიან მკერდებსა და ტუჩებს რაც შეეხება, ძალიან მაფრთხობს ეს ყველაფერი, იმიტომ, რომ არ ვიცი კონცის დროს საით გაიქცევა სილიკონის ბურთული, ან საერთოდ ვისკენ გაიქცევა...”

მამუკა არაშვიძე:“ზედმეტი გულახდილობით ჩაცმული ქალი, ბუნებრივია, იზიდავს მამაკაცის მზერას, ოღონდაც ნამდვილი ყურადღების მისაქცევად მხოლოდ მზერა არ კმარა. ყურადღება თვალების გარდა გულისხმობს გონებასაც და გულსაც. ქალი რომ დაილაპარაკებს, ნამდვილი ინტერესი, ან უინტერესობა მის მიმართ მერე მიჩნდება. ქალი, თავისი ჩაცმულობით, პირადულობას უნდა გამოხატავდეს. უნდა ეცვას მორგებული ტანსაცმელი – ის, რაც უხდება.

ჩაცმულობაში ზედმეტი თვალსაჩინოება, ქალური ფორმების აშკარად გამოძვლება, მამაკაცის ინტერესს უფრო აპასიურებს, და პირიქით – როდესაც ქალის ჩაცმულობაში იდუმალეობა იგრძნობა, ანუ როდესაც მას ისე აცვია, რომ თავისი ფორმები მხოლოდ მიგანიშნებს – კაცის ინტერესი უფრო იღვიძებს. მამაკაცს უნებს ფიქრი, ფანტაზიის მოხმობა და ბუნებრივია, რაც მეტს ფიქრობს,

ესთეტიკური და რეკონსტრუქციული პლასტიკური ქირურგიის ცენტრის – “მედლაინის” – ხელმძღვანელი, პროფესორი **ივა კუზანოვი:**

“ჩვენი დაკვირვებით, ქართველი ქალები ბოლო დროს უფრო ხშირად მიმართავენ პლასტიკური ქირურგიის მეშვეობით გარეგნობის გაუმჯობესებას. თუ მარმინ კვირაში ორი ასეთი ოპერაცია კეთდებოდა (ტუჩები, მკერდი, გავა...), ნელს, საშუალოდ ათი, თორმეტი ოპერაციის გაკეთება გვინებს. ინფორმაციისა და სხვადასხვა საშუალებების ხელმისაწვდომობამ, ბუნებრივია, საგრძობლად იმოქმედა გემოვნებაზე. ჩემი აზრით, ქალები ასეთ ოპერაციებს, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის იკეთებენ. სურთ საკუთარ თავში უფრო დარწმუნებულები იყვნენ. მიაჩნიათ, რომ ეს მეტ სექსუალურობასა და მიმზიდველობას ანიჭებთ.

როგორც მამაკაცს, მიმანიჩია, რომ ეს ყველაფერი ქალის მიმზიდველობა და სექსუალურობისთვის მნიშვნელოვანია, ოღონდ აუცილებელი პირობა სულაც არ არის.”

თული გემოვნება? დასავლურობა ჭარბობს თუ აღმოსავლურობა? ვფიქრობ – არცერთი. უფრო მეტად იგრძნობა ორ უკიდურესობას შორის წონასწორობის დაცვის სურვილი.

ბუნებრივია, თანამედროვე ქართული გემოვნების და მით უმეტეს, მოდში თავისთავად ქართული სტილის დამკვიდრება ასეთი ზოგადი და ზედპირული მსჯელობით არ მოხდება. ეს ყოველივე გაცილებით სერიოზულ ფიქრსა და ჩაღრმავებას მოითხოვს, ოღონდაც ალბათ საგულისხმოა, რომ იმავე პოლიუდურ მიზეზებზე წარმატებულმა ვარსკვლავმა – პენელოპა კრუსმა და ჯენიფერ ლოპესმა სწორედ თავიანთი სპეციფიკურად ნაციონალური

გარეგნობისა და იმიჯის შენარჩუნებით მიაღწიეს ასეთ დიდ წარმატებას. პენელოპა კრუსი, თავისი ტიპიური ესპანური გარეგნობით, ყველა ინტერვიუში ხაზს გასმით აღნიშნავს თავის ესპანელობას და ამ იმიჯს უფრო თბილედება. ჯენიფერ ლოპესმა კი, თავისი სრულიად არაპოლიუდური, ლათინური ალნაგობით მთელი პოლიუდო დაარწმუნა, რომ სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდეს ყველაზე სექსუალური ქალი.

ალბათ, ამავე უფრო დაწვრილებით ქართველმა დიზაინერებმა და სტილისტებმა უნდა იფიქრონ. უნდა იფიქრონ ცნობილმა ადამიანებსაც – ყველამ, ვინც დღეს საქართველოში მოდის კანონმდებლად გვევლინება.



ალან მარტი, ფოტო



ალან მარტი, ფოტო

სილიკონით კორექტირება, მიმიკური ნაოჭების ქიმიური ინექციის მეშვეობით გაქრობა და ოპერაციის შედეგების ამკარა დემონსტრირება. ქართველი ქალების ყოველდღიური ჩაცმულობა დასავლეთში საღამოს წვეულებებზე მიღებული სტილის უადგილო გადმომღერებას დაემსგავსა. ქართულ გემოვნებაში გაჩნდა სტანდარტისაკენ ლტოლვის გადაჭარბებული და მეტ-ნაკლებად არასწორად გაგებული ტენდენცია.

ამასობაში კი, სრულიად არ ვითვალისწინებთ, რომ შოუ-ბიზნესსა და კინოინდუსტრიაში მოღვაწე ქალებს სრულყოფილებისთვის თავდაუზოგავ სიბეჭეთეს მათი პროფესია ავალღებს. ასეთი მონდომებისათვის მათ მილიონებს უხდიან და მსოფლიო პეზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება ამ ქალების პირდაპირი მოვალეობაა.

ვის ჭირდება ჩვენი, არავარსკვლავი ქართველი ქალების ასეთი გადაჭარბებული მონდომება?! იქნებ მამაკაცებს?! ქართულ მოდის დღეს ძირითადად ცნობილი ქალბატონები აკანონებენ. ჩვენს გემოვნებას სულ უფრო ნაკლებად განაპირობებს მამაკაცის აზრი, არადა საინტერესოა, როგორ აფასებს ამ

გიყვარს. სიყვარული ისეთი აუხსენელი და ყოვლისშემძლე სულიერი ძალაა, შეიძლება კაცს, თვითონაც რომ არ მოელოს, ისეთ ფასეულობებზე ათქმევინოს უარი. სერიოზულ ურთიერთობაში ნაოჭებზე ფიქრი მართლა სასაცილოა.”

ლევან გაჩეჩილაძე:“ქალის მშვენიერებას მხოლოდ გარეგნობა არ განაპირობებს. სასურველი ქალი – ეს არის ბუნება, ხასიათი, ქცევა, ზოგადი განათლება, ჩაცმის კულტურა, დედობის ნიჭი და ამ ყველაფრის გემოვნებით წარმოჩენის უნარი. ჩაცმულობაც და მაკიაჟიც ქალის მთელ ამ მინაგან სამყაროზე უნდა მეტყველებდეს. შეიძლება ქალს ეცვას უძვირფასესად და ვერ იხედვდეს, როდესაც ზოგიერთს შეუძლია საკუთარი შეკერილი ტანისამოსითაც არაბუნებრივად გამოიყურებოდეს.

ქალის გარეგნობაში ნებისმიერი არაბუნებრივი ჩარევის წინააღმდეგი ვარ – თუ, რა თქმა უნდა, ეს მისი პროფესიული მოთხოვნის მიზეზით არ ხდება. არაბუნებრიობა თავისთავად სიმახინჯეა. სხვათა შორის, გონიერი ქალები ყოველგვარი ქირურგიული ჩარევებისა და ზედმეტი გაშიშვლების გარეშეც ახერხებენ, მამაკაცისათვის მი-

ვამაყობთ, როდესაც ჩვენი ქალების სახეზე ბედნიერ გამომეტყველებას ვხედავთ. ქალმა თუ ასეთი გამომეტყველების მიღება ვერ შეძლო, რაღა ფასი აქვს ან სილამაზეს, ან ახალგაზრდულ იერს.”

რატი ამაღლობელი:“ძველად, ჩაცმა რიტუალური ფუნქციონირებდა და ადამიანის ესთეტიკურ კრიტიკის უმებს შეესაბამებოდა. ჩაცმულობის მიხედვით შეიძლებოდა ადამიანის პირადულობაზე გემსჯელობა, მიხედვით – სულიერების, თუნდაც რელიგიურობის რა საფეხურზე იდგას თუ ის ადამიანი. ახლა ეს ყველაფერი აირია.

ქალის ჩაცმულობაში ყველაზე მეტად აკადემიურობას, კომფორტულობას ვაფასებ. მომწონს, როდესაც ქალი ტანისამოსში თავს მოხერხებულად გრძნობს. სამნიღებაა ტანისამოსისაგან დაძაბული ქალის ყურება. საერთოდ ჩემთვის ქალის ხასიათი უფროა ვნების აღმწერელი, ვიდრე მისი სხეულის დაფარულობა ან გაცხადებულობა. ქალის შინაარსია ჩემთვის პოეზია და არა – დეკორაცია. ისე კი – კაცს ისეთი თვალისაქვს, მისთვის საინტერესო ქალს წარმოსახვით ხდის და აცმევს კიდევ. ქალს ალბათ ისე უნდა ეცვას,

ინტერესიც მატულობს.

ცნობილია, რომ აზიის ქვეყნებში შეიქმნა ფილოსოფიის რანგში აყვანილი მოძღვრებები სექსისა და სიყვარულის ხელოვნების შესახებ. ალბათ ღირს გარკვეულწილად მათი გამოცდილებაზე გაითვალისწინოთ. რა თქმა უნდა, ჩადრის აპოლოგეტი არ ვარ, ოღონდ დასავლური სტილის ბრმად გადმოღებაც გაუმართლებელი მგონია.

სილიკონის მკერდი და ტუჩები, როგორც ამობენ, ემოციურად უტყვის, ამიტომაც ბუნების წინააღმდეგ აჯანყებად და საერთოდ ნონსენსად ვთვლი.”

ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ხუთი მამაკაცის საერთო აზრი ალბათ ქართველი მამაკაცების გემოვნების ზოგად სურათს ასახავს. მაინც როგორია ეს ქართული გემოვნება? როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქართველი მამაკაცებისათვის სასურველი ქალბატონი? რესპონდენტების ერთობლივი აზრი ასეთია: ჩაცმულობასა და იერში გემოვნებით ასახული შინაგანი კულტურა, გარეგნობის ბუნებრიობა, არც მეტისმეტი დაფარულობა და არც მეტისმეტი გაცხადებულობა.

და მაინც, საითკენ იხრება ქარ-



ალან მარტი, ფოტო



ქართველები ობერპაუზენში

ობერპაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს. აქ თავისი პირველი ნამუშევრები პკონდათ წარდგენილი მარტინ სკორსეზეს, ჯორჯ ლუკასს, დევიდ ლინჩს, ვერნერ პერცოგს, ფრანსუა ოზონს.

- 1954 პილმან პოფმანმა დააარსა დასავლეთ გერმანიის საგანმანათლებლო ფილმის ფესტივალი.
- 1959 პოფმანის ფესტივალს სახელი შეეცვალა და "დასავლეთ გერმანიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი" ეწოდა.
- 1978 დაარსდა საბავშვო კინოს პროგრამა.
- 1991 ფესტივალს დაერქვა "ობერპაუზენის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი".
- 1993 ვიდეონამუშევრებს მიენიჭათ კონკურსში მონაწილეობის თანაბარი უფლება მოკლემეტრაჟიანი ფილმებთან ერთად.
- 1999 მსოფლიოში პირველად ჩატარდა მუსიკალური ვიდეოს ფესტივალი ჯილდოთი MuVi.



ანა ქვბლაშვილი

მაშინ, როცა მუსიკალური ინდუსტრიის კორპორაციული მანქანა უფრო და უფრო მეტად მიმართავს აუდიტორიის სპეციფიურ ჯგუფებს, Game მსმენელს სთავაზობს ლირიულ, დაუდევარ პოეტურ დაკვირვებას, წყნარსა და უცნაურად მშობლიურს, - ასე შეაფასა ნიკა მაჩაიძისა და ტუსა ბერიძის ვიდეოკლიპი Game ობერპაუზენის მოკლემეტრაჟიანი

ფილმების ფესტივალის ფიურში და მას მუსიკალური ვიდეოს კონკურსის მეორე პრიზი მიაკუთვნა.

კლიპის გადაღების პროცესი უკვე თამაში იყო - სარკე, ორმაგი გამოსახულება, გადასვლები რეალურიდან დამახინჯებულ სამყაროში; ქუჩები, სახლები, ადამიანები და სარკეები - ყველაფერი არეკლილი სარკეში მსუბუქი ელექტრონული მუსიკის თანხლებით.

ნიკა მაჩაიძეს საქართველოზე მეტი მსმენელი ევროპაში ჰყავს, სადაც

მას Nikakoi-ს სახელით იცნობენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ Nikakoi-ს დისკი Sestrichka გერმანულმა ჩამწერმა კომპანია WMF-მანელს, თებერვალში გამოუშვა და მუსიკალური მაღაზიების თაროებზე გამოსაჩენ ადგილას მოათავსა. ალბომის ყდაზე ნიკა მაჩაიძე "გოსლაბის" წევრად და მოხსენიებული.

"გოსლაბი", მოხუცდავად მისი საბჭოური დასახელებისა და პროდუქცი-აზე ბერძნულენოვანი წარწერისა, ახლად შექმნილი ახალგაზრდული შე-

მოქმედებითი ორგანიზაციაა, რომლის სახელსაც უკავშირდება ციურის-ში თამუნა ქარუმიძის, ზაზა რუსაძისა და სალომე მაჩაიძის ფილმების ჩვენება, ჯგუფური გამოფენა, ნინო ჩუბინიშვილის მოდების მოუ და ელექტრონული მუსიკის კონცერტები.

ტუსა ბერიძე: "არსებობს სივრცე A კუთხიდან B კედლამდე. იმისათვის, რომ შეიქმნოს შენი თავი, ჯერ ამ სივრცეს უნდა შეეხო, რაშიც "გოსლაბი" საინსტალაციო დისკის როლს ასრულებს."

მსოფლიო ჩემპიონატი უბურთოდ

აიძინა მახაშვილი



აიძინა - პირველი თოქსა

კაცობრიობა უკვე შეეჩვია, რომ ყველაზე დიდ სპორტულ მოვლენას - მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში, ოთხი წელი უნდა ელოდოს. კაცობრიობამ ისიც გააცნობიერა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი მეგრად მეტია, ვიდრე ფეხთ ბურთის თამაში. მსოფლიო ჩემპიონატი - ეს არის ასტრონომიული თანხები, ზღვარგადასული ემოციები, კონტინენტალურ დონეზე აყვანილი დაპირისპირება, ეროვნული თვითყოფადობის გამოხატვის საუკეთესო საშუალება, ეკონომიური და კულტურული განვითარების სტიმულატორი.

დაწყებული პირველიდან, ყველა ჩემპიონატისთვის მზადდებოდა ოფიციალური პლაკატი, რომელიც ასახავდა მსოფლიოს უდიდესი თამაშის სულს. პლაკატი არა მარტო მოვლენის აღნიშვნის მატარებელია, არამედ მნიშვნელოვანი ღვაწლი შეაქვს იმაში, რომ საოზგადობამ ეს მოვლენა ხელოვნების ფორმით დაიმასსოვროს. პირადად მე, 1982 წლის ჩემპიონატს ისე ვერ ვიხსენებ, თვალწინ რომ არ დამიდგეს ხუან მიროს მიერ შექმნილი პლაკატი.

იმის გამო, რომ გუშინ დაწყებული ჩემპიონატი პირველად ტარდება ერთდროულად ორ ქვეყანაში და თანაც, აზიაში, გადამწყდა, რომ პლაკატი კორეულ პოუნ ჩუ საკსა და იაპონელ პირანო სოგენს ერთობლივად შეეკმნათ. აზიელმა კალიგრაფისტებმა დავალებას ბრწყინვალედ გაართვეს თავი და ორ დღეში შექმნეს პლაკატი, რომელიც გაერთიანებულია ორი კულტურა, დრამა, სიჩქარე, ელევანტურობა, ანუ ყველაფერი ის, რაც ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია.

1966 წლიდან ჩემპიონატებს პლაკა-

ტების გარდა, თილისმებიც ახალისებს. ამ ტრადიციას ინგლისელმა ჩაუყარეს საფუძველი და უნდა ითქვას, რომ მათ მიერ შექმნილი ლომის ბოკერი "ვილი", საერთო აღიარებით, ჯერჯერობით შეუდარებელია.

მოგესვენებათ, მიმდინარე ჩემპიონატი პირველია ახალ ათასწლეულში. ამის და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობების გათვალისწინებით, დამოკიდებულება თილისმებისადმი, კონცეპტუალურად შეიცვალა. აზია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებული და მიმზიდველი მიიქვების სამშობლოა; ადგილი, სადაც წარმოსახვას და ფანტაზიას დიდი გაქანება აქვს. აქ აგრეთვე მაღალ დონეზე განვითარებული მულტიმედია ცენტრია. მოკლედ, სამგანზომილებიანი ანიმაციის გამოყენებით შეიქმნა სამი თილისმა - ატო, კაზი და ნიკი, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში თქვენთან ერთად გაივლიან მოულოდნელობით ალასვე გზას ჩემპიონატის გახსნიდან ფინალურ მატჩამდე.

შეგიბრებას მუსიკალურად "სონი" უზრუნველყოფს. მან იზრუნა ჩემპიონატის სიმღერის შექმნაზე, რომელსაც ამერიკელი პოპ-ვარსკვლავი ანასტასია შესარულებს. ოფიციალური ჰიმნი კი ბერძენ კომპოზიტორ ვანგელისს ეკუთვნის. "სონი" აგრეთვე გამოუშვებს კომპაქტ-დისკებს, სადაც ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნების მუსიკოსების ჩანაწერები შევა.

ერთი სიტყვით, წინ დიდებული თვე გვაქვს!



მსოფლიო თასი 2002 - ოფიციალური ჯგუფი




პირველი მსოფლიო ჩემპიონატი პლაკატი



საქართველო 1982 - პირველი ხაზი მთელი



მსოფლიო თასი 2002 - ოფიციალური პლაკატი



სონი, ატო და ნიკი - 2002 წლის ჩემპიონატი თილისმები



23 წლისა, ამერიკაში გავემგზავრე და მერე ნიუ-იორკში ყოველდღე დავდიოდი ენის კურსებზე. უცხოელებისთვის ტარდებოდა. შერეული ჯგუფი იყო. მრავალი ეროვნების ხალხი. სინამდვილეში უფრო ერთმანეთს ვესაუბრებოდით, ვიდრე ვსწავლობდით. ჰოდა, იქ ერთი ქართველი ქალიც იყო. უფრო გოგო ეთქმოდა. ფრიად თავისებური ფიგურა ბრძანდებოდა. ექიმობა უნდოდა. ყველა ჰოლივუდში მოხვედრაზე ოცნებობდა ან რამე ასეთი, იმას კი უნდოდა ექიმი გამხდარიყო. პირველად ქართველ ქალს ასე შევხვდი.

პრეტონ

გვარდი 2

ბრუნებებების

სიყვარულის უნივერსიტეტი

“სიყვარულის უნივერსიტეტი 1865 წელს ვლადიმერ ვაინბერგმა დააარსა პატარა ციხე-სიმაგრეში, ამჟამად სლოვენიად ცნობილ მხარეში. მრავალი ხელოვანი ცდილობდა უნივერსიტეტამდე მიღწევას, მაგრამ მოკვდა, სანამ მწირობას შეძლებდა. სიყვარულის უნივერსიტეტი გაცილებულია ილუზიისა და რეალობის ზღვარს. უნივერსიტეტი დაგეხმარებათ ისეთი ოცნების შექმნაში, რომელსაც რეალობა ვერაფერს დააკლებს. ათიათასობით მამაკაცი და ქალი განიკურნა სიყვარულის სენისაგან სიყვარულის უნივერსიტეტის წყალობით. ვლადიმერ ვაინბერგის საქმის გამგრძელებლები ცდილობენ უნივერსიტეტი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადონ ჩვენს ბნელ დროში. ამიტომ ვართ აქ, დღეს, თქვენთვის.”

არნონ გრუნბერგი

არნონ გრუნბერგის სიყვარულის უნივერსიტეტი

ანა კოჩია-სამადაშვილი

სიყვარულის უნივერსიტეტს თქვენც შეგიძლიათ ეწვიოთ, <http://www.arnongrunberg.com>-ზე, ამ უნივერსიტეტის გალერეას სამი დარბაზი აქვს: დონ კიხოსის, მარიამ მაგდალინელის და არნონ გრუნბერგისა. პირველი ორის ვინაობას არ შევეხებით, მხოლოდ არნონ გრუნბერგის შესახებ გიამბობთ.

არნონ გრუნბერგი დაიბადა 1971 წელს ამსტერდამში. 23 წლის ასაკში დაწერა “ლურჯი ორშაბათები” და მაშინათვე გაითქვა სახელი. მანამდეც წერდა. ამბობენ, რომ ვუნდერკინდია და საერთოდ გენიალობაზე აქვთ ეჭვი. 1997 წელს, როცა ნიუ-იორკში გადასახლდა და რესტორანში

დაიწყო მიმტანად მუშაობა, დაწერა რომანი “სტატისტიკები” და საბოლოოდ მოიგო მკითხველისა და კრიტიკოსების გული. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ცხრა ენაზე, ორიოდ აბზაცი – ქართულადაც.

ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრის წყალობით არნონ გრუნბერგი საქართველოს ეწვია. ავტორმა საკუთარი ტექსტები კავკასიურ სახლში წაიკითხა და იქვე გაიმართა საუბარი ნიდერლანდელ მწერალსა და ქართველ ლიტერატორებს შორის. შესაძლოა, მომავალში თბილისელებმა ისევე გაიხსენონ მისი ვიზიტი, როგორც კნუტ ჰამსუნის “ლონდონში” ცხოვრების ამბავი. ვნახოთ.

არნონ გრუნბერგს ვატო წერეთლისა და მისი მშვენიერი მეუღლის, ინგრიდ დებრავეს დახმარებით შევხვდი ბარნოვის ქუჩაზე, რაინერ კაუფმანის Biergarten-ში, “ლუდის ბაღში”. არნონი უაღრესად სასიამოვნო მოსაუბრეა, მოკრძალებული და დელიკატური. ბევრს იცინის და არაჩვეულებრივი იუმორი აქვს.

როგორ მოხვდა არნონ გრუნბერგი საქართველოში?

არნონი: ინგრიდ დებრავეს მოწვევა იყო. დამირეკა და მკითხა, რას იტყვი, რა აზრისა ხარ საქართველოში ჩამოსვლაზე. ამ ქალბატონს არ ვიცნობდი, მაგრამ ვიფიქრე, სერიოზული მოწვევაა-თქო და დავინტერესდი. ცნობისმოყვარე ვარ. სიამოვნებით ნამოვდი.

ერთ მოთხრობაში ქართველი ქალი გყავს ნახსენები. ცოტა სასაცილო პერსონაჟია. რა სულიერია, საიდან მოვიდა?

არნონი: ეგ კარგი ამბავია. 23 წლისა, ამერიკაში გავემგზავრე და მერე ნიუ-იორკში ყოველდღე დავდიოდი ენის კურსებზე, უცხოელებისთვის ტარდებოდა. შერეული ჯგუფი იყო, მრავალი ეროვნების ხალხი. სინამდვილეში უფრო ერთმანეთს ვესაუბრებოდით, ვიდრე ვსწავლობდით. ჰოდა, იქ ერთი ქართველი ქალიც იყო. უფრო გოგო ეთქმოდა. ფრიად თავისებური ფიგურა ბრძანდებოდა. ექიმობა უნდოდა. ყველას ჰოლივუდში მოხვედრაზე ოცნებობდა ან რამე ასეთი, იმას კი უნდოდა ექიმი გამხდარიყო. პირველად ქართველ ქალს ასე შევხვდი.

ტიპიური ქართველი ქალი ყოფილა?

არნონი: რა ვიცი... ასე ვიტყვით: არ ვიცი. ალბათ, არა. ისე, ვერ ვიტყვი, როგორია ტიპური ქართველი ქალი და ვერც ტიპიურ ჰოლანდიელ მამაკაცზე შევძლებ რაიმე გითხრათ...

ცეცს ნოოტებზემმა თქვა, ბერლინში იმიტომ გადავედი საცხოვრებლად, რომ ამსტერდამში მეპატარავაო. არნონ გრუნბერგის შტატებში გამგზავრება რას დავაბრალოთ? შენც გეპატარავა?

არნონი: ეგ ალბათ ჩემი ნიუ-იორკში დარჩენის მიზეზი იყო. ჩასვლით კი ნიუ-იორკში სულ მარტივად ჩავვედი. იქ ჩემი მეგობარი ქალი იყო. ის ნიუ-იორკში დაიბადა და აუცილებლად იქ უნდოდა მუშაობა. ფსიქონალიტიკოსი იყო და ამბობდა, ყველაზე მეტი ჩემი პაციენტი ნიუ-იორკში ცხოვრობს. მეც ვიფიქრე, ჩავალ და ვნახავ, როგორ იქნება ჩემი საქმე-თქო, და მერე იმდენად კარგად ვიგრძენი თავი, რომ დარჩენა გადაწყვიტე და ახლა ველარც წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ამსტერდამში დავბრუნდე. სინამდვილეში ცეცსი აღარ ცხოვრობს ბერლინში, დაბრუნდა. მას სახლი აქვს ესპანეთში და ხან იქაა, ხან ამსტერდამში. როცა მხედება ხოლმე, სულ ამბობს, რომ ამერიკაში, ნიუ-იორკში უნდა, მაგრამ არსად არაა წამსვლელი. ეგ უფროსი კაცია, აღარაა ახალგაზრდა, ამსტერდამში ჰყავს ყველა: ნათესავეები, მეგობრები. ამსტერდამელია. მე რა, მაშინ ჰოლანდიაში დედა მყავდა, ეგ იყო და ეგ, ნიუ-იორკში კი ჩემი მეგობარი ქალი იყო, მეგობარი ეგ მყავდა. თავისუფალი კაცი ვიყავი, შემეძლო სადაც გამიხარებოდა, იქ წავსულიყავი და როგორც ვატყობ, ახლაც ასე ვარ.

შენს შესახებ უცნაურ ამბავს ყვებიან, ვენელ ორეულზე რა ამბავია, საერთოდ, რა იდეა იყო?

არნონი: მე ადრინადად დავინყე წერა. ბევრს ვწერდი. თითქოს დაკვეთა იყო: ყოველ კვირას პატარა მოთხრობები ჟურნალისთვის, ჩემგან უკვე რალაცას ელოდნენ, თითქოს ისეთი უნდა ვყოფილიყავი, როგორსაც მოელოდნენ. მაშინ ვიფიქრე, რომ ახალი ვილაცა მჭირდებოდა, უნდა მენახა, როგორ მიიღებდნენ, სინამდვილეში როგორი გამოხმაურება მექნებოდა. თავიდანვე ვიცოდი, ასე გადაწყვიტე, რომ ეს სადმე გერმანულენოვან სივრცეში უნდა მომხდარიყო, ბერლინში, ავსტრიაში ან შვეიცარიაში. ბოლოს ვენაზე გავჩერდი, მაშინ თითქოს მძიმე, ბნელი ქალაქი იყო...

ახლაც ასეთია...

არნონი: ჰო, იმედი მაქვს, მეც ასე მგონია. ეს კაცი კარგად იკითხებოდა, კარგად მიიღეს, ოღონდ არც გამომცემლებთან მიდიოდა ხოლმე, არც ჯილდოების გადაცემაზე, საერთოდ, არ ჩანდა. მერე რალაც აურზაური ატყდა, გაზეთებში ერთი ამბავი

იყო, თქვეს, ეგ გრუნბერგიაო. ერთი ხანი ვაცადე და მერე ვთქვი, რაც იყო.

ესე იგი, მოკალი.

არნონი: ჰო... არა, ეგრე არაა, ის ახლაც აქაა. როგორ მოვკლავდი. რა ვიცი. საამისოდ მეტისმეტად სენტიმენტალური ვარ. ამ კაცს მარიკ ვან ბერიახტი

ჰქვია. ძალიან დამეხმარა მწერლობაში.

შეგიძლია თქვა, რომ საუკეთესო ნიგნი უკვე დაწერე? რომ რომელიმე შენი ნიგნი ისეთია, რომ კვლავ ასეთის დაწერას ისურვებდი?

არნონი: არა. არა, მაგას არასოდეს ვიტყვი. ასე თუ იქნა, ველარ დაწერ. მე ხომ უნდა ვწერო, ძალიან ბევრი უნდა ვწერო. თუ სხვაგვარად იფიქრე, მაშინ წერა უნდა შეწყვიტო. ჰო, რა ვიცი... მე იმედი მაქვს, რომ განვითარებას განვაგრძობ, სულ უკეთ და უკეთ დაწერ. ვგრძნობ, რომ კარგად წერა შემიძლია. აი, გაზეთისათვის რომ ვწერ მოთხრობებს: ზუსტად ვიცი, რომ ყოველ 14 დღეში ერთხელ შემიძლია ისეთი რამე გავაკეთო, რაც ადამიანებს გაახარებს, სიხარულს მოუტანს. ყოველი ჩემი ნიგნი, მოთხრობებიც, წინაზე უკეთესია, მე ასე ვფიქრობ. აწი კიდევ უკეთესებს დაწერ. ყველაზე კარგი ჩემი უკანასკნელი ნიგნი იქნება.



არნონ გრუნბერგი

ლევან ხაჩაველიძის ფოტო

სარჩევი	
კრიტიკა	
მალხაზ ხარბედია გვ. 3	უხილავი ბადე
გიორგი ლომჯანიძე გვ. 5	არის კი რამდენიმე გაკვეთილი სრულიად საკმარისი?
კოეზია	
ჭანაშვილი გიორგი გვ. 7	ტიკარაძე ლექსები
პროზა	
დავით ქართველიშვილი გვ. 8	ზრდა ანუ იყო მესამე მოთხრობა მამას
ბესო ხვედელიძე გვ. 9	მძიმე დღე
თარგმანი	
ჭარუკი მურაკამი გვ. 11	ალმოდებული ფარდულები შუალამისას
2x1	
კარლოს ფუნტესი გვ. 14	დაუსრულებლობის ხელოვნება
უმბერტო ეკო გვ. 15	საჰაერო მანევრები

მალხაზ ხარბაძია

ზაზა თვარაძის პროზაში ხშირად შეხვდებით კლასიკური ლიტერატურიდან შემოხეტებულ მოტივებსა თუ პერსონაჟებს და მისი ნაწარმოებები სავსეა სხვადასხვა ავტორზე მინიშნებით. მათი ამოცნობის წინაპირობად, როგორც წესი, მწერლის ოსტატობა იქცევა ხოლმე და ეს ოსტატობა ორჯერ უფრო სასიამოვნოს ხდის იდენტიფიკაციის პროცესს. ზაზა თვარაძის, როგორც მწერლის ჩამოყალიბებაში, დიდი როლი, სწორედ სხვა მწერლებმა ითამაშეს და მისი "პროზაული ხელოვნების" წყაროებიც XIX-XX საუკუნეების ინგლისელ თუ ამერიკელ მწერალთა შორის უნდა ვეძიოთ. ზაზას სტივენსონისა და უელსის გადაკითხვა ურჩევნია ფრანგული ან რუსული რომანების კითხვას და ამიტომაც მის მოთხრობებში ნარატიული, თხრობითი საწყისი ქარბობს. ზოგან იგი კლასიკური შესავლის ნამდვილ ოსტატად წარმოგვიდგება, ხან რთული, მრავალსლონიანი აღწერებითა და ბიოგრაფიული ცნობებით იწყებს ამბავს, ხანაც მოჩვენებითი თუ ნამდვილი არჩევანის წინაშე აყენებს თავს და წერასაც ამ გაურკვეველი გრძნობით შეუდგება ხოლმე - "არ ვიცი რით დავინყო ამ ამბის თხრობა - ჩემი ბინით, თუ ჩემი მეგობარი ზაალით."

ეს "გაურკვეველობა" დიდხანს არ გრძელდება, მალე ყველაფერი ამბის, თხრობის გამჭვირვალე საბურველში იშლება და ავტორი უკვე მეორე, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგება: იგი ეძებს საშუალებებს, რათა მკითხველს ის ფარული სიტუაციები წარმოუდგინოს, რომელთაც საერთოდ უბიძგეს მოთხრობის დაწერა მას და რომელთა ამბად გარდაქმნაც, როგორც წესი, რთულ ამოცანად ჩანს ხოლმე. ასეთი სიტუაციების აღწერისას მწერლები ერთ შემთხვევაში ზედმეტად აზუსტებენ და აკონკრეტებენ სათქმელს, ანუ ე.წ. დეტალიზებულ თხრობაზე გადადიან, მეორე მხრივ კი რალაც რიტორიკული ილეთებით ახერხებენ თავის დაძვრენას. ზაზაც, შეიძლება ითქვას, კლასიკური, ზოგადი ფრაზებით გვაუწყებს იმ იდუმალის შესახებ, რომელსაც გმირი თხრობის ან მოქმედების პროცესში ეზიარება და ამით თითქოს კმაყოფილდება კიდევ: პერსონაჟებს მიუწვდომელი სკნელეზიდან ეწვევათ ხოლმე "ელვისებრი ზემთაგონება", თუ არა და ისინი თავად დაჩალიჩობენ "საკუთარი გულისა და გვამის ფსკერზე, ცნობიერების წიაღში, სისხლძარღვების ბლანტსა და უცნაურ ხლართში." ისინი "უცნაურ უწონადობასა და მინიდან მონყვეტილობას" გრძნობენ, "უცნაური უპასუხისმგებლობა და განმხოლოებული არსებობის განცდა" ეუფლებათ და ა.შ. ერთი სიტყვით, ავტორი გაურბის კონკრეტულ სახეებს (როგორც ვნახავთ, ეს ყოველთვის ასე არაა) და ერთგვარი რომანტიკული რეზიუმეებით ამთავრებს თხრობით სიტუაციას. მაგალითად, მოთხრობაში "დამშრალი მდინარე" ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს - "ეჰ, რა ხანია, რაც ეკლესიაში არ მივსულვარ! როგორი უცვლელია აქ ყველაფერი...", რასაც მყისვე მოსდევს შინაგანი რეაქცია, რომელსაც მთავარი გმირი თავის საყვარელ ქალში ამოიკითხავს: "უეცრად თავისი ჭროლა თვალთ დაინახა, თუ იგრძნო, რომ მარინას მკერდში თითქოს რალაც ღრმად ჩამარხული უხილავი გუნდი შეირხა - თითქოს ნაყოფი იძრა."

ზაზასთან ხშირია სიტუაციები, სადაც ქალის "რბილი სხეული და მოლურჯო თვალთა ზღვისებრი მზერა რალაც უხილავ მოლივლივე ტალღებს" გამოსცემენ, მთხრობელი კი თავს ისე გრძნობს, თითქოს "ყველაფერს უხილავი, მჭიდრობადე გადაფარებოდა." ავტორი ამგვარ მოვლენათა უცნაურობას, უხილავობას უსვამს ხაზს, რაც შემდეგ უთქმელობაში გადაიზრდება და იგი საბოლოოდ დუმილის რიტორიკად ყალიბდება.

იგივე ვითარებაა ზაზას ლექსებშიც, თუმცა პოეტური მეტყველების თავისებურებათა გამო ეს "იძულებითი რეზიუმე" ეფექტური ფინალის წინაპირობად იქცევა ხოლმე. მაგალითისთვის მინდა შემოგთავაზოთ ირონიული, და რითმის თვალსაზრისით ძალზე მახვილგონივრული დასაწყისი ლექსისა "დილოგი":

**"- ჩემო ჩიორა, იცი რა გითხრა?
- რა უნდა მიიხრა, შე ნაბიჭვარო!
- მაღალი არის ჩვენი მთაწმინდა,
ანკარა არის ჩვენი წინწყარო!"**

რომელსაც მოსდევს სწორედ იმ ე.წ. "უხილავის", მნიშვნელოვანის გამოთქმის, მისი ამბად თხრობის მოთხოვნილება და როგორც გითხარით, პოეტური ენის თავისებურებათა გამო, ავტორისთვის რამდენიმე სახე-ხატი სრულიად საკმარისი აღმოჩნდება ლექსის დასრულებისთვის:

**"- ეგ ხომ სუყველა დეტალებია,
შენ მითხარ რამე მნიშვნელოვანი.....
- გეტყვი, მაცალე, განა არ გეტყვი?!
დღეს ცაში დგამდნენ ბებრები კიბეს
მერე ცვიოდნენ, როგორც ბარტყები
და ენთლეოდნენ ასფალტის ძგიდეს.
ამ დროს კი ვიღაც ბრიყვი, უზრდელი
ხარხარებდა და თან კეკვს ლეჭავდა.
რომ არის რალაც, ღრუბლის
ზღურბლს ზევით,
ვფიქრობ, არ ჰქონდა ფიქრში ეჭვადაც!"**

ეს რაც შეეხება პოეზიას, პროზაში კი სულ სხვა სურათი იხატება: ზაზას მოთხრობებში შთაბეჭდილებათა ორი სერია, რეალური და ირეალური შთაბეჭდილებები მოქმედებს, ერწყმის, გამსჭვალავს ერთმანეთს. ისინი ერთნაირად, ერთ სივრცეში მოძრაობენ, ვიბრირებენ და ხშირად მათი გარჩევაც კი შეუძლებელი ხდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზაზას პროზა საუკეთესოდ მაშინ გამოიყურება, როცა იგი ირეალური, იდუმალი შთაბეჭდილებების სიუჟეტიზირებას ახდენს და ამბად გადმოგვცემს მას. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია, მაგრამ მოდით, ვიდრე მათ დავახასიათებდეთ, ის სეგმენტები მიმოვიხილოთ, სადაც თხრობის ნაკადი მუხრუჭდება, სადაც ავტორი ველარ გვთავაზობს "განვრცობილ პერიფრაზებს" (იგი მხოლოდ მოკლე პერიფრაზით, ან მინიშნებით კმაყოფილდება) და შევეცადოთ ამ ე.წ. განსჯადისკურსების სემანტიკაც განვსაზღვროთ.

ექსპოზიციის შემდეგ ავტორი ხშირად ფსევდორიტორიკული აღწერებით ანაცვლებს ამბავს და მზა ლიტერატურული კლიშეებით თუ რომანტიკული ფიგურებით ცდილობს შთაბეჭდილების მოხდენას, თუმცა მეორეს მხრივ კლასიკური პროზის პაროდირებით საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო ეფექტურად, კონტრასტების ფონზე აღვიქვათ აბსულუტურად თანამედროვე სიტუაციები. ერთ-ერთი გმირი თავის თანამგზავრ ქალბატონს ეუბნება: "ჩემი ცხოვრება მიაგავს უცნაურ, დაუბოლოებელ ამბავს. ასე მგონია, თითქოს ეს ამბავი შეიქმნა სადაღაც, რომელიღაც უცხო მწერ-

ლის ფანტაზიაში" და მოგვიანებით, როცა საქმეში გიგანტური ორანგუტანგი ერთვება, პერსონაჟი გრძნობს, რომ განცების სათამაშოდ ქცეულა. იგი თავის ცხოვრებას ერთ მთლიან გაელვებად წარმოიდგენს ("ეს ცხოვრება სადაღაც სხვა განზომილებაში დარჩა, როგორც სიზმარი."), მკითხველს კი მყისვე ედგარ პოს "მკვლელობა მორგის ქუჩაზე" ახსენდება.

ხშირად ზაზას მთხრობელებს ან რიგით პერსონაჟებს პუბლიცისტური ჟინი წამოუვლით, მაშინ უნდა ნახოთ როგორ გაშლიან ხოლმე ყალბი რიტორიკის აფრებს ეს მოქადავე ჯეელები, ლომისფაფარაშლილი ოქროპირები უსიამოვნო, მეტალისებრი ხმითა



ზაზა თვარაძე

მარიკა ავალიაშვილის ფოტო

უხილავი ტყუარა

ნას, თუმცა მეორეს მხრივ კლასიკური პროზის პაროდირებით საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო ეფექტურად, კონტრასტების ფონზე აღვიქვათ აბსულუტურად თანამედროვე სიტუაციები. ერთ-ერთი გმირი თავის თანამგზავრ ქალბატონს ეუბნება: "ჩემი ცხოვრება მიაგავს უცნაურ, დაუბოლოებელ ამბავს. ასე მგონია, თითქოს ეს ამბავი შეიქმნა სადაღაც, რომელიღაც უცხო მწერ-

და უხილავი ორიენტირებისკენ მიპყრობილი მტკიცე მზერით. ისინი მსოფლიო კატაკლიზმების შესახებ საუბრობენ, ათეულ ათასობით ადამიანის ბედს "განაგებენ" და საქართველოს ისტორიასაც არ ივინყებენ: "ნუ გავამაპრტავანდებით! ნუ გავამაპრტავანდებით! რომელმა ერმა დაანგრია თავისი ტაძრები? რომელმა ერმა გაანადგურა თავისი საუკეთესო შვილები?! მღვდლებსა და ბერებს ტყის ნადირივით დასდევდნენ..."

ზაზა ზოგჯერ პროფესიონალი ფსიქოლოგივით განსჯის (საქმე იმაში გახლავთ, რომ მას ფსიქოლოგიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული), ფსიქიკის უმცირესი დეტალებიდან მთლიანობას, მონადას, ადამიანური ფსიქიკის მოზაიკურ სურათს აგებს და ვრცლად მიმოიხილავს ამ უზარ-



მაზარ "მახინას": "ადამიანის სიღრმეებიდან მომდინარეობს უხილავი ძალები. ეს ძალები გარემოზეა მიმართული და ხასიათდება გარკვეული სიჩქარითა და ენერგიით. ზოგი ვექტორი დროში სადაც მიიღწევა. ზოგი სიკვდილამდე მიჰყვება კაცს. ხანდახან ორი ადამიანის ძირითადი სასიცოცხლო ვექტორები ერთმანეთს ემთხვევა და სინერ-

დეგნოთ იმ სიტუაციათა ლოგიკას, სადაც თბრობა განსჯებით მუხრუჭდება. უნდა ვაღიარო, რომ ხშირად ეს განსჯა-დისკურსები უცხო სხეულად აღიქმება, რადგან ცხადი ხდება, რომ ავტორისთვის არა იმდენად პერსონაჟის როლი და განცდები მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის ჩანაფიქრები და იდეები, რომლებიც მან ოდესღაც ვერ განახორციელა როგორც ადამიანი. ავტორი შორდება პერსონაჟებს, თბრობის ლოგიკას და შეიძლება ითქვას, ერთგვარი ექსტაზით მოგვითხრობს

(სადაც მარჯანიშვილის მეტროს სიახლოვეს) და რომ გმირისთვისაც ცხოვრებამ რაღაც უაზროდ ჩაიარა: "არა ჰყავს არავითარი კრიტიკოსი მეგობარი ვახტანგი და მისი კეთილი ცოლი ნათელა. არა ჰყავს ძმა. დედა რა ხანია, გარდაიცვალა. არა ჰყავს არავითარი დეიდა თემქაში - ამ ფიქრზე მწარედ მოეკუმმა გული - და თვითონაც არ არის ის, ვინც თავი ეგონა სიზმარში. არ ჰქვია ილო. არ არის ოცდასამი წლის. მწერალი." ზაზა თვარაძის პროზაულ (თუ პოეტურ) ნაწარმოებებში უხილავის ამგვარი სიუჟეტიზა-

თვლი მოგვარი მომცრო კალათს - ვილაცას ხენდროთი გაეცხო და აქ დაეტოვებინა." ამ სურათს კიდევ უფრო აკონკრეტებს ველოსიპედზე ამხედრებული ქოჩორაშლილი აისორი ბიჭის, მეველუდას გამოჩენა, რომელსაც მეგობრები ხენდროზე აგზავნიან და ერთი შეხედვით აბსურდული სიტუაცია მოგონებათა ჯადოსნურ აურაში გვახვევს და საბოლოოდ სამოთხის საოცარ ხატად იქცევა: "ალექს, მეველუდა შენი სახლისკენ გამოვუშვი ხენდროზე. დაკრიფოს, ხომ არ გეწყინება? - ჰკითხა ზაალმა.

ქოს ამბობდა: "არ მომეკაროთ!..." მეორე ფოტოზე იგივე ადამიანი გამოსახული წლების შემდეგ: "კაცი ფანჯარასთან ზის. სახის ნახევარი განათებული. კაცი საბჭედ მანქანას უკაკუნებს. კაცი - მაღალ გასაშლელ კიბეზე. ხელებით ჭერს ებჯინება, თითქოს ზედ აპირებს გადაცოცებას." დააკვირდით, კაცი ჭერზე აპირებს გადაცოცებას, ბუზივით თუ ობობასავით, ან რაღაც სხვა მწერივით. იქნებ მზისკენ წასვლას ცდილობს?! იქ, სადაც თბილა და სინათლეა. ოდესღაც დიდი ხოჭო, სახელად



გარია ახარკელაშვილის ფოტო



იმის შესახებ, რაც დიდი ხნის წინ ისწავლა და შეიძლება ითქვას, აქამდე ვერაფერში გამოიყენა. ზაზა თითქოს თავს იზღვევს, ვაითუ ფიქციაში ვაგუტითიო და ყოველთვის ამჯობინებს რეალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით წეროს (ეს შესაძლებლობები მასთან ლამის თანდაყოლილის სტატუსს იძენს). არადა ფიქცია გარკვეულ პასუხისმგებლობას მოითხოვს ავტორისგან და ცოდნა სწორედ რომ გამონაგონში თამაშობს მნიშვნელოვან როლს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზაზასთან შთაბეჭდილებათა ორი, რეალური და ირეალური სერია მოქმედებს, ისიც აღვნიშნეთ, რომ ავტორი ე.წ. რომანტიკული რეზიუმეებით სარგებლობდა ამ ირეალურთან შეხებისას, უფრო პოეტური ენისთვის დამახასიათებელ ლექსიკას იყენებდა და ვერ ახდენდა უხილავის ნარატივიზირებას. თუმცა გავიმეორებ, რომ ასეთი შემთხვევები არც ისე ხშირია, ძირითადად კი ზაზა სწორედ ირეალურ, დაუჯერებელ სიტუაციებს განაგრცობს ხოლმე და ისიც უნდა დავსძინო, რომ ცოდნას ამ ეპიზოდებში ძალზე უმნიშვნელო როლი ეკისრება. ამის კარგი მაგალითია მოთხრობა "ლიცენზონენბურგი" და მასში გადმოცემული სრულიად რეალური ამბავი, რომელიც საბოლოოდ სიზმარი აღმოჩნდება ("გაქცეულ მაიმუნში" პირიქით, ძალზე რეალური დეტალებითაა მოთხრობილი დაუჯერებელი ისტორია) და გაირკვევა, რომ არც მეტროს სათადარიგო სადგური ლიცენზონენბურგი არსებობს


ცია, როგორც წესი, ავტორის პირად გამოცდილებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული და იგი, შეიძლება ითქვას, დაკარგული სამოთხის ხატის შექმნას უწყობს ხელს. მოთხრობაში "ბინები" მთავარ გმირს დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მეგობარი შეხვდება: "- ზაალ! სად იყავი დაკარგული ამდენი ხანი! - შევეძახე და გადავეხვიე, სწორედ ისე, როგორც მაშინ, ს ი ზ მ ა რ შ ი. ოღონდ ახლა კბილებში ს ი ს ლ ი ს ზოლები აღარ ჰქონდა." - ამბობს გმირი. ამ ციტატიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ზაზას მოთხრობებში ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ ს ი ზ მ რ ე ბ ი და ს ი ზ მ რ ი ს მ ს გ ა ვ ს ი უცნაური სიტუაციები, ირეალური სურათ-ხატები. ერთი და იგივე არარსებული თუ გარდაცვლილი პიროვნება სიზმრის გარდა თურმე სხვაგანაც შეგიძლია ნახო, სადაც ლ ი ტ ე რ ა ტ - უ რ ი ს ე დ ე მ შ ი, გამონაგონის სივრცეში. იგივე მოთხრობაში ზაალთან ერთად მთავარი გმირი თავის სხვა მეგობრებსაც შეხვდება, იქვეა მისი დაც (უკვე ოთხი წელიწადი მონაზვნად აღკვეცილი), რომელიც დაიხრება და მარწყვს მონყევებს, კორპუსებს შორს ამოსულ მარწყვს: "აქ რამდენიმე ადგილას მინა დაბარული იყო და კვლებში ს ი ს ლ ი ს ფ რ ა დ ლ უ - ოდა ხენდროს ნათესები... ოთხივენი ხენდროს ნაყოფებს ვკრეფდით და ვჭამდით. მხოლოდ ერთი-ორი იყო ჭიანი, უმრავლესობა სადი და მწიფე გვხვდებოდა. მოულოდნელად იქვე, ხის ძირში

- აბა მეველუდა?
- აისორი ბიჭი. გაზეთების დამტარებელი.
ალექსა დინჯად ატრიალებდა აჭეს.
- დაკრიფოს, არ გავღარიბდები."
ზაზა თვარაძესთან ამგვარი ლიტერატურული ედემის ბალები ხშირად გვხვდება და მოთხრობაში "ბუზი ფანჯრის მინაზე" დახატული სურათი ჩემი აზრით საუკეთესოა მათ შორის, იგი ყველაზე უკეთ გვაზიარებს გამონაგონის ჭეშმარიტებასთან. მოთხრობის გმირს ერთი ძალზე უცნაური რუსი გოგონა მოსწონს, რომელსაც მტკიცედ სჯერა, რომ მამამისი გარდაცვალების შემდეგ ბუზად გადაიქცა. ეს ბუზი მუდამ თავს დაბუზის გოგონას, მოსვენებას არ აძლევს და თავისი არსებობით, ფრენის გიჟური ტრაექტორიით თუ ღმერთმა უწყის კიდევ რით, აუნყებს გოგონას, რომ იგი, მამამისი "ვერასოდეს გახდა ადამიანი, რადგან ვერასოდეს გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი" და რომ ცხოვრობდა იგი როგორც ბუზი ფანჯრის მინაზე, სინამდვილე კი ამ მინის მიღმა დარჩა (ალბათ გაგახსენდათ ფოლკნერის "ვარდი ემილისათვის"). ფინალურ სცენაში წყვილი ბუზის ფრენას აკვირდება, გულისგამანვირილებელ, ბრაზიან ბუზილს ისმენს და უეცრად ოთახის კედლებზე დაკიდული შავ-თეთრი ფოტოები იწყებენ საოცარი ამბის თხრობას. ესაა ბუზად ქცეული მამის ისტორია: "ერთ ფოტოზე იგი - ბავშვი - აბუზული იჯდა სამთვლიან ველოსიპედზე, თით-

გრეგორ ზამზა, სწორედ ასე მიიწევდა სინათლისკენ, უკანა ორ ფეხზე დგებოდა ხოლმე გაჭირვებით და მზეს ეფიცებოდა, ცდილობდა ქუჩის მოპირდაპირე მხარისთვის მიეწვდინა თავისი სუსტი, მწერული მზერა. უნდა ითქვას, რომ მწერებთან და საერთოდ, ცხოველებთან დაკავშირებული მეტაფორები ზაზას მოთხრობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ და მისი ნაწარმოებები საბოლოოდ მცირე ბესტიარიუმებს ემსგავსება, რომლებიც ანტიკური ხანის მეგაფეთა თუ შუასაუკუნეობრივი ფიზიოლოგების კვალად, ადამიანთა ხვედრზე მოგვითხრობენ და გარკვეულ ზნეობრივ განზოგადებებსაც ახდენენ (ოდესღაც ეკლესიის მამებიც ხომ ცხოველთა სამყაროში ეძიებდნენ ადამიანური ზნეობის საილუსტრაციო მასალას). მაგალითად, ზაზა თავის პირველივე მოთხრობის ("მინის უკან") ფინალურ სცენაში მკვდარ მწერს აღწერს, რომელიც ჟურნალ "ცხოვრება და კანონის" აბრის ქვეშ დაინახა. მწერს მინაზე მიეჭინა თავისი უმწეო სხეული და მომკვდარიყო. სინათლის მნატვრელი არსება უკვე დიდი ხნის წინ გამშრალიყო და გამოფიტულიყო: "ხის აბრა გამოეხრა გარესამყაროსკენ მომავალს, გვირაბი გამოეჭრა, მინის ზედაპირს მოსდგომოდა და აქ გახიურულიყო. ვეღარც უკან წავიდოდა - დაუძლეველი ინსტინქტი - სინათლის ტოპიზმი - მას სინათლისკენ ეწეოდა... იგი გაოგნებუ-

გიულად მოქმედებს....." ერთი სიტყვით, "გაჭირვებისას" ზაზა წვევებს ამბავს და ცოდნას მიმართავს, ოდესღაც ათვისებული (წლების მანძილზე გათავისებული) ენით ოპერირებს და ამაში პოულობს გამოსავალს. მოდი დავეუკვირდეთ ამგვარი წვევებების სპეციფიკას და თვალი გავა-





ლი მიიწვედა წინ, იყენებდა თავის ყველა უნარს, იძაბებოდა, აწვებოდა, სწამდა, სჯეროდა... მაგრამ რატომღაც, მისთვის აუხსნელი მიზეზის გამო, სიცოცხლემდე ვეღარ აღწევდა, რადგან ასეთი იყო ცხოვრების კანონი.

წინა აბზაცში იგავები და შუასაუკუნეობრივი ფიზიოლოგები ვახსენე და ბარემ იმასაც დაესძენ, რომ კლასიკური ფიზიოლოგების მოთხოვნებისთვის უცხო იყო ფაბულა, იგი უფრო აღწერებს წარმოდგენდა და არა ამბავს, რის გამოც ხშირად პრაქტიკული რეკომენდაციებიც ერთვოდა ამგვარ აღწერით ნარკვევებს. როგორც ითქვა, აღწერა-განსჯები ზაზასთან ხშირია ხოლმე და გვიანანტიკური თუ ბიზანტიური ფიზიოლოგიის კვალად, მასთანაც ადამიანი და ცხოველი გვერდიგვერდ დგანან, როგორც ზნეობისა და ბუნების განსახიერება. ისინი ჯვარედინად მოქმედებენ, ერთი მხრივ ცხოველის ზნეობას განსაზღვრავენ, მეორეს მხრივ კი ადამიანის ბუნებაზე ამახვილებენ ყურადღებას. ერთ-ერთი მოთხოვნის გმირი ისტორიკოსია, გიორგი ჩხიკვიძელი და ცხადია მის გარეგნობაშიც რაღაც ჩხიკვიური შეინიშნება (ყოველ შემთხვევაში, ასეთია ჟანრის ლოგიკა). იგი ჩხიკვივით აცეცებს თვალებს, მასავით დახტის მერხიდან მერხზე, პრობლემიდან პრობლემამდე, ისტორიის ერთი საკითხიდან მეორეზე, ეპოქიდან

ეპოქაზე და ვერ ამოურჩევია ის საგანი, რომელსაც ჩაუღრმავებოდა და ამოწურავდა. მას მხოლოდ ცივი ხმით ჩხავილი შეუძლია. "მისი სულის გატკეპნილ გრუნტზე მოუთმენლად ხტის ჩხიკვი და გააღმასებული ხმით ჩხავის "ალარასოდეს! ალარასოდეს!" - გვეუბნება ავტორი და ამით კიდევ ერთხელ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას სახელგანთქმული "ყორანის" ავტორისკენ.

ფიზიოლოგიაში ადამიანის სხეულებრივი ხატი მის ფსიქოლოგიურ ტიპს უკავშირდებოდა (ისევე, როგორც ამა თუ იმ ცხოველის ჩვეულება უკავშირდებოდა მის ნარმობაველობას), ანუ მასში ეთოსი, ზნეობა ისეთივე თვალნათლივი (პლასტიკური) და უცვლელი იყო, როგორც ეილოსი, გარეგნობა; თუმცა ერთი განსხვავებით, ცხოველი ვერასდროს მოიშლის თავის ჩვეულებებს, ადამიანი კი, თავისი არსით ცვლილებებისკენაა მიდრეკილი და როგორც მონანიე არსება, გამოდგებით იცვლის აზრს, ზნეს, ცხოვრების წესს.

საღვთისმეტყველო მორალიზმის მიხედვით, ადამიანი კარგად უნდა იცნობდეს ბოროტებისა და სიკეთის ნიშნებს, რათა თავად გააკეთოს არჩევანი. ზაზამაც, როგორც ჩანს, კარგად შეისწავლა ცხოველთა ეს ჰერალდიკა და ამიტომაც იგი ხან ჩხიკვს არჩევს ყვავ-ყორანს, ხან კი ქურციკობაზე ოცნებობს (მოთხრობაში "მაუგლი" მთავარი გმირი სწუხს: "ჯუნგლის წიგნში პატარა მაუგლის ბაყაყს უწოდებენ. ნუთუ არ შეიძლება სხვა რამ ეწოდათ? თუნდაც ქუციკი."), ხან ბელურად წარმოიდგენს თავის საყვარელ

ქალს, ხან კი ოფოფის სავარცხლით ამკობს პერსონაჟებს.

"სხვაგან, სხვა რეალობაში, გიორგი ჩხიკვი იყო, თამრიკო კი სინდიოფალა" - წერს ერთგან ავტორი და ისევე იმეორებს სინამდვილეს გაგვახსენებს, სადაც მის გმირებს "უღვათ ფესვები" და საიდანაც განმარტავენ ისინი თავიანთ არსებას. აქ კი, ამ წყალწალა რეალობაში, ისინი წყლით გაგუდულ, დასველებულ ჩხიკვებს ემსგავსებებიან, ქუჩაში პრიმატისებური გარეგნობის ადამიანებს ხვდებიან, აქციებზე გორილას აღნაგობის ჯარისკაცები არბევენ და ისინიც დამარცხებული ცხოველის პოზებს იღებენ, რათა გამარჯვებული თვისტომის აგრესია გაანელონ.

ერთ-ერთ მოთხრობაში ზოოპარკის დირექტორის კაბინეტი აღწერილი, სადაც კედლები ძალღებანი და მაიმუნებიანი კალენდრებითაა გადაჭრელებული, იქვეა მარტორქას ფოტოც, რომელიც "გოჭის მძინვარე თვალეობით იყურება ობიექტივში და მაყურებელს აღერილ რქას უმიზნებს", მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ თავად დირექტორი, სახელად ნუკრი, ცხოველური გარეგნობით გამოირჩევა - მაიმუნის მუქი ნითელი და ბანჯგვლიანი ხელები აქვს, ყბები გამობურცვია და წინ წამოწვილი წვეტიან კბილებს აკრატუნებს, უცნაურად უელავს ღრმად ჩამჯდარ შავი თვალეობი და ა.შ. - გაქცეულ (თუ სიზმარეთიდან მოვლენილ) მაიმუნზე კი ამბობენ, იქნებ ყოფილი მოქალაქეაო, რითაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ზაზას მოთხრობებში ასეთი ინვერსიებისას ადამიანი ცხოველით "განიმარტება" და პირიქით: მაგალი-

თად, ზაზასთან ხოჭო ადამიანით აქნევს თავს, მთელი ხმით წივის და შველას ითხოვს, "ხ ე ლ ე ბ ი თ გულ-მკერდიდან იგლეჯს კაციჭამიებს" (ანუ ჭიანჭველებს), ადამიანები კი ცხოველებით დუმან ხოლმე, ანდა ბუტბუტებენ.

ხომ ხედავთ, ისევე დუმილს დავუბრუნდით, დუმილს და მასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ ხერხებს, თავისებურ რიტორიკას, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ავტორი უფრო მეტად პოეტურ ილეთებს იყენებს, ვიდრე პროზისთვის დამახასიათებელ სვლებს. ზაზას პროზაულ ნაწარმოებებში ხშირია რეფერენები და პოეტური ჩანართები, ერთგან მისი გმირი "არ დაიჯეროს" მოტივით საკუთარ თავს რაღაც უცნაურ კითხვებს შეჰლიწინებს, შემდეგ კი "ბურღულუნებს": "თქვი, არჯაკელო ხვიარა, ქსანზედ ვინ ჩამაიარა? რავი, მე იმის პატრონი, აქ ყარაულად კი არ ვარ!" და იქვე დასძენს - "კარგა ხანს თავში უროსავით მირტყამდა სიტყვათკომპლექსი: "თქვი არჯაკელო! თქვი არჯაკელო!..." და მისი ექო რიტმულ გუგუნად გაისმოდა ჩემი თავის ქალის შიგნით, სადაც ძილს ადაღვი ძილს შორის. შემდეგ რაღაც სხვა, სასონარკვეთილმა ხმამ უპასუხა: "რა ვთქვა, მღვდლო, რა ვთქვა, მღვდლო, რა ვთქვა!"

გარკვეულ მომენტებში მწერალი მართლაც ვერაფერს ამბობს, მას ისლა დარჩენია კითხვები დასვას, ან პოეტური მეტყველებით კიდევ უფრო მოუხელთებელი გახადოს ის განსაკუთრებული, რამაც მას წერისკენ უბიძგა. ასეთ ვი-

თარებაში ზაზა ბოლომდე იხსნება: "მკვდარი მკვდარი და თავისი არარსებობით იგი არაფერს ამბობს. არაფერი თავისი ჯოჯოხეთური სიღრმეებიდან უშუალოდ შემოდის ადამიანთა გონებებში. ისინი სხედან და იგონებენ რაღაცას, რაც ემბრიონით ჩასახულა ამ არაფერში. ისინი მუცელღებულ დედებზე გარს ეხვევიან არაფერს. იღვრება ვაგინალური წყლები. ისმის ქვესკნელის ბნელი წყლების ხმაური. ისმის დოქებში ჩასხმული ღვინის ლიკლიკი..." - ასე აღწერს იგი ერთ-ერთ ხსოვნის საღამოს და "ლექსაც" მოაყოლებს მთელ ამ რიტუალს: "...ისმის სიცილი და დამალავი ტალღების გულში იშლება აფრა. ღვინოს შემოაქვს ხმები, ბგერები, ის არადაც აცოცხლებს ბგერებს, საათები კი, წერის მწერლები, კვლავინდებურად უსასოდ ძგერენ..."

"ისმის ქვესკნელის ბნელი წყლების ხმაური" - ამბობს ავტორი, ჩვენთვის კი ნათელი ხდება, რომ ეს ხმაური სწორედ იმ "აზრთა წყალქვეშა დინებასთანაა" დაკავშირებული, რომელიც ედგარ პოს აზრით იდელოზობას სქენდა ნაწარმოებს (იგი ამის საილუსტრაციოდ "ყორანის" ბოლოსწინა სტროფზე მიუთითებდა ხოლმე მკითხველს - ნისკარტით განგმირულ პოეტის გულზე, ლექსის ერთადერთ მეტაფორულ სახეზე). უნდა ითქვას, რომ ზაზა თვარაძეც ამ წყალქვეშა დინებებს აყურადებს ხოლმე და როგორც "პოეტს, მეოცნებესა და ბედუინს" ხშირად ჰგონია, რომ მთელი ეს სივრცე და დრო, მთელი ეს ლიტერატურული ედემი მას ეკუთვნის, მხოლოდ მას.

მაისის ლიტერატურული პრესის მიმოხილვა

არის კი რამდენიმე გაკვეთილი სრულდად საკმარისი?

გიორგი ლოხვაძე

ბოლო პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა ჟურნალ "არილის" აღდგენა გახლდათ. თავისთავად, ის ფაქტი, რომ ფინანსური მიზეზით, მთელი 10 თვით დაბრკოლდა ამ უმნიშვნელოვანესი ჟურნალის გამოცემა, ბევრ რამეზე, პირველ რიგში კი, ქართული საზოგადოებრიობის ინდიფერენტულობაზე მიუთითებს. შარშან, "არილის" იუბილეზე იმდენმა ადამიანმა მოიყარა თავი, რომ თითოეულ ამ ადამიანს ჟურნალის ერთი ნომერი რომ მაინც ეყიდა, მისი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს დადგებოდა. კითხვას რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ "არილი" მასში გამოქვეყნებული მასალების აკადემიურობის მიუხედავად, მაინც ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი და კითხვადი ჟურნალია, რაც, ძირითადად, პუბლიკაციათა მრავალფეროვნებისა და არაერთგვაროვნების ხარჯზე მიიღწევა. თუმცა, წლებადელი პირველი ნომერი, შესაძლოა, სწორედ აუდიტორიასთან რამდენიმე თვითიანი, იძულებითი გან-

შორების გამო, ჩემი აზრით, ტრადიციულად მრავალფეროვანი ვერ გამოვიდა. ამ ნომერში დაბეჭდილი ტექსტების უმრავლესობა, შეიძლება ითქვას, პოსტმოდერნული ნიშნითაა აღბეჭდილი; უფრო ზუსტად - პოსტმოდერნიზმის იმ ერთ-ერთი ძირითადი ნიშნის მატარებელია, როცა უკვე არსებული სიუჟეტების, თემების, სახეებისა და თვით ციტატების "უბრჭყალებოდ" გამოყენებითაც იქმნება ახალი ლიტერატურული ღირებულება. ამ მხრივ, "არილის" აღნიშნული ნომერი, ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების ერთგვარ მოდასაც კი ასახავს. "არილის" ე.წ. პოსტმოდერნისტული ტექსტებიდან უნდა გამოვარჩიოთ ამ მიმართულების ყველაზე მკაფიო ნიმუში: კუბელი მწერლის, გილერმო კაბრერა ინფანტეს "სიები" ქართულად ადექვატური ექსპრესიულობით რომ უთარგმნია ქეთი კუპაძემ. ეს მოთხრობა არის მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება, თვით უინტერესო ჩამონათვალაც კი ნიჭიერი მწერლის ხელში ნამდვილ ლიტერა-

ტურულ ღირებულებად იქცეს და მკითხველს სიხალის განცდა დაუტოვოს. სხვათა შორის, ამ ეფექტის მიღწევას გილერმო კაბრერა ინფანტე პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი იმ ძირითადი ნიშნის ირონიზებით ახერხებს, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ.

ბესო ხვედელიძეს კი თავის მოთხრობაში "კლარა" მკითხველზე ზემოქმედების მოხდენა, უფრო ზუსტად, მკითხველის მოკირება, ეპატაჟის საშუალებით მოუხდომებია. სხვისა არ ვიცი და მე, პირადად, ეს ოპუსი არ მომეწონა. ბესო ხვედელიძის ამ ტექსტს, როგორც ბავშვის წინსაფარს - ფაფის ნარჩენები, ისე აჩვენია ლიტერატურული გავლენების კვალი, რომელთა დაფარვაც ავტორს არგოტიზმებისა და სკაბრეზის უხვი გამოყენებით უცდია. ის ლიტერატურული ხერხები, რომლითაც ბესო ხვედელიძე აგებს თავის ტექსტს, მკითხველს უეჭველად გაახსენებს ლათინოამერიკელთა მაგიურ რეალიზმს, რომელმაც სხვათა შორის, უკვე, კარგა ხანია, ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები და ამის გამო თავად



ბესო ხვედელიძე

ბესო ხვედელიძის ფოტო

მარკესსაც კი შეექმნა თვითგანმეორების საშიშროება. მით უმეტეს სარისკოა, როცა ასეთ ტექსტს ბესო ხვედელიძე გვთავაზობს. შესაძლოა, "კლარა" ასე მწვავედ არ შემეფასებინა, ბესო ხვედელიძე რომ თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთ საიმედო ავტორად არ მიმაჩნდეს. ჩემი-იქნებ, სუბიექტური და გა-

დაჭარბებული-უარყოფითი რეაქცია, სწორედ ბესო ხვედელიძის ლიტერატურული ნიჭიერებაზე აპელირება და მისი ახალი, უკეთესი მოთხრობების წაკითხვის დიდი სურვილია. თანაც, ჩემი აზრით, ზემოხსენებული უნ-

მანურობანი უფუნქციოდ და მიმობნეული "არილის" 6 გვერდზე და მთლიანობაში მკითხველზე დამთრგუნველად მოქმედებს.

საერთოდ, ახალგაზრდა მწერლების ბოლოდროინდელ თხზულებებში გურამ დოჩანაშვილის სტილის უდიდესი გავლენა შეიმჩნევა. ეს, გარკვეულწილად, ბესო ხვედელიძის "არილში" დაბეჭდილ მოთხრობასაც ეხება. აი, "ქომავის" №10-ში გამოქვეყნებული დათო ქართველიშვილის "სუფთა პროზა" კი სუფთა ადრეული დოჩანაშვილია. აქ საქმე ისე რთულადაა, რომ მკითხველმა შეიძლება დათო ქართველიშვილი გურამ დოჩანაშვილის ერთ-ერთ ფსევდონიმადაც მიიჩნიოს. ლაპარაკია გავლენებზე, რომელთა დასადგენადაც ლიტერატურისმცოდნეობაში სამი ძირითადი პრინციპის-გმირების(ან ლირიკული გმირების) ხატვის, სიტყვათქმნადობისა და მხატვრული ეფექტების გადახედვის-ტიპოლოგიურ მსგავსებას მოიშველიებენ ხოლმე. ეს სამივე პრინციპი, ჩემი აზრით, დათო ქართველიშვილის მოთხრობაში გურამ დოჩანაშვილის პროზის ანალოგიურია. ქართველიშვილი დოჩანაშვილისეულ პროზასთან ნათესაობას უმთავრესად მაინც ფრაზის სინტაქსურ და ემოციურ სტრუქტურაში ამჟღავნებს.

ვიცი, რომ რასაც ახლა ვწერ, ახალგაზრდა, პერსპექტიული ავტორისათვის საკმაოდ მძიმე მოსასმენი იქნება; ამიტომაც, აქვე მინდა დავსძინო, რომ ფილოლოგია და კერძოდ, ლიტერატურის მცოდნეობა ზუსტი მეცნიერება არ არის და რამდენიც არ უნდა ეცადო ლიტერატურული პროცესების ობიექტურ ანალიზს, გარკვეულ სუბიექტივიზმს მაინც ვერ ასცდები.

"არილის" მიმოხილვას ამ ნომრის საუკეთესო პუბლიკაციით - ანდრო ბუაჩიძის ლექსით დავასრულებთ. ვფიქრობთ, "წვიმა საბურთალოს პანთეონში" ანდრო ბუაჩიძის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ლექსია და იგი გარკვეულწილად აგრძელებს ამავე ავტორის ადრინდელ პუბლიკაციებს, რომელთაც დახვეწილი, ერთგვარი არისტიკურული სიხარულით გამოარჩევდა. ანდრო ბუაჩიძე თითქოს საგანგებოდ ცდილობს ლექსებს ჩამოსხნას ყოველგვარი ბრჭყვიალა სამკაული და ერთი შეხედვით უბრალო, ადამიანურ განცდებზე ადამიანური ენით ისაუბროს. ამას კი გაცილებით დიდი ეფექტი აქვს, ვიდრე ნებისმიერ ხერხს, მკითხველის ყურადღების მისაპყრობად გამიზნულად რომ გამოიყენება. XX საუკუნის ქართული პოეზია, სამწუხაროდ, ყალბი თეატრალურობის ნიშნითაც აღიბეჭდა. ძალიან ბევრი პოეტი თითქოს საგანგებოდ "სცენიდან საკითხავად" წერდა თავის ლექსებს. ანდრო ბუაჩიძე კი ცდილობს მკითხველი "თვალთვალთვალს" - შინაგანი ტრავმისა და ამოზრდილი საფიქრალის თანაგანცდას შეაჩვიოს და ამას დიდი წარმატებით ახერხებს.

სარეცენზო პერიოდის ყველაზე გამორჩეული პოეტური პუბლიკაცია კი, ჩემი აზრით, გაზეთ "ჩვენი მწერლობის" მე-18 ნომერში გამოქვეყნებული ელა გოჩიაშვილის ლექსების ციკლი "ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის" გახლდათ.

საერთოდ, გაზეთი "ჩვენი მწერლობა" ბოლოხანს მოხერხებულად ჩაენაცვლა "ლიტერატურულ საქართველოს" და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ორივე გაზეთი პარასკეობით გამოდის. "ლიტერატურულ საქართველოში", კარგა ხანია, ღირებული აღარაფერი იბეჭდება და სამწუხაროდ, ერთ დროს გემოვნებიანი გამოცემა ბოლო ხანს გარკვეული, სრულიად არალიტერატურული ძალების რუპორად გადაიქცა. ასეთ ვითარებაში ქართული სალიტერატურო პროცესის ჟურნალისტური ასახვის ის დიდი უფუნქციო, რაც თავის დროზე "ლიტერატურულ საქართველოს" ეკისრებოდა, თავის თავზე უნდა აეღო რომელიმე გამოცემას და ასეც მოხდა.

უნდა ითქვას, რომ ელა გოჩიაშვილი მკითხველს არ ანებებებს. თუ არ ჩავთვლით იმავე "ჩვენს მწერლობაში" გამოქვეყნებულ ასევე კარგ ლექსს "მწვანე იასპის ბეჭედს", ლექსების ციკლი - "ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის" მისი პირველი პუბლიკაციაა, რამდენიმეწლიანი დუმილის შემდეგ. ეს ხანგრძლივი დუმილი კი ამ ლექსებზე ნამდვილად ღირდა. სამწუხაროდ, ჩემი წერილის ფორმატი საშუალებას არ მაძლევს ვრცლად და ამომწურავად ვისაუბრო თითოეულ ნიმუშზე. ელას ლექსების შემთხვევაში კი ციტირებისაგან თავს მაინც ვერ ვიკავებ. "გაზონში იმას ვინ მიუშვებს - ვარდკაჭაჭა. გატყეპნილზე ამოსულიყო, სარეველებთან. თითქმის უფოთლო, გაბარჯული ქარს ძნელად იმჩნევს, ნიავს - სულ ვერა. აბა, რად უნდათ ამნაირი - ვერმომრიალე, ვერხასხასა. მერე რა რომ ყვავილები აქვს, როგორც სული, ღეროებიდან გამოხელილი. ყვავილის სულიც, ისევე, როგორც სულის ყვავილი, ესთეის თვალებს ვერ დაატკობს, დიზაინისთვის არ გამოადგება".

წელან, ანდრო ბუაჩიძის ლექსებზე საუბრისას, საგანგებოდ აღვნიშნე ამ პოეტის ლექსთა ხაზგასმული უბრალოება. ელა გოჩიაშვილის ლექსებიც სწორედ ამგვარი უბრალოებით ბრწყინავენ - "ვერმომრიალენი, ვერხასხასანი", მაგრამ მაინც მართლნი და მშვენიერნი, უფრო ზუსტად - სიმართლით მშვენიერნი - "მებაღის ბრჭყალეებს გადარჩენილი და ქალაქში შემოპარული" ვარდკაჭაჭასავით, იმ მიზანზე, სადაც "გოჯს ვერ იპოვი, თითო ჩიტი ყველგან მარხია" და ეგებ, ეს სიტყვები გალაკტიონის "ფრთები ფრთები გვირდა, ისევე ფრთები გვირდას" შორეულ ტრავიკულ გამოძახილადაც გამოდგეს...

აქვე თუ გაზეთ "ალტერნატივას" №5-ში გამოქვეყნებულ რუსუდან კაიშაურის ლექსებსაც გავიხსენებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ სარეცენზო პერიოდის ქართულ პოეზიაში ქალბატონები დიდი უპირატესობით ლიდერობენ. სხვათა შორის, ეს არცთუ ისე სახუმარო მოვლენა გახლავთ და მისი მიზეზები, ალბათ, ქალის სოციალურ მდგომარეობასა და მის ოჯახზე თუ მამაკაცზე დამოკიდებულებაშიც უნდა მოვიძიოთ. ასეთი მდგომარეობა, როგორც ჩანს, ქალში გარკვეულ პროტესტს იწვევს, ჯანსაღი პროტესტი კი ყოველთვის კვებავდა ნამდვილ ხელოვნებას. თუ ელა გოჩიაშვილის ლექსებში ეს პროტესტი შეფარულია და ლირიზმით განონანსორებული, რუსუდან კაიშაური, პირიქით, მათრახვივით იქნევს ფრთებს, რომლებიც დაატრეს და

ხელში შეაჩეჩეს: "ეს ქალი ერთხელ წელში მოიხარა. დარჩა ასე და არ აფრინდა. მიადგა სკამი უტიფრად, არც იკითხა - ეს ქალი იყო თუ მაგია".

საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ მე - პირადად - რუსუდან კაიშაურის წინა პუბლიკაციები უფრო მომეწონა. "ალტერნატივას" ბოლო ნომერში დაბეჭდილ ნაკრებში კი გარკვეული სქემატურობა შეინიშნებოდა. სამაგიეროდ, ძალზე ექსპრესიულად გახლდათ დანერგილი იმავე "ალტერნატივას" მე-4 ნომერში გამოქვეყნებული რუსუდან კაიშაურის სვეტი "ჩემი ბრალია?" ეს სვეტი, ჩემი აზრით, ბევრად უფრო პოეტური იყო, ვიდრე მომდევნო ნომერში დაბეჭდილი მისივე ლექსები.

ზოგადად, "ალტერნატივას" საავტორო სვეტები ძალზე საინტერესოდ იკითხება. იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდა და არცთუ ისე ახალგაზრდა მწერლები "სვეტებში", ძირითადად, საკუთარი თავით ორიგინალობენ და ავტოროტივით ერთობიან, მათი ეს მცირე ჩანაწერები ძალიან არსიულად ამჟღავნებენ დღევანდელი შემოქმედის ადამიანების სახეებს.

"ალტერნატივას" კიდევ ერთი საყურადღებო ინიციატივა კარლო კაჭარავას არქივის პუბლიკაციაა.

ახლა კი სალიტერატურო მიმოხილვებში ბოლო ხანს მყარად დამკვიდრებული აკა მორჩილას, იგივე გიო ახვლედიანის სახელიც გავიხსენოთ. მისი რომანის "ძირს სიმინდის რესპუბლიკა" პუბლიკაცია ორი ნომრის წინ დაინყო ჟურნალმა "ქომავამ". ტრადიციას არც მე დავარღვევ და ვიტყვი, რომ საინტერესო ნამუშევარი ჩანს, რაც სრულიად ბუნებრივია აკა მორჩილას მასშტაბებისათვის; თუმცა, საბოლოოდ რა იქნება, ალბათ მერე და მერე გამოჩნდება. ყოველ შემთხვევაში იმ ნაწარმოებზე ნაკლები არაფრით უნდა იყოს, რაც ამავე სათაურით უკვე არსებობდა (ერთ დროს ძალიან პოპულარულიც გახლდათ!) ქართულ მწერლობაში. თუმცა, მერე იმ უწინდელი რომანის ავტორმა თავის თხზულებას სახელი შეუცვალა.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ დაარსდა ლიტერატურული ჟურნალი "საგურამო" (რედაქტორი ანდრო ბედუკაძე), რომლის მესამე ნომერი ახლახან დაბეჭდეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟურნალში გემოვნებიანი ლიტერატორები მუშაობენ და როგორც ჩანს, რედაქცია ცდილობს, მასალები დასაბეჭდად საგულდაგულოდ შეარჩიოს, მაინც შეინიშნება ერთგვარი ტექნიკური უღიმღამობა, რაც, ჩემი აზრით, ჟურნალის სიასხლითა და ტრადიციის უქონლობითა გამოწვეულია. მაგალითად, რაც არ უნდა საინტერესო იყოს ფიოდორ დოსტოვესკის "ძმები კარამაზოვებისა" და თომას მანის "იოსებ და ძმანი მისნის" ახალი თარგმანები, მაინც ამ ორი ურთულესი ტექსტის გვერდგვერდ, გაგრძელებებით ბეჭდვა გაუმართლებლად მეჩვენება. თუმცა ეს ორი რომანი რომ ამოგველო, ჟურნალ "საგურამოდან" ბევრი აღარაფერი შეგვრჩებოდა. ამ ჟურნალში ქართველ მწერალთა ორიგინალური პოეზიისა თუ პროზის ნიმუშებს, ნამლად რომ გინდოდეთ, ვერსად ნააწყდებით. ანდრო ბედუკაძე "ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში შენიშნავდა: "ფიქრი ასეთ ჟურნალზე მე და



გიორგიმ კაჭარავამ ინტერვიუ

როიტარის ფოტო

ჩემს მეგობრებს დიდი ხანია გვანვალვებდა. ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალები ჩვენში საკმაოდ და, მაგრამ არ არსებობდა გამოცემა, რომელიც ასახავდა ლიტერატურულ-კრიტიკული, ესთეტიკური და ფილოსოფიური აზრის განვითარებას. ამასთან სოლიდურ ადგილს დაუთმობდა უცხოეთის კლასიკისა და თანამედროვე მწერლობის ნიმუშების თარგმანს". ეს ყველაფერი - ძალიან კარგი, მაგრამ თუკი ჟურნალი თანამედროვე პროზისა და პოეზიის ბეჭდვას, იქნებ ჯობდა, მისი პროფილი უფრო მკაცრად განსაზღვრულიყო და "საგურამოსათვის" ლიტერატურული კი არა, ვთქვათ, კულტუროლოგიური ან მთარგმნელობითი ჟურნალი და ბოლოს, უფრო სერიოზული დაგვექმნა?! მით უფრო, რომ თუ ზოგადად ვილაპარაკებთ, საქართველოში გამოშვებული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა რიცხვიც ერთი პატარა ქვეყნისათვის სავსებით საკმარისია, აქცენტი მაინც ახალი თარგმანების პუბლიკაციებზე აქვთ გადატანილი და ძირითადად ამ თარგმანების მეშვეობით ცდილობენ თავის დამკვიდრებას. გარკვეული კუთხით, შესაძლოა, ეს მოვლენა მისასაღმებელიც იყოს, მაგრამ ყველაფერს თავისი ზომი-წონა აქვს; ხოლო გემოვნება, სხვათა შორის, უპირველესად ზომიერებაში მუდგანდება.

ჩვენი სალიტერატურო პრესა ძალზე უღიმღამოდ და ერთფეროვნად გამოიყურება. საკმარისია, ერთი-ორი კარგი თარგმანი

გქონდეს, ერთი კრიტიკული წერილი, რამდენიმე მწერლის აზრი თანამედროვე სალიტერატურო პროცესებზე, რომელსაც მერე "ჩვენი ანკეტის" ან "ჩვენი გამოკითხვის" რუბრიკით დაბეჭდვად და, სალიტერატურო ჟურნალშიც მზად არის. ამიტომაც, რომ ეს ჟურნალ-გაზეთები (რამდენიმე გამოშვების გარდა) ერთმანეთისაგან მხოლოდ რედაქტორთა გვარ-სახელებით თუ განსხვავდებიან. სამწუხაროა, რომ დღევანდელ ვითარებაში, როცა ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, გარკვეულ ფინანსურ რისკთანაც კია დაკავშირებული, არსებული ჟურნალ-გაზეთების რედაქციები სერიოზულად არ ფიქრობენ თავიანთი გამოცემების თვითმყოფადობისა და ხელნერის დახვეწაზე; იმაზე, რომ ესა თუ ის გამოცემა ტყუპისცალივით არ ჰგავდეს მეორეს. ამ მიზნის მისაღწევად კი უფრო მეტი ფიქრი და ძიება საჭირო და ბოლოს და ბოლოს, უფრო სერიოზული მუშაობა, რასაც ჩვენ - ქართველებს, მხარეთმცოდნეოლოგებს, მხარეთმცოდნეოლოგებს შექმნილი ტკობა გვირჩევნია. სხვათა შორის, ამ მხრივ ძალიან ნიშანდობლივი იყო ამას წინათ ჩატარებული ორიგინალური პენ-მართონის დევიზი: "რამდენიმე გაცივითი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა..." ჩვენ გვინდა ყველაფერი უცვლელად, რამდენიმე გაკვეთილში მოვამთავროთ, მაშინ, როცა გონიერი ანდაზა სხვა რამეს გვეუბნება: "სწავლა - სიბერემდეო..."

და მართლაც: არის კი რამდენიმე გაკვეთილი სრულიად საკმარისი?! ...

ჭუანხარ ტიკარაძე

ბეკეტი, კამიუ და სხვანი მართლმადიდებელი ზარმაცნი ადამიანისთვის

გავიღვიძე დილით ასე 12 საათისათვის. მაგრამ მაშინვე არ ავმდგარვარ. რა მნიშვნელობა აქვს - როდის ადგები, ან ადგები თუ არა. ბოლოს მაინც ავდექი. ხელ-პირი დავიბანე. ვისაუზმე. დავუწყე ლოდინი იმას, რაც არ მოდის, რაც, შეიძლება, საერთოდ არ არსებობს. მაგრამ მე ეს არ მჯერა. მე მჯერა, რომ უნდა დაველოდო. ამიტომ წამოვწეი ლოგინზე და დავუწყე ლოდინი. თან დროდადრო სიგარეტს ვეწეოდი. შემდეგ სიგარეტი გამითავდა. ვაცალე, სანამ ძალიან არ მომინდა. შემდეგ ვაცალე, სანამ აუტანლად არ მომინდა. შემდეგ ავდექი, გამოვიცვალე ტანსაცმელი, გავიკეთე ლინზები, გარეთ გავედი, ვიყიდე. ამასობაში ვიგრძენი, რომ მომშივდა. მაინც ფეხზე ვიდექი და ბარემ შევჭამ-მეთქი. მართლაც შევჭამე. ოღონდ გაცხელება დამეზარა. რა მნიშვნელობა აქვს, გაცხელება თუ არა, კუჭში ხომ მაინც გაცივდება. ან, პირიქით, შეთბება. ესე იგი, იმ ტემპერატურას მიაღწევს, რისთვისაც ისედაც უნდა მიეღწია. ხოლო საბოლოოდ კი მაინც იმად იქცევა, რადაც უნდა ქცეულიყო. ისევე წამოვწეი და სიგარეტი გავაბოლე. სიგარეტის კვამლი დავუწყე ლოდინი იმას, რაც არ მოდის. მერე კარებზე დააკაკუნეს. მაგრამ ეს ის არ იყო, მე რასაც ველოდებოდი. ის, შეიძლება, საერთოდ არ მოვიდეს, მაგრამ თუ მოვა, კარებზე არ დააკაკუნებს. არ ვიცი, როგორ მოვა, მაგრამ თუ მოვა, კარებზე არ დააკაკუნებს. ნამდვილად არ დააკაკუნებს. ამიტომ კარები არ გამიღია. დამეზარა. რა მნიშვნელობა აქვს, გააღებ კარებს თუ არა, როცა გიკაკუნებენ. მით უმეტეს, ის არ დააკაკუნებს. ისე მოვა, თუ მოვა. ავიღე ახალი სიგარეტი. მოვწიე. შემდეგ კიდე ერთი. შემდეგ კიდე ერთი. შემდეგ მოსალამოვდა. შემდეგ დაბნელდა. მაგრამ შუქი არ ამინთია. წამოდგომა დამეზარა. ან რა მნიშვნელობა აქვს - ანთებ შუქს თუ არა, როდესაც ბნელა. როდესაც ელდები. როდესაც ელოდები იმას, რაც არ მოდის. რაც არც იცი - არის თუ არა, ან თუ არის - რა არის. ბოლოს მაინც ავდექი. ჩავრთე ტელევიზორი. ვუყურე ფილმს - უყურადღებოდ, შემდეგ მეორეს სხვა არხზე. შემდეგ კიდე ერთი ფილმის დასასრულს კიდე ერთ არხზე. რა მნიშვნელობა აქვს - მაინც ხომ ყველა ფილმი უნდა დასრულდეს. თან დროდადრო ვმარჩიელობდი - მოვა თუ არა. შემდეგ დავლიე ჩაი. ავდექი, წამოვწეი ლოგინზე, მოვწიე სიგარეტი. შემდეგ კიდე რამდენიმე. ვფიქრობდი. შემდეგ ვიგრძენი, რომ უკვე შეიძლება დამძინებოდა.

ამიტომ წამოვდექი, ტანსაცმელი გავიხადე, ლოგინში შევწეი, საბანი გადავიფარე. კარგად ჩავთბუნდი. სანამ ჩამეძინებოდა, გავიფიქრე - იქნებ დამესიზმროს-მეთქი ის, რაც არ მოდის, მაგრამ არ დამსიზმრებია. ან, შეიძლება, დამესიზმრა კიდევაც, მაგრამ არ დამამახსოვრდა სიზმარი.

■ ■ ■ ■ ■
 მას დაესიზმრა რომ ვითომ ის გაფუჭებული ხის თოჯინაა და რომ ჰკიდია კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე და რომ უამრავი თოჯინა ჰკიდია მასთან ერთად ჰკიდია ასე საათები დღეები მას დაესიზმრა რომ ვითომ უცებ დაბერა ქარმა და რომ შემოყვა ამ ქარს აუტანელი სუსხი და რომ გააღწია ამ სუსხმა მის ხის სხეულში და რომ ამ სუსხს შემოყვა რაღაც ლანდი რაღაც ჩვენება მას დაესიზმრა რომ ვითომ გაქრა მის ქვეშ იატაკი და რომ ჰკიდია ის ახლა თვალჩაუდგამი უფსკრულის თავზე და რომ ის ლანდი ის ჩვენება სიკვდილია მას დაესიზმრა რომ ვითომ იმატა ქარმა და სუსხმა და რომ შეათამაშა ქარმა ხის თოჯინები და რომ შეინძრა თვითონაც შეთრთოლდა შეთრთოლდა ქარში სუსხში სიკვდილში შემდეგ მას დაესიზმრა რომ ვითომ მოწყდა ის ლურსმანს და რომ მიფრინავს ახლა უფსკრულისკენ და რომ სხვა თოჯინებიც მიფრინავენ მასთან ერთად და რომ მათში იღვიძებენ რაღაც უხსოვარი მოგონებები და რომ ისინი სიკვდილში მიფრინავენ შემდეგ მას დაესიზმრა რომ ვითომ ცოცხლებია მისი ხის ტანი ცოცხლებიან მისი ხელები ცოცხლებიან მისი ფეხები და რომ დამლუპველი მინისკენ გაფრენილს მას ეუფლება შეუძლებელი თავისუფლების და ბედნიერების შეგრძნება და რომ ის ცოცხლებია სიკვდილში შემდეგ მას დაესიზმრა რომ ვითომ მას უკვე შეუძლია მოძრაობა და რომ მას შეუძლია ღიმილი და რომ მას შეუძლია ლაპარაკი და რომ ის ცეკვავს და რომ ეს არის რაღაც აბსურდული რაღაც ფანტასტიური რაღაც ფეერული ცეკვა ხის თოჯინების ცეკვა უფსკრულის თავზე სიკვდილში გაცოცხლებული ხის თოჯინების ცეკვა სიკვდილის და სიკვდილის ცეკვა გაქრობის წინ ბოძებული წამი წამი თავისუფლების და ბედნიერების ხოლო სულ ბოლოს მას დაესიზმრა რომ ვითომ მინაზე ანთია ვეება კოცონი და რომ ცვივიან ამ კოცონში ხის თოჯინები და რომ შიშხინით ქრებიან იქ როგორც ღამის პეპლები.

ერთხელ, ვარასკევს

მოდით, ამნაირად მოვყვები ამ ლექსს:
 გამოიყვანეს დილის ცის ქვეშ და მოასხეს მენამული მანტია მხრებზე და დაადგეს ეკლის გვირგვინი და ხელთ ლერწამი დააჭერინეს და ხარხარით მოიყარეს მუხლი იმის წინ და აბლაღდდნენ მეფეო მეფეო მეფეო ურიათაო და გამოგლიჯეს მერე ლერწამი და ნააქციეს რბილ მინაზე და დაუწყეს ცემა იმ ლერწმით

და წიხლებით და მუშტებით და აფურთხებდნენ და მანტია შემოაფლითეს და აჰკიდეს მერე ხის ჯვარი და გაიგდეს წინ სისხლიანი და მტვრიანი და ფერშემკრთალი და რამდენჯერმე წაიქცა გზად ჯვრის სიმძიმის ქვეშ და რბილ მინაზე დაეზჯინა მისი ტუჩები და ლოყები და წამწამები და მეომრებმა წამოაყენეს შუბების ჩხვლეტით და იმის უკან სუნთქავდა ხალხი ცხელ ნესტოებით და ხალხი ბორგავდა და გაჰყვიროდა ხალხი და წამოაქციეს ბოლოს ჯვარზე და გამოვიდა კაცი მოუქნელი და თმაგადახოტრილი და მან ჯერ ჩხვლეტა იგრძნო მხოლოდ ხელისგუზე და მერე ლურსმანი ხორცის ნაფლეთებთან ერთად შესრიალდა ხეში და ჩაჯდა იქ და თვალები გადმოცვივდნენ ღამის გუგინდან ისე გადიდდნენ და კიდევ ერთხელ დაჰკრა ჩაქურჩი ისე ყოველი შემთხვევისათვის და მიაჭეჭყა ხელისგული ლურსმანსა და ჯვარს შორის მჭიდროდ

და ნელა-ნელა აღმართეს ჯვარი და ლურსმანზეც ნელა-ნელა დაცურდა ხორცი და ნელა-ნელა ჩაიხა ხორცი ტანის სიმძიმით და აქეთ-იქით ამოუყენეს ორი ჯვარი ქურდის და ავაზაკის

და ერთი მათგანი აგინებდა მას და აფურთხებდა სანამ პირი გაუშრებოდა და ბრბოც გარშემო გუგუნებდა მზით დანესტრილი და ბორგავდა ბრბო და ბრბო სუნთქავდა ცხელ ნესტოებით და გავიდა ერთი საათი და გავიდა ორი საათი და გავიდა სამი საათი და მან თვალები აახილა დასუსტებული და ტუჩები სისხლისაგან შენებებული ძლივს აახლიჩა ერთიმეორეს

და ცეცხლჩამქრალი სხეულიდან ამოიყვია ღმერთო ღმერთო რატომ დამტოვე ღმერთო ღმერთო და მას სანაცვლოდ ძმრიანი ღრუბელი მიუტანეს პირთან და მოუსვენს დამსკდარ ბაგეზე და მან ამოიხრა უსასრულოდ და საბოლოოდ და დაინახა ცის სამყოფელი და მამის ხელი სიყვარულით გამოშვერილი

მაპატიე, ამნაირად მოვყევი ეს ლექსი, ქრისტე.

■ ■ ■ ■ ■
 კაცი, რომელიც აფრინდა ცაში - იმას ჯერ პირდაღებული შესცქეროდნენ ქალაქელები და შემდეგ რომელიღაც მოხერხებულმა ჩამოიღო იგი ავტომატის ტყვიით და ის არ წამოსულა არც დაჭრილი ფრინველივით, არც ისარივით - უბრალოდ, უკან დაუბრუნდა მინას, საიდანაც აფრინდა ცაში და მას შემოეხვივნენ გარს გამვლელები და გაფაციცებით დაუწყეს ძებნა ფრთებს იმის მხრებზე ან რაიმე ეშმაკურ მონყობილობას და როცა ვერ იპოვეს ვერაფერი განსხვავებული, გადააღაჯეს მას და გაუდგნენ თავიანთ ნაბიჯებს უხილავი ბედისწერისკენ, ის კი ჩატოვეს პირჩამხობილი ქალაქის მტვერში.

■ ■ ■ ■ ■
 ჯაჭვით დაბმული ძალღივით ვარ, ღმერთო ჩემო, დაბმული ძალღივით და მივსდევ, მივსდევ ჩემსავე ლანდს გაავებული და ვკბენ ჰაერს და ყეფაში ვახრჩობ სიძულვილს და უმნეობას და მეც მახრჩობს ყეფა და ბოლმა და მოკლდება ჯაჭვი.

ზრდა ანუ იყო

მასამ მოთხრობა მამას



ლევან ხორხაილის ფოტო

დავით ქართველიშვილი

უცხო ქალაქი

უცხო ქალაქს ორი უცნაურობა სჭირდა - თეთრი ღამეები და ხიდების ღამეული გახსნა. პირველი ღვთის ბუნებრივი სასნა-ული იყო, მეორე - ადამიანის ხელსაქმე.

ბიჭი და მამა უცხო ქალაქში გაემგზავრნენ მატარებლით. წავიდნენ. ორადგილიანი ე.წ. საერთაშორისო კუბე ეჭირათ (მამამ მოისურვა ასე და ქნა. მამას სიმშვიდე უყვარდა, თვითონ მშვიდი იყო მამა) და ჩაიცა და დანარჩენიც ორ პერსონაზე მიჰქონდა მათთან (მელნისფერ კოსტუმში გამონყობილ) გამცილებელს. წყნარტვალე-ბა, ენამოკლე კაცი იყო გამცილებელი.

მიჰქროდა, მისრიალებდა, მირახრა-ხებდა, მირახრახებდა, მისრიალებდა, მიჰქროდა, ხან როგორ, ხან ისე, მატარებელი ტემპს იცვლიდა. დგნ-დგნ. წსს - ხმებს გამოსცემდა. სამი დღე-ღამის სავალი ელო მატარებელს, მანძილად ითქმოდა.

მატარებელს მზე ახლდა, მისდევდა. ბიჭს ეგონა ასე, რო მისდევდა. ბიჭს მზე უყვარდა. ბიჭი მზეს უყურებდა. ხელებს უშვერდა, სახეს. მზევედებოდა. სხივები ეყარა სახეზე, მხრებზე, ხელისგულებზე.

ბიჭს მზე უყვარდა და ღამის უშინოდა. მაგრად ხუჭავდა თვალებს ბიჭი ღამე, ვარდისფერი უდგებოდა თვალებში, თიმ-თიმებდა ვარდისფერი. ბიჭის სიზმრებში მუდამ დღე იდგა.

ადამიანები იდგნენ ბაქნებზე: შილი-ფაღჩაცმული, ქოლგიანი ქალები და ყელ-ზეცხვირსახოცმომხვეული, ჭიპამდეპერან-გჩახსნილი კაცები, დიდები და რთულები, ალმაცერად უყურებდნენ მზეს, ბიჭს ეს უკვირდა.

ბიჭს ეძინა მშვიდად.

მძინარე ბიჭს მამა თავზე კოცნიდა და კუბიდან გადიოდა. მამა მწვეული იყო. სი-გარეტს უკიდებდა და ფანჯარას ჩამო-წევდა.

- გვირაბში ვართ - ამბობდა თმაგანენი-ლი მამა. პირში ბიჭის თმის გემო ჰქონდა.

უცხო ქალაქი ვრცელი იყო, ჩამკარგა-ვი, ჩამყლაპავი და ლამაზი.

დადიოდნენ ბიჭი და მამა. ეცნობოდნენ უცხო ქალაქს. უცხო ქალაქში იდგა უამრა-ვი ჰაეროვანი მუზეუმი. უცხო ქალაქელი ქალები - იფ! უცხო ქალაქის მდინარე იყო მოლურჯო. ბიჭი და მამა დადიოდნენ უცხო ქალაქში, ეცნობოდნენ. სადილად კავკასიურ რესტორანში სხდებოდნენ. სა-უზმეს და ვანშამს სასტუმროში ჭამდნენ. სასტუმრო იყო ახალი და კომფორტული. სამვარსკვლავა. კარგად იყვნენ ბიჭი და მამა. ბიჭი და მამა ცხოვრობდნენ.

უცხო ქალაქის მეორე უცნაურობის (ხიდების ღამეული გახსნა) ნახვა მამამ თეთრი ღამეების ჩათაგების შემდეგ მოი-სურვა. შუალამეს გააღვიძა ბიჭი.

- წავედით - თქვა მამამ.

ბიჭი თვალებჩახუჭული მიჰყვებოდა, ორი ხელით ეჭირა მამას ნიშნობისბეჭდი-ანი ხელი. ბიჭი თეძომდის სწვდებოდა მა-მას.

ხიდი იხსნებოდა ნელა, მძიმედ, ხმით, შუქი ადგა. პროექტორიდან დაშვებული სინათლე.

ბიჭი და მამა ჯვებირთან იდგნენ, თვა-ლებჩახუჭული ბიჭი მამას გრძნობდა. მა-მას ხელი ეჭირა. ბიჭს ღამის უშინოდა.

მამა სიგარეტს ეწეოდა. მდინარეში ფერფლავდა და ხიდის გახსნას უცქერდა. მდინარე დინჯად იყო, მიედინებოდა.

ბიჭი და მამა ჯვებირთან იდგნენ. იდგ-ნენ სხვებიც - ქალი და გოგო. მამამ ქალს გაუღიმა:

- მოგნონთ? - ხიდზე მიათითა მამამ.
- დიას - თქვა ქალმა.
- თქვენ დალლილი ადამიანი ხართ? - კინოურად მოუქცია მამამ.
- დიას - თქვა ქალმა.
- იცით, მეც.

მამა ქალისკენ წავიდა. თვალებჩახუ-ჭული ბიჭი მიჰყვა ქალთან, ბიჭს მამას ხე-ლი ეჭირა.





პირისპირ იდგნენ: მამა და ქალი. ბიჭი და გოგო. დიდები და ერთიციდები. მამა ზრდილად, განზე უშვებდა თამბაქოს კვამლს, ლაპარაკობდა. ქალი უსმენდა, ლამაზი თვალები ჰქონდა, ხშირად აფახულებდა.

- იცით, ასეთ თემებზე - მამა ამბობდა - დალლა, სიმარტოვე, საუბარი უცხო ადამიანთან მირჩევნია. ჩვენ რა, ალბათ ვეღარც შევხვდებით, სულს კი მოვიტყვამთ. ნათესავები, მეგობრები ეჭვიანი ხალხია, მათ ვერ ეტყვი, რომ დაილაღე: რომ მარტო ხარ! გამოდის რა, რომ ისინი ვერ გნათესაობენ. ისინი ვერ გმეგობრობენ, უხერხულია. მაპატიეთ, განდაგან ვლაპარაკობ - მამამ ბიჭს ხელი გაუშვა - აი, დაუკვირდით...

ბიჭი შეხარბაცდა, შემცირდა. ბიჭმა ხელისცეცება იწყა, (თვალები ჩახუჭული ჰქონდა). სიცარიელე, ისევ სიცარიელე, მერე რაღაც ძალიან პატარა, მჩატე რამ იგრძნო. საკუთარ ხელში მოამწყვდია.

ქალი ხშირად ისწორებდა თმას, იწინკინდასავით, აწვალვებდა. თან:

- იცით, თქვენ, კაცები - ლაპარაკობდა - სიგარეტი გაქვთ? - მამამ ხელები ჯიბეებში ჩაიყო, ამოაძვრინა სიგარეტი და სანთებულა. ქალმა სიგარეტი აიღო. მამამ სანთებულა აანთო, ცერი დაუსვა, ხელებით მუშაობდნენ ქალი და მამა.

ბიჭს საკუთარხელში ჰქონდა მომწყვდეული რაღაც მჩატე, ძალიან პატარა რამ. დაასკვნა: გოგოს ხელი იყო, მჩატე, საყვარლად პატარა. ემორჩილებოდა ხელი. ბიჭს აღარ ეშინოდა ლამის. თვალების ახელა დააპირა:

- ზეზეულად ყვინავენ პატარები - მამას ხმა იყო.

ბიჭმა მამას ხელი იგრძნო, მხრები მოკეცა

ბიჭი და მამა ქუჩა მიდიოდნენ ლამიან. ბიჭი მამას ხელს გრძნობდა, ბიჭს ლამის ეშინოდა, უთვალავგარსკვლავე ლამის, სასტუმროში დაბრუნდნენ ბიჭი და მამა.

ქალი

პოსტი - გარყვნილი დიას, ოლონდ სასიამოვნო თამაშია, სითამამეც უნდა. თამაშში მონაწილეობენ: ერთი ქალი და სამი ბიჭი, საშუალოდ 13-14 წლისა. თამაშის არსი: ბიჭები ედევნებიან ქალს, თავიდან ფრთხილად, დისტანცია უჭირავთ, შემდეგ ერთ-

ერთი ბიჭი ქალისკენ გაექანება, სილას ჰკრავს ტაკუნაზე და გარბის წინასწარ შერჩეული სამალავისკენ. სამალავისკენ მიდიან მონმე ბიჭებიც, ოლონდ მიდიან დინჯად, წყნარად. სამალავში შეკრებილთ სილისმკვრელი დეტალურად უყვება პროცესს ადევნება - გაქანება - ოპლა! მონმე ბიჭები ადასტურებენ. შემდეგ სილისმკვრელი სიტყვებით ცდილობს იმ საოცარი თრთოლისა და ჟრჟოლის გადმოცემას, რომელიც დაეუფლა სილისკვრისას. ყურადღებით უსმენენ.

ხოლო სილანაკრავი ქალი კი, ოდნავ დაბნეული და ფრიად განხარებული (ბოლოს და ბოლოს ქალი ტაკუნა და მეტი არაფერი სხვა) იხედება აქეთ-იქით-აქეთ და გზას აგრძელებს მერე.

სილისმკვრელის ვინაობა კენჭისყრით ირკვევა, იმ დღეს ბიჭის ბედი იყო. მაღაზიდან გამოსულ ქალს აედევნენ ბიჭი, კიდევ მონმე-ბიჭი და ერთიც კიდევ მონმე-ბიჭი, სამნი, რიხიანად მისდევდნენ ქალს, ლამაზი იყო.

ბიჭს წინასწარ ჰქონდა მომზადებული პოსტისშემდგომი სათქმელი სიტყვა. სამალავში ბიჭი იტყოდა: მაგარი იყო, ძალიან მაგარი, ანუ, რბილი ჰქონდა, ძან რბილი.

ბიჭი ღრმად სუნთქავდა. ღელავდა. ბიჭი იყო, პატარა.

ქალი ლამაზი იყო და გამოცდილიც. მიმორხევაზე ეტყობოდა. ბიჭი გაექანა, სილა ჰკრა, ოდნავ მოსრისა კიდევ და გაეარდა. გაიქცა. მოსახვევში გადაუხვია, გარბოდა, გარბოდა. თავი ზე, ხელები მოძრაობაში, ჰქონდა.

- თავქარიანო საით? - მამას ხმა იყო.

ბიჭი გაჩერდა, უკან მიიხედა, ქმენდა. მამა მანქანაზე იყო მიყრდნობილი, კაპოტზე ვარდები ეწყა. მამა სიგარეტს ქაჩავდა. მოსახვევში ქალი შემოვიდა. მონმე ბიჭები მოსახვევში არ შემოსულან, პირდაპირ წავიდნენ. ქალი მოდიოდა. მამა წამოიწია. ბიჭი - განითლდა.

- გამარჯობა - თქვა მამამ.

- გამარჯობა - თქვა ქალმა, მამას მარცხენა ბიბილო დაითრია ორი თითით. ჩამოქაჩა. მერე რაღაც ჩასჩურჩულა ქალმა მამას.

- მოდი ჩემთან, - ბიჭს უთხრა მამამ. ბიჭი მივიდა, გულამდის სწვდებოდა მამას. ბიჭი მამას მიეყრდნო - ატეხილი ხარ?! ეგრე არაფერი გამოგივა - მამა ლაპარაკობდა, ქალი ვარდთა სურნელით სტკებოდა. ვარდი ყვავილია - ქალი მხეცია, უნდა მოათვინიერო. - მამამ ქალს გახედა - ეხლა ერთავემ მისმინეთ. შენ - ქალს მიმართა -

ხელახლა შემოდი მოსახვევში - ქალი წავიდა - ვარდები დატოვე, შეჩემა! - მამამ მიაძახა, ქალმა კეკლუცად გააქნია თავი. მამამ ხელი ჩაიქნია - შენ, კი - მამამ სამი ნაბიჯი გადათვალა, - აქ დადექი.

ბიჭი გამწვანდა.

- წამო, ქალო - გასცა კომანდა მამამ. ვარდებიანი ქალი მოსახვევში შემოვიდა, თავი მოჰქონდა.

- დაიდარი ბიჭი, რომ მიუახლოვდები, საათი ჰკითხე.

ბიჭი უძრავად იყო, იდგა.

მამა იცინოდა.

- ჩაისვარე არა, ბიჭი. თავიდან. ქალი სანყის პოზიციაზე დაბრუნდა.

დადგა

- წამო - კომანდა გასცა მამამ. ვარდებიანი ქალი მოსახვევში შემოვიდა.

ბიჭი იდგა. დაიძრა მერე. მამას ჩრდილზე გაიარა. მამამ თვალები და ახუჭა.

- საათი ხომ არ გაქვთ? - ჰკითხა ბიჭმა, თვალებში უყურებდა ქალს.

- თქვენ ე, ყოჩაღ - მამამ თქვა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

ბიჭი და ქალი იდგნენ ახლო-ახლოს.

მეორე დღეს ბიჭი ყურად იდგა მეგობრებში, რადგან საკუთარი ვარდებიანი ქალი ჰყავდა.

ოში

სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდნენ ბიჭი და მამა. ბიჭი სამხედრო შტაბში ავტომატისთვის იბრძოდა, მამა - რიგში, პურისთვის. მამა უფრო წარმატებული იყო, სულ პურებით ბრუნდებოდა სახლში, ბიჭს მხოლოდ იმედი მოჰქონდა. ბიჭი იმედს ამბობდა: ხვალ, ხვალ, ხვალე.

მამა უთენია გადიოდა სახლიდან. პურის მაღაზიასთან განელილ რიგში დგებოდა და ელოდა. მამა არც ვეტერანი იყო და არც სხვა რამ ხმოვანი ტიტული ჰქონდა. მამა ჩვეულებრივ რიგში იდგა. ამიტომაც მამას პური მუდამ ცივი იყო.

სახლში მობრუნებული მამა მოლლილ ფეხებს სკამზე აწყობდა. ამერიკულად ისვენებდა მამა, სისხლის მიმოქცევას გრძნობდა.

ბუნებით დინჯი მამა ხვდებოდა, რომ დროს ჩამორჩა, რომ ვერ აუბამდა ფეხს ამ ახალ დროს; ბუნებით დინჯი მამა წლოვანი იყო.

ერთხელაც მოიტანა პურები მამამ და პირველად ბიჭმა ავტომატი - სახლში. ბიჭმა ნაღდი თქვა:

- მივდივარ ოში. მამას არგუმენტები: ნუ წახვალ ხო, ნუ წახვალ ეხ, ნუ წახვალ იხ, ბანალური იყო და მოსაწყენი.

იმ ერთის გარდა: - მარტო მტოვებ? - მამა ბიჭთან მივიდა. შუბლამდის სწვდებოდა ბიჭი მამას - ჰა!

ბიჭს გულმა ათქმევინა: - ჰო, კარგი, ვრჩები.

მამამ ბიჭს ავტომატი გამოართვა, აივანზე გავიდა და მიუშვა, მჭიდი დაცალა. ბიჭმა პური მოძიგნა.

ცა

ბიჭი შეყვარებული იყო და ცაში იყურებოდა. მამა კვდებოდა და ცაში იყურებოდა. ტოლები, ნელგამართულები გვერდი-გვერდ იდგნენ. ცა ერთი იყო.

მამა კვდებოდა. ფიქრით იქით იყო - გაღმა. გაღმა თავისთავად იყო, არსებობდა უმამოდ, მამას ეშინოდა: ცეცხლის, მინის, წყლის, ჰაერის და მამის. მამა სუნთქავდა ღრმად და ჩქარა.

ბიჭს ღმერთი სწყალობდა და შეყვარებული, ხვალ მთავარი შეხვედრა ჰქონდა, პავმანი. ერთხანს ივლიან ბიჭი და შეყვარებული, ისეირნებენ. მერე ჩამოსდებიან.

იქნებიან ხვალ, თან ერთად. მამას ეშინოდა...

ბიჭი უბრალოდ ეტყვის შეყვარებულს: - მიყვარხარ! - და აკოცებს.

- კოცნით ბავშვები არ ჩნდებიან - ეტყვის შეყვარებული და გაიღიმებენ. და ბიჭი და შეყვარებული ადგებიან და წავლენ.

გვერდი-გვერდ იდგნენ, ტოლები და ნელგამართულები. ცაში იყურებოდნენ ბიჭი და მამა.

მამას ეშინოდა.

ბიჭს ღმერთი სწყალობდა და შეყვარებული.

საერთო ცა ჰქონდათ ბიჭსა და მამას.

გვერდი-გვერდ იდგნენ, მერე მამა სახლში ავიდა და სამუდამოდ დაიძინა.

ცალ-ცალკე.

წარსული სიზმარი არ არის, წყალს რომ მოუყვებ და წაიღოს, - ბიჭი ფიქრობდა. ფანჯარასთან იდგა ერთი, ცალკე, მარტო.

ზრდა დასრულდა, ზრდა იყო - ბიჭი ფიქრობდა.

მამა კი, ცეცხლი იყო, მინა, წყალი, ჰაერი და მამა, იყო, იყო, იყო.

მართლა არის მამა. მართლა არის ბიჭი.

მძიბა დღე

ბასო სვედლიჩა

ანკესებით სხედან ტბაზე მოტივტივე ნავში. ერთი მოხუცია - ბოლომდე თეთრი და სახედაღარული; მეორე - მთლად ახლადმედინდლული და ცოცხალი თვალებით. თავებზე გაზეთის წვეტიანი ქუდები ხურავთ, პაპანაქება უსველებთ ზურგებს, ირგვლივ ჩამომლვარ მდუმარებას დუმილითვე პასუხობენ, მდორე წყალს დასცქერიან და ცხვირის წვერიდან რიგრიგობით სწევთათე ოფლი.

-იქნება მოკვდნენ? - თავისთვის კითხულობს ბიჭი ყვიანახველიანის ხმით.

მოხუცის გალიპულ შუბლთან ქინქლები ტრიალებენ; ბიჭი კი ამ დროს უკვე ადგილზე ცმუკავს, მუხლისთავებს ერთმანეთზე იბაგუნებს, ქვედა ტუჩს გამალებით იკვნიტს.

მოხუცი მძიმედ ატრიალებს თავს მისკენ.

-მოგწყურდა? - ეკითხება ჩლიფინით.

ბიჭი თავისქნევით უარობს.

-მაშინ გეფსია. - ასკვნის მოხუცი.

ბიჭი ჩუმდაა.

-მიდი მერე... - აგულიანებს მოხუცი.

აქეთ-იქით იყურება ბიჭი.

-ტბაში არ ქნა, თორე... - აგრძელებს იქვე მოხუცი და ცალი ნარბი ავად უცეკვავს.

-ბიჭები რო სულ ტბაში შევებიან?... - ერთბაშად უშნეოვდება ბიჭი და თავს ქინძრავს.

-ჰოდა, დავეიდე ყვერებით! - ბრაზობს მოხუცი. -...ბოთლი რისთვის წამოვიღე? - ამბობს და მუხლებში შორის გაჩურთული აბგიდან პლასტმასის ცარიელ ბოთლს იღებს.

-აჰა! - უწვდის ბიჭს.

ბიჭი ბოთლს ართმევს და ჩუმდაა.

-თუ გრცხვენია, ზურგით დადექ... - იწყებს მოხუცი. - ოლონდ ფრთხილად, ნავი არ ამომიყირო...

სინთლე დაურბის ბიჭს სახეზე და მოხუცს მდუმარედ შესცქერის.

-რა იყო? - ეკითხება მოხუცი.

-გადაშიარა. - ამბობს ბიჭი.

მოხუცი ხელს უკმაყოფილოდ იქნევს.

-კიდევ მოვა, სად წავა...

■ ■ ■

შუადღის პაპანაქება არ ცხრება ტბაზე.

-წავიდეთ რა... - იწყებს ბიჭი. - არ მოდის და... რომც მოვიდეს, მაინც დაიკეტება ანი ყველაფერი და...

მოხუცი არაფერს ამბობს.

-თანაც, ბიჭებმა, არ არი ტბაში ორშაბათობით არაფერი... - იხსენებს ბიჭი.

-მაგათმა კარტის თამაშის მეტი თუ იციან რამე?... - ბრაზით აკანტურებს თავს მოხუცი და მუშტს მუხლისთავზე ირტყამს.

-ეკალა მაინც დაგვეკრიფა. - ფრთხილად იყურება ნაპირისკენ

ბიჭი. - რამდენია...

-მე მაგისტრის არ წამომიყვანინხარ! - ცრის კბილებში მოხუცი.

- ბარემ ხეკი გვესესხაო ბუტკაში, ეგაცა თქვი...

-გვესესხა რა... - ელიმება ბიჭს. - ისიც აქვთ, გამხმარი როა... რა ქვია?

-ბეზამენის ძღრენი! - ამბობს მოხუცი და თავმოსხნილ აბგაში ფათურობს. იქიდან ჭაჭიან ბოთლს და პლასტმასის ორ ჭიქას იღებს; ასევე ნივრის თავს, ლავამის მოზრდილ ნაგლეჯს და სველ გაზეთში გახვეულ ყველს. ამ ყველაფერს ნავის ფსკერზე გამოილ ცელოფანზე ალაგებს და ბიჭისკენ იყურება.

-მოდი! - ამბობს, ჭიქებში ჭაჭას ასხამს და ბიჭს შეჰყურებს.

-მოსული არ ვარ? - იძახის ბიჭი.

-დაილოცე! - მოხუცი პურს ყუას აგლეჯს, ზედ ყველის ნაჭერს ასრესს და ბიჭისკენ იწვდის.

ბიჭი ცალი ხელით ართმევს ჭიქას, მეორეთი - ყველიან პურს და სადღეგრძელოს სათქმელად პირს აღებს, ტუჩებს ილოკავს.

-მოიცა! - არ აცლის მოხუცი, ნივრის თავს ერთ კბილს ატეხს, სწრაფად ფტქენის და მასაც ბიჭს უწვდის. - აჰა...

ბიჭი პურიანი ხელით ართმევს და ჭიქას მაღლა წევს.

-ისე ვიყოთ...

-ჰო...

-ორშაბათობით კი არ ვიჭერდეთ...

-აბა?... - ამბობს ბიჭი და მოხუცს ჭიქას უჭახუნებს.

ნავში სულ მცირე ხნით სიჩუმე ვარდება.

-მოდის რო?... - კითხულობს მერე მოხუცი თავისთვის და ჭიქას სულმოუთქმელად ცლის. ბიჭი ბაძავს და ყველიან პურს ნივრიანად იტენის პირში, მსხვილი კბილებით ახრაშუნებს და სახე ემანჭება.



მზე კვლავაც ცის შუა ალაგსაა ჯიუტად გამოკვრებული - აცხუნებს და აცხუნებს უმოწყალოდ.

-ადრე იყო, რაც იყო... - ამბობს მოხუცი. - ყოველდღე თან. გინ ორშაბათი ყოფილიყო... თითო მოსვლაზე იმდენი მოდიოდა, იმდენი... ისეთი სახეებით ვბრუნდებოდით მე და ცხონებული მამაშენი, ისეთი...

-მიდი! - იძახის ანთლებული ბიჭი. - სად წავიდა მერე? მოხუცი წარბს კრავს.

-ყველამ თუ აქ ჩააფსა, რაღა მოვა?!... - კითხულობს ამრეზით და ოფლიან შუბლს ხელისგულით ინმენდს.

ბიჭი ჩუმადაა.

-ისეთი სუფთა წყალი იყო, ისეთი... ფსკერი ჩანდა შობელქაღლი ვიყო...

მოხუცსა და ბიჭს ყურის ბიბილოები აქვთ აბორდოსფრებული, ჭაჭიანი ბოთლი ბოლომდე დაუცლიათ. აღარც პურია, ყველიც. ნიორიც არ ჩანს, მხოლოდ ნაფცქვენები და სველი გაზეთის ნაგლეჯი-ლა გდია ნავის ფსკერზე გაშლილ ცელოფანზე.

ბიჭი ფეხზე დგება, ხელში პლასტმასის ბოთლი უჭირავს, მოხუცს ზურგს აქცევს და ხვანჯრის შეხსნას იწყებს.

მალე ჩხრიალის ხმაც ისმის. მერე უკან ტრიალდება - ჩალისფერი შარდით სავსე ბოთლს თავსახურს არგებს და მოხუცს ზემოდან დასცქერის.

-მოისვენე? - ეკითხება მოხუცი.

ბიჭი მხრებს იჩეჩავს და მოხუცს ბოთლს უწვდის.

-ამას მართლა ავადმყოფები სვამენ? - კითხულობს ბიჭი.

მოხუცი არაფერს პასუხობს და განზე იყურება. ბიჭი ბოთლს დაჰყურებს.

-გადავადგომ? - ისე გადავადგებ... - აგრძელებს სიტყვას მოხუცი. - სად უნდა გადავადგო... ამდენი ტყუილა ვიქაქანე?! -

ბიჭი ხელს იქნევს, ბოთლს სკამის ქვეშ დგამს და ჯდება.

შუადღის ბული კვლავაც გამჭვირვალე ნისლად გადაჰფენია ტბას.

-კიდევ რამდენი ხანი უნდა ვიცადოთ? - უმწეოდ კითხულობს ბიჭი და ნაპირისკენ იცქირება.

-სად გეჩქარება... - გულგრილია მოხუცი.

ჩუმადაა ბიჭი. თითებს ერთმანეთზე ითამაშებს.

-ბიჭები მელოდებიან. - ამბობს ცოტა ხანში. - საქმე მაქვს...

-გელოდებიან და გელოდონ... - დუდღუნებს მოხუცი.

ბიჭი ცქმუტავს, ადგილზე ვერ ისვენებს.

-ჰო, რა იყო?! - ბრაზობს მოხუცი. - მე შეგეხვეწე, რო მომყვებოდი?! იჯექი ახლა ადგილზე და, კრინტი!... რა მოვა ამ ყვირილში...


-ხო... - ეთანხმებასავით ბიჭი, ახველებს და ტბაში აფურთხებს.

-რა არი ეგ?! - ამრეზილია მოხუცი.

-გადავადგურთხე... - ბოთლი რისთვის გიდევს მანდ?!

-სავსეა და... - მამინ გადაგეყლაპა...

-ნახველი?



კობა იანგალიძის ფოტო

-სხვისია?! ბიჭი თავს უარის ნიშნად აქნევს.

ნავში კვლავ სიჩუმე ვარდება. -მეძინება... - ამბობს ბიჭი და თვალებს ლულავს.

-მიძინე მერე... - უყვავებს მორბილებული მოხუცი. - ჯერ მაინც ადრეა და...

ბიჭი სკამზე იშხლართება და ამთქნარებს.

-მალე წავიდეთ რა... - რულნარევი ხმით ამბობს და თვალებს ხუჭავს. - ოთხამდე უნდა ვნახო... თან აუცილებლად...

კვლავ მკაცრად იყურება მოხუცი ბიჭისკენ.

-დაგიცდიან-მეთქი!... -არ დამიცდიან!... - იძახის თვალდახუჭული ბიჭი.

-ნუ დაგიცდიან!

-უნდა ვნახო-მეთქი!...

-ნახავ!...

-უნდა ვნახო! საქმე მაქ! - ხმამალა ამბობს ბიჭი, თვალებს ახელს და ისევ ჯდება.

მოხუცი ბიჭს თვალს თვალში უყრის და კაი ხანი უყურებს. მერე გაზეთის ქუდს იხდის და მისით სველ შუბლს იხოცავს.

-გადახტი მერე... ჰე!...

-სადა?

-ნადი, ჰო, ნადი! წყალში, სადა...

ბიჭი წყალს გაჰყურებს.

-გადავხტი?

-ნადი-მეთქი, ჰო, ნადი!

ნავის ფსკერზე ნელა ირწევა მოხუცის ფეხებთან მიგდებული შარდით სავსე პლასტმასის ბოთლი. მოხუცი ნაპირისკენ იყურება.

სილაზე წევს თავიდან ფეხებამდე გალუმული ბიჭი და ხმამალა ქმენს.

-გადარჩი? - ეკითხება მოხუცი ყვირილით.

ბიჭი არაფერს პასუხობს.

-აკი ჩქარობდი? - ყვირის კვლავ მოხუცი.

ბიჭი თავს თანხმობის ნიშნად აქნევს და სილაზე ჯდება.

მოხუცი ანკესს დაჰყურებს, შემდეგ კვლავ ბიჭისკენ იხედება. ბიჭი უკვე ფეხზე დგას.

-დაგეცადა!... - ყვირის მოხუცი. - იქნებ მოვიდეს კიდევ რამე!... მერე რა რო ორშაბათია...

-მეჩქარე-ბა-მეთქი... რა ვერ გაიგე?! - სასონარკვეთით ღრიალებს ბიჭი. - ყველაფერი უნდა მათქმევიწიო?!... გითხრა?! ძალიან გაინტერესებს, არა?!... - თვალებიდან უეცრად ცრემლები სცვივა ბიჭს და მთელი სხეულით დაგძაგებს.

-ნაგებული მაქვს, ადამიანო, ნა-გე-ბუ-ლი!... - ცრემლებით სახესველი კიდევ უფრო ხმამალა ღრიალებს. - გაიგე?! ოთხამდე უნდა ჩავიტანო!... მეგონა მოვიდოდა, ჩავაბარებდით და მასესხებდით!! ასეთი ვის დავენახო, ჰა... ვის?! ან რა ვუთხრა... რა?! - ღრიალითვე ასრულებს და მკვეთრად გატრიალებული მძიმე ნაბიჯით მიუყვება სველ სილას.

მოხუცი დანანებით იქნევს ხელს. შემდეგ მდორე წყალს აცქერდება.

-ჯანდაბა შენ კიდევ!... რაღა დღეს არ მოდიხარ მაინცდამაინც!... - თითქოს ტბის გასაგონად ამბობსო და ანკესს წყლიდან იღებს.

ახვევს.

შლის.

მერე ნიჩბებს ჰკიდებს ხელს და ღონივრად უსვამს. ნავი ნაპირისკენ მისრიალებს.

ეულად ირწევა ნაპირს მიმდგარი, ორსკამიანი, ცარიელი ნავი. პაპანაქება უწევს ცარიელ ფსკერს. მდორე წყალზე მოტივტივეს მოხუცისა და ბიჭის შუბლებიდან ნანკვეთი ოფლი დამჩნევია ლაქებად.

ჩქარი ნაბიჯით მიუყვება სოფლისკენ მიმავალ მტვრიან შარას მხარზე აბგააკიდებული მოხუცი.

ქვიანია შარა, ალაგ-ალაგ ღრმულე-ბიანი. ჩქარობს მოხუცი და ლამის ძროხის უზარმაზარ, თითქმის გაქვავებულ ფუნაში ჩადგას შიშველი ფეხი - ფუნაში ავად აბზუებული ბზიკების ბუდე შეეფუჭა. ჩერდება მოხუცი, ბუდეს დაჰყურებს. მერე აბგიდან ფრთხილად იღებს შარდით სავსე ბოთლს, თავსახურს ხსნის და ბუდეს ზედ ბოლომდე აცლის.

-უხ, მე, აგერ თქვენი ორშაბათიც...! - დუდღუნებს თან თავისთვის.

მერე სწრაფად უქცევს გვერდს შარდით დატბორილ ბუდეს. გზას კვლავაც სწრაფი ნაბიჯით განაგრძობს. თან შუბლს იჩრდილავს, თითქოს ვილაცას ეძებდეს მზე-რი. მალევე პოულობს - შორს, წერტილივით ჩანს ბიჭის ფიგურა, რომელიც სოფლისკენ ნაკლაკნილ შარას მიუყვება.

-ეჰეი! - ყვირის მოხუცი. ბიჭს არ ესმის.

-დამიცა... ბიჭოო! - ყვირის კვლავ მოხუცი, მაგრამ ბიჭი ყურსაც არ იბერტყის; ჯიუტი ნაბიჯით მიაბობტებს სოფლისკენ.

მოხუცი ნაბიჯს უჩქარებს, მაგრამ მანძილი მასსა და ბიჭს შორის მაინც არ მცირდება.

-ბიჭო, რამ გაგაგოჟა?! - ცდილობს გააგონოს, მაგრამ ბიჭს მისი ყვირილი არ ესმის; ვერც გაიგონებს იმხელა დაშორებაა მათ შორის.

სიარულიდან სირბილზე გადადის მოხუცი და ქოშინით მიბორძიკებს. ერთი პირობა ლამის წაიქცეს, თუმცა არ ეშვება, მანძილი კი მაინც ჯიუტად არ მცირდება მოხუცსა და ბიჭს შორის.

მალალ აღმართს მიმდგარი მოხუცი ყოვნდება. გული ამოვარდნას აქვს. ბიჭს ვეღარ ხედავს. წესით ის უკვე გორაკის მეორე მხარეს უნდა იყოს და დაღმართზე ეშვებოდეს.

-ბიჭოოო! - ყვირის ისევ მოხუცი. აღმართი მის ძახილს ექოდ ისხლებს და ბუჩქნარში ჩამალულ ჩიტ-ფრინველს აფრთხილებს.

სველ შუბლს სახელოთი იხოცავს მოხუცი და ნელ-ნელა, სვე-

ნებ-სვენებით იწყებს აღმართზე ასვლას. ძნელია აღმართი - ქვა-ლორლიანი, მტვრიანი. ფეხი უსხლტება აქა-იქ მოხუცს, ალმაცერ ქვებზე ისერავს ხელისგულებს.

ბოლომდე ასულს და გორაკის წვერზე მოქცეულს თვალწინ მთელი სოფელი ეშლება. უცებვე პოულობს მოხუცი ამ ალიაქოთში მზე-რით თავის სახლს და ბიჭსაც ხედავს - ჭიმკარში შესულს, სწრაფად რომ ჭრის ეზოს და სახლში შედის.

ანთებულ ლამპას გარშემო ყვითელი პეპლები ეხვევიან და გახუნებულ შპალერზე წერტილოვან ჩრდილებად სხლტებიან.

სანოლზე ზის მოხუცი. ყვითლად დალაქავებული ლამის პერანგის ბოლოდან ვენებდაბერილი ფეხები უჩანს. ვერაფრით სწვდება მათით წითლად შეღებილ იატაკს და დუნედ არწევს ჰაერში. თან დანისლული მზე-რით იქვე მდგარ მეორე სანოლს დაჰყურებს, რომელშიაც ბიჭს სძინავს.

მოხუცი ხელისგულს მკერდზე იდებს - გულისცემას იზომავს. მერე იგივე ხელისგულს შუბლზეც იჭერს, თითქოს სიცხეს ისინჯავდეს და მალევე უშვებს ძირს. პერანგის ჯიბიდან დაჭმუჭნულ ცხვირსახოცს იღებს, ცხვირს ხმამალა იხოცავს და სანოლიდან იატაკზე ხტება. უსაშველოდ გამხდარს ლამის პერანგი ანაფორასავით ადგას ტანზე და ფეხის თითებსაც უშალავს. ფანჯარასთან მიტანტალბულს შორიდან ზაყაყების ყიყინი ესმის. მოხუცი მზერას ზემოთკენ იშვებს და ცაზე მოციავე ნახევარმთვარის დანახვაზე აურჟოლებს. სასწრაფოდ შორდება ფანჯარას და კართან ფეხაკრეფით მიდის.

-მოხვედი? - კითხულობს ჩურჩულით.

არავინ პასუხობს.

მოხუცი აყურადებს, თუმცა ბაყაყების ყიყინის მეტი არაფერი ესმის. მერე ურდულს სწევს და კარს ბოლომდე აღებს - ზღურბლზე არავინაა.

-მოზრძანდი, მოზრძანდი... - დუდღუნებს მოხუცი. - სად იყავი აქამდე... რა ხანია გელოდი... ჩემი დრო ისედაც იყო უკვე... აღარაფერში ვვარგავარ... აღარც ორშაბათობით და არც მერე... - ეუბნება სიცარიელეს. იქვე კიდევ აპირებს რალაცის თქმას, მაგრამ თვალი მძინარი ბიჭისკენ გაურბის და დუმდება - კარს ღიად ტოვებს, სწრაფად გატრიალებული თავის სანოლთან მიტანტალბებს, ზედ ფრთხილად სკუპდება და აყურადებს.

-ანი უჩემოდ... - ამბობს ცოტა ხანში და კვლავ იქვე მდგარი სანოლისკენ იყურება.

ბიჭი ხენემით იცვლის გვერდს ძილში.

მოხუცი ხელისგულს ჭალარა თავზე ისვამს. მერე წევს. ხელს მიცვალებულივით იკრეფს მკერდზე, ფეხებს ერთმანეთზე იჯვარედინებს და თვალს მთელი ძალით ხუჭავს.

ცოტა ხანი გაყურსული წევს. მერე უცებ მთელი ძალით იჭინთება, მოჭიმული სხეულიდან ცალი ხმაურიანი კუილი სცდება და სასიკვდილოდ აფრთხილებულს ნიკაბი ძირს უვარდება.

ანთებულ ლამპას გარშემო კვლავ ყვითელი პეპლები ეხვევიან და გახუნებულ შპალერზე წერტილოვან ჩრდილებად სხლტებიან.

გარეთ თენდება. თენდება ფრთხილად. ახალი დღის რიჟრაჟს ოთახში გამოღებული კარ-ფანჯარიდან ნამიან სიგრილესთან ერთად ბაყაყების ყიყინის ხმა შემოაქვს და სანოლებთან აგროვებს. სადღაც შორიდან პირველი მამლის ხრინწიანი ყივილიც ისმის.

ჰარუკი მურაკამი (დ.1949) თანამედროვე იაპონური პროზის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან 1973 წელს დაასრულა ვასედას უნივერსიტეტი. პირველი რომანი 29 წლის ასაკში დაწერა; მალევე მოიპოვა პირველი ლიტერატურული პრემიაც. იგი წლების მანძილზე ამერიკაში ცხოვრობდა და თითქმის ყველა მის ნაწარმოებში იგრძნობა ამერიკული კულტურის გავლენა (რისთვისაც მას ხშირად აკრიტიკებენ ხოლმე სამშობლოში) - განსაკუთრებით, ეს ჯაზით მის გატაცებას შეეხება. მურაკამის ლამის ყველა პერსონაჟი ჯაზითაა გატაცებული, ისინი კლასიკურ, ავანგარდამდე ჯაზს უსმენენ და თავად მწერლის თხრობის მანერაც იდუმალი სილალით გაჯერებულ COOL პროსოდის შეგვიძლია შევადაროთ.

ჰარუკი მურაკამის გამოცემული აქვს რომანები: "უსმინე ქარის ხმას" (1979), "პინბოლ 1973" (1980), "გარეულ ცხვრებზე ნადირობა" (1982), "დენს, დენს, დენს" (1988). მის პროზას საქართველოში უფრო რუსული გამოცემებით იცნობენ, თუმცა ჩვენს ლიტერატურულ პრესაში უკვე გამოჩნდა მისი პირველი ქართული თარგმანებიც ("არილი" 2002, N 1). წარმოდგენილი მოთხრობა მწერლის 1984 წლის კრებულში დაიბეჭდა.

რედაქცია

აღმოდებულდი ფარდებულბი შუადამისას

ჰარუკი მურაკამი

ის გოგო სამი წლის წინათ მეგობრის ქორწილში გავიცანი. მაშინ ოცდათერთმეტის ვიყავი, ის - ოცის, ესე იგი, სხვაობა ლამის ერთი ასტროლოგიური პერიოდი იყო, თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემებით ვიყავი დაკავებული: ასაკზე და მსგავს სისულელეებზე ფიქრის დრო სად იყო. კაცმა რომ თქვას, ასეთ რამეებზე არც ის იტყვიება თავს. მას არც ის აღელვებდა, ცოლი რომ მყავდა. ეტყობოდა, მის წარმოდგენაში ასაკი, ოჯახი და შემოსავალი ისეთი მემკვიდრეობითი რამ იყო, როგორც ფეხის ზომა, ხმის ტემბრი ან ფრჩხილების ფორმა. მოკლედ, არ გახლდათ მერკანტილური ადამიანი. რა ვიცი, ასე მგონია...

უკვირს ის ამბავი, რომ ყველა გოგო რალაცით არის გატაცებული. თანაც არც ისეთი ტიპი ჩანდა, თავისი ნიჭის დახვეწაზე სერიოზულად რომ ეზრუნა.

როგორ გავიგოთ "მანდარინის გაფრცქვნა"? ზუსტად ისე, როგორც გვესმის. მას მარცხნივ უდგას მანდარინებით სავსე შუშის ჯამი, მარჯვნივაც - ასეთივე ჯამი: კანებისათვის. სინამდვილეში კი - მსგავსი არაფერი! ის წარმოსახვით იღებს მანდარინს, ნელ-ნელა აცლის კანს, კბილა-კბილა იღებს პირში, ლეჭავს და აფსკებს კანზე აფურთხებს; ერთ მანდარინს რომ გაათავებს, კანს დააგორგალებს და მარჯვენა ჯამში გადაუძახებს. პროცესი მონოტონურად მეორდება. თავიდან გართობად მომეჩვენა, მაგრამ ათი-ოცი წუთის შემდეგ - ბარის დახლთან ვისხედით - მომეჩვენა, რომ ჩემგან რეალობის განცდის ამოტუმბვა დაიწყეს. სამინელი შერბნება. როცა ისრაელში აიხმანს I (1 აიხმანი - Eichmann, (Karl) Adolf - 19.03.1906 (ზოლინგენი, გერმანია) - 31.05.1962 (თელ-ავივი, ისრაელი). გესტაპოს ქვეგანყოფილების უფროსი. გაზის კამერებში და მხუთავი მანქანების იდეოლოგი. 1946 წელს გაიქცა ნიურნბერგის ტყვეთა ბანაკიდან და 1960 წელს ბუნოს-აირგისის გარეუბანში დააკავეს ისრაელის აგენტებმა. ისრაელის სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩვეს 1962 წლის 31 მაისს. ისრაელის სახელმწიფოს ისტორიაში ეს არის ჩამოხრჩობის ერთადერთი შემთხვევა.) ასამართლებდნენ, ვილაცას უთქვამს, თუ გინდათ, მაგის ოხტში ამოხვიდეთ, ერთად-გილიან საკანში მოათავსეთ და ამ საკნიდან ნელ-ნელა ჰაერი ამოტუმბეთო. მართლა არ ვიცი, როგორ მოკვდა აიხმანი. ისე, შემთხვევით გამახსენდა.

სური მასსოვდა, აღარც მომბაზერბელი მოლაპარაკებები და აღარც გაუგებარი აზრებით თავგამოტენილი უსახური ადამიანები. უთუოდ იყო მასში რალაც განსაკუთრებული ძალა. ყოველთვის, როცა მის უაზრო ტიკტიკს ვუსმენდი, ვგრძნობდი რალაცნაირ გაბრუებას, გონება მეფანტებოდა, თითქოს შორეულ ჰორიზონტზე განოლილი ღრუბელი მიფარავდა მზერას.

ენაზე ჭალი არც მე მედებოდა, მაგრამ სერიოზულ თემებზე საუბარს მაინც გავუბრბოდი. ან ისეთი რა გამაჩნდა, მისთვის რომ გამეზიარებინა. ასე!

არაფერია, რასაც გიყვებით! ორი წლის წინათ, გაზაფხულზე, ინფარქტით გარდაეცვალა მამა, რომელსაც, როგორც ჩანს, ცოტადღეი ფული დაეტოვებინა. უცებ, არ ვიცი, რა ბუზმა უკბინა, აილო ეს ფული და ცოტა ხნით ჩრდილოეთ აფრიკაში გაემგზავრა, რაშიც ჩემი დაქალი, ალჟირის საელჩოს თანამშრომელი დაეხმარა. აეროპორტიდან გავაცილე ერთადერთი ჩანთის, გაცვეთილი "ბოსტონის" ამარა. ბარგს ისეთი ყოფით უმონებდნენ, გეგონებოდათ კი არ მიემგზავრება, არამედ ბრუნდებო.

- მართალი მითხარი, ხომ დაბრუნდები იაპონიაში?
- რა თქმა უნდა, დაბრუნდები!

... ჰოდა, დაბრუნდა - სამი თვის შემდეგ, ზანგივით გარუჯული და გამხდარი, - სამი კილოგრამი და ჰქონდა დაკლებული. თან ახალი საყვარელი მოიყოლა, რესტორანში გაეცნო შემთხვევით. ალჟირში იაპონელები ცოტანი არიან და უთუოდ ამიტომ დაუახლოვდნენ და შეეთვისნენ ერთმანეთს. თუ არ ვცდები, მისი პირველი ნამდვილი საყვარელი ეს კაცი იყო - ოცდაათი წლის, მალალი, დახვეწილი და თავაზიანი ჯუელი. მართალია, ლუგუმი სახე ჰქონდა, მაგრამ რატომღაც მაინც სიმპათიური და სასიამოვნო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. უხდებოდა დიდი ხელები და გრძელი თითები.

ასე ახლოს საიდან ვიცნობ? აეროპორტში დახვედრისას გავიცანი. მოულოდნელად ბეირუთიდან მომივიდა დეკუმა, რომელშიც მხოლოდ რეისის თარიღი და ნომერი იყო აღნიშნული. მას სურდა, აეროპორტში დავხვედროდი, სანამ თვითმფრინავი დაჯდებოდა - ცუდი ამინდის გამო ოთხი საათით დააგვიანა - კაფუმი ვიჯექი და ფოლკნერის მოთხრობების კრებულს ვკითხულობდი. შეყვარებული წყვილი ტრაპზე ხელი-

ხელჩაკიდებული ჩამოვიდა. გვრიტებივით ცოლ-ქმარი გეგონებოდათ. გაცნობისას ანგარიშმიუცემლად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. საზღვარგარეთ დიდხანს მცხოვრები კაცის სიმტკიცე ვიგრძენი მის ხელში. რესტორანში შევედით, - ქალმა "ტენდონის" ჭამაზე გაიგიჟა თავი, ჩვენ ლუდს ვწრუპავდით.

"საგარეო ვაჭრობის ფირმაში ვმუშაობ", - როგორღაც წამოსცდა და მერე ამ თემაზე კრინტი აღარ დაუძრავს. ალბათ საქმეზე ლაპარაკი არ უყვარდა, ანდა ეგონა თავს შემანყენდა. რალა დაგიმალათ და, ვაჭრობაზე ლაპარაკი მართლაც გულს მირევს, ამიტომ ნაფურეუე, მაგრამ, საუბედუროდ, საუბრის ძაფი გაგვიწყდა და მან, მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, ბეირუთის უსაფრთხოებასა და ტუნისის წყალგყვანილობებზე ჩამოაგდო სიტყვა. ეტყობოდა, კარგად ერკვეოდა ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ყოფაცხოვრებაში.

ამასობაში ჩვენი მეგობარი მორჩა "ტენდონის" ჭამას, დაამთქნარა და განაცხადა, მეძინებო. ნახევრად უკვე ძილბურანში იყო. მართლა! - სულ დამავიწყდა: მას უცნაური ჩვევა სჭირდა, უადგილო ადგილას ისე ჩამოიძინებდა, თვალსაც არ დაახამხამებდა. კაცმა თქვა, სახლამდე ტაქსით მივაცილებო. არა, - ვუთხარი, - ელექტრომატარებლით სჯობია, თანაც მეც იქით მივდივარ-მეთქი.

ბოლომდე გამოცანად დამრჩა: "საერთოდ, რა მინდოდა აეროპორტში?"

- სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, - დამემშვიდობა კაცი ყოველგვარი მობოდიშების გარეშე.

- ჩემთვისაც...
კიდევ რამდენჯერმე შევხვდი. "მანდარინის მფრცქვნელს" აჩრდილივით დასდევდა. ეს გოგო ჩემთან, პაემანზე მას მოჰყავდა თავისი სპორტული ავტომანქანით. ვერცხლისფერი გერმანული ავტო მუდამ ისე ჰქონდა განკრიალებული, ერთ ლაქას ვერ უშოვიდი. ავტომანქანებში კარგად ვერ ვერკვევი, ამიტომ დანვრისებით ვერ აღვწერ, თუმცა დანამდვილებით შემძილა ვთქვა, რომ ეს იყო მანქანა ფედერიკო ფელინის შავ-თეთრი ფილმებიდან.

- ეტყობა, მდიდარია, არა? - ვკითხვი ჩემ გოგოს.
- ჰო, - მომიგო გულგრილად, - ალბათ მდიდარი.
- ნუთუ ამდენს შოულობს საგარეო ვაჭრობაში?
- საგარეო ვაჭრობაში?



- თვითონ თქვა, საგარეო ვაჭრობის ფირმაში ვმუშაობო.
- რა ვიცი... შეიძლება მუშაობს. მაგრამ... კარგად არ ვიცი. საერთოდ, არ ეტყობა, თუ სადმე მუშაობს. ვილაცებს კი ხვდება, ტელეფონზე ურეკავს... მაგრამ ისე, რომ წელეებზე ფეხს იდგამდეს...
- ხედავთ რა გეტყვია!
- რაო?
- არაფერი!

ოქტომბრის ერთ კვირადღეს ჩემმა გოგომ დარეკა. შუადღე იყო. ცოლი დილიდანვე ნათესავებთან იყო გასული, შინ მარტო ვიყავი. მზიანი, სასიამოვნო დარი იდგა. ქაფურის მარადმწვანე ხეს გავხეივებდი და უკვე მეშვიდე ვაშლს ვჭამდი.

- შენ სახლთან ვართ ახლოს, რას იტყვი, ორივენი რომ გესტუმროთ?
- ორივენი? - ვკითხე გოცე-ბულმა.
- ჰო, მე და ის.
- აჰ... დიას, დიას, რა თქმა უნდა!

- მამ, დაგველოდე, ოცდაათ წუთში მოვალთ, - მოკლედ მოჭრა და ყურმილი დაკიდა.
ცოტა არ იყოს, დავიბენი. დივანზე ვიჯექი და ვფიქრობდი, თუმცა რალა დროს ფიქრი იყო, ავდექი, შევედი აბაზანაში, შხაპი გადავივლე და პირი გავიპარსეთანი გავიმშრალე, ყურები გამოვიწმინდე. მივიხედ-მოვიხედე, სახლი კაი გვარიაანად იყო არეული, მაგრამ ხელი არაფრისთვის მომიკიდა, აზრი არ ჰქონდა, ვერ მოვასწრებდი. აქეთ-იქით ეყარა ნიგნები, ყურნალები, წერილები, ფირფიტები, ფანქრები და სვიტერიც კი. შემოქმედებითი უწესრიგობა - საბედნიეროდ, მტკრისა და ჭუჭყის გარეშე. წინააღმდეგობა - საშუალო დაავითავრე. დაღ-

ლილი და გამოფიტული ვიყავი. ისევ დივანზე ჩამოვჯექი, ვაშლი ჩავკბინე და ქაფურის ხეს გავხედე.

ნახევარი კი არა, ორ საათზე მეტი გავიდა, რომ, როგორც იქნა, მოვიდნენ. სახლის წინ ბორბლების ხრჭიალით გაჩერდა სპორტული ავტომანქანა. წინკარიდანვე შევნიშნე ნაცნობი ვერცხლისფერი სილუეტი. ჩემი გოგო ღია ფანჯრიდან ხელს მიქნევდა. ვანიშნე, მანქანა სახლის უკან დააყენეთ-მეთქი.

აი, ჩვენც მოვედით! - მხიარულად დამიძახა, როცა მანქანიდან გამოვიდა. თხელ ბლუზზე მკვეთრად ემჩნეოდა კერტების ფორმა, მინი-კაბა მწვანე-წენ-გოსფერ ტონებზე ეღვრებოდა თქმობაზე.

კაცს ევროპული სტილის მუქ-ლურჯი სპორტული ხიფთანი ეცვა. ცოტა შეცვლილი მეჩვენა, თუმცა ვერ ვიტყვოდი, რომ ორი დღის წვერი აუშნოვებდა, უბრალოდ, სახე ოდნავ ჩამუქებოდა. მზის სათვალეები გულის ჯიბეში ჩაიდო და ცხვირი მოიმუშუნა - დიდებული სრუტუნი გამოუვიდა!

- გვაპატიეთ, ასე მოულოდნელად რომ დავატყდით თავს ამ უქმზე, - მომიბოდიშა მან.

- რას ბრძანებთ. ჩემთვის ყოველი დღე უქმეა. თანაც... მართალი გითხრათ, ცოტა მონყენილი ვიყავი.

- ჩვენ რაღაც საქმელებიც მოვიტანეთ, - თქვა ქალმა და უკანა სალონიდან დიდი პაკეტი ამოიღო.

- საქმელი? - ბევრი არაფერია, უბრალოდ მოგვერიდა ხელცარიელი მოვსულოყავით, თანაც კვირადღეა! - ამიხსნა კაცმა.

- ძალიან კარგი! დიდიდან ვაშლის მეტი არაფერი მიჭამია.

შინ შევედით და პროდუქტები მაგიდაზე დავახვავეთ. რაც მართალია, მართალია, რიგობის სუფრა გაეწყობა! - კარგი თეთრი ღვინო და სენდვიჩები როსტბიფით, სალათა და შებოლილი ნითელი თევზი, ლურჯი მოცვი და ნაყინი. ყველაფერი ბლომად! როსტბიფიან სენდვიჩებში კრეს-სალათაც შედებოდა, მდოგვიც ნამდვილი იყო. საქმელები თევზებზე გადავანყეთ, გავხსენით ღვინო და ქეიფს მეტი რაღა უნდოდა.

- ცოტა არ იყოს, მეუხერხულე... - ვთქვი.

- რას ამბობთ! ჩათვალეთ, რომ ეს არის კომპენსაცია ჩვენი თავხედობისათვის!

- დავინწყით, თორემ მეტი აღარ შემიძლია, მუცელი მიბუფბუყებს! - თქვა ქალმა.

მასპინძლის უფლება გამოვიყენე, სასმისები შევავსე და სადღეგრძელო წარმოვთქვი. ღვინო ოდნავ ძელგი მეჩვენა, თუმცა რამდენიმე ყლუბის შემდეგ სიმსკლარტემ გაუარა.

- შეიძლება ფირფიტა დავდო? - მკითხა ჩემმა გოგომ.

- მიდი. ჩემთან ერთხელ უკვე იყო ნამყოფი, ამიტომ იცოდა, სად რა იდო. თაროდან რამდენიმე ფირფიტა ჩამოიღო, მტკვრი გადაწმინდა და ფირსაკრავი ჩართო.

ეჰ, რა ნაცნობი აპარატია! - ჩაილაპარაკა კაცმა.

"გალარდის" მარკის ავტოჩეინჯერი იყო. ეს მოდელი მართლაც რელიქტად ითვლებოდა, სადღაც გადაკარგულში მივაგენი. სასიამოვნოა, როცა გემოვნებას გიფასებენ!

ჩემ გოგოს ძველი ჯაზის ვოკალისტები მოსწონდა, ამიტომ პირველად ფრედ ასტერი და ბინგ კროსბი მოგვასმენინა. შუაში ჩაიკოვსკის "სიმებიანი სერენადა" ჩააკვება, რასაც ნეთ კინგ კოული მოაყოლა.

ამასობაში მთლიანად ვშთანთქმე სენდვიჩები, სალათა და შებოლილი ნითელი თევზი. ღვინოც რომ ჩამოიცალა, მაცივრიდან ლუდის ქილები გამოვალაგე. კიდევ კარგი, მაცივარი ყოველთვის გამოვსებული მაქვს ლუდით. ერთ ჩემს ნაცნობს პატარა ფირმა აქვს და შეღავათიან ფასებში მაძლევს ხოლმე ლუდის სასაჩუქრო ტალონებს.

კაცი კარგად გამოიჭყობა, მაგრამ სახეზე სასმელის კვალი არ დასტყობია. თუმცა ლუდის სმაში არც მე ვარ ჯაბანი. ჩვენი ხათრით რამდენიმე ქილა ქალმაც დალია. ჯერ საათიც არ იყო გასული, რომ მაგიდაზე ოცდაოთხი ცარიელი ქილა გამწკრივდა. ფაფუ, გაქრა ლუდი! მუსიკაც ჩამოთავდა. ჩემმა გოგომ ხუთი ახალი ფირფიტა აარჩია და პირველად მაილს დევისის "ეაჯინი" დადო.

- ცოტა მოსაწონებია მაქვს. გინდათ?

ვიუარე. როგორი საქმეა, სულ რაღაც ერთი თვის წინ მქონდა თავი დანებებული. მაცთუნებელი წინადადება იყო, ახლა უნდა გამომეცადა ჩემი ნებისყოფა, მაგრამ ჩავფლავდი. ჯანი გავარდეს, მოიტა-მეთქი. კაცმა ქალაღის პაკეტიდან ალუმინის ფოლგა ამოიღო, კანაფი სიგარის ფოთოლზე დაყარა, მჭიდროდ დაახვია და ნაწიბურს ენა გაუსვა. სანთებულათი მოუკიდა, რამდენჯერმე მოქაჩა და როცა დარწმუნდა, რომ პაპროსი ნამდვილად "ააფეთქა", თავაზიანად გამომიწოდა. უმაღლესი ხარისხის მარიხუანა გამოდგა. მოსაწონებელი უსიტყვოდ დავატრიალეთ წრეში, თითო ნაფაზს ვარტყამდით. მაილს დევისის იოჰან შტრაუსის ვალსებმა შეცვალა.

პაპროსი რომ ჩავათავეთ, ჩემ გოგოს ძილი მოუწდა - ლუდის სამმა ქილამ და მარიხუანამ თავისი გაიტანა - გეთხოვა, დამაძინეთო. მეორე სართულზე, საძინებელში ავიყვანე, ტანსაცმელი სწრაფად გაიძრო, ტრუსის ამარა დარჩენილმა ჩემი მარჯვნივ გადაიცვა, გაუხვია საბანში და ხუთ წამში ფშვინვა ამოუშვა. თავის კანტურით ჩაებრუნდი დაბლა.

კაცი სასტუმრო ოთახში, დივანზე იჯდა და მეორე სიგარას აკეთებდა. აი, ბიჭი! რაღა დავგიშალეთ და ერთი სული მქონდა ჩემ გოგოს ლოგინში ჩავგორებოდი და ერთი გემრიელად დამეძინა, მაგრამ მასპინძელი ვიყავი და ამას როგორ ვიკადრებდი. დავუქიშინეთ. ისევ იოჰან შტრაუსის ვალსი უკრავდა. რატომღაც ჩემი დანყებით სკოლა და თვითშემოქმედების დათვალეობა მომავონდა. ხელთათმანების ფარდულის ნოქრის როლს ვთამაშობდი. მელია მოდიოდა ხელთათმანების საყიდლად, მაგრამ ფული აკლდებოდა.

- ხელთათმანებს ვერ მოგყიდი, - ვეუბნები (უარყოფითი როლი!).

- ბიძია, ბიძია! მომე რა! დედიკო ისეა გათოშილი, თათებში ამტვრევს, - მემუდარება მელაკუდა.

- არა, არ შეიძლება! ფული შეაგროვე და ისე მოდი, მაშინ...

- ზოგჯერ ფარდულებს ვნვაე! - თქვა მან.

- უკაცრავად, ვერ გავიგე...

- ზოგჯერ ფარდულებს ვნვაე! - გაიმეორა.

გაოგნებულმა შევხედე. ფრჩხილით სანთებელას კონტურს ხაზავდა. ღრმა ნაფაზი და არტყა, ბოლო ათი წამით გაიჩერა და ნაწილ-ნაწილ ამოუშვა. პირიდან ბოლს ექტოპლამაზასავით აფრქვევდა. სიგარა გამომიწოდა და ჩაილაპარაკა:

- კარგი რამეა! თავი დავუქნიე.



მეტი თქვა და თითები



ლალო ფოჩხასი ნახატი

- ინდოეთიდან ჩამოიტანეს. საუკეთესო ხარისხი ავარჩიე. როცა ენევი, ცხოვრების ყველაზე უცნაური ეპიზოდები გავიხსენებთ თავისი ფერებითა და სუნით. ეგეთი რამეა! თანაც მესხიერება... - პაუზა გააკეთა და ხელისგულზე შუა თითი რამდენჯერმე გაატკაცუნა, - ... საერთოდ გეცვლება. ასე არ არის?

თავი დავუქნიე. უცებ ერთბაშად განათდა მესხიერება: სასკოლო სპექტაკლი, არეული სცენა, მუყაოს დეკორაციები და საღებავის სუნე...

- ფარდულებზე ამბობდი რაღაცას...

თვალეებში შემომხედა. სახე წაშლილი ჰქონდა.

- შეიძლება დავინყო? - მკითხა.

- დანწყე.

- ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება: მივასხამ ბენზინს, გავკრავ ასანთს, ავარდება ალი და მორჩა. თხუთმეტ წუთში ყველაფერი ნაცარშია მოხანხლული.

- მერე? - ვკითხე და პირი მოეკუმე, მომდევნო ფრაზას დავუწყე ძებნა, - რატომ წვავ ფარდულებს?

- გიკვირს?

- რა ვიცი. შენ წვავ. მე არ ვწვავ. განსხვავება ხომ არის. სანამ გეტყვი, მიკვირს თუ არა, განსხვავება უნდა გავარკვიო. ჩვენთვის. თანაც ლაპარაკი შენ დანწყე.

- ჰო, მართალი ხარ! რავი შანკარის ფირფიტა გაქვთ?

- არა მაქვს.

დაბნეულობა შეეცყო.

- ორ თვეში ერთ ფარდულს ვწვავ, - თქვა და თითები გაატკაცუნა. - ურიგო ტემპი არ არის, ყოველ შემთხვევაში, მე მაკმაყოფილებს.

ხელი მაშინალურად გავიქნიე. ტემპი?

- ესე იგი, საკუთარ ფარდულებს წვავ...

გაოცებულმა შემომხედა.

- საკუთარი რატომ უნდა დავწვა, გიჟი ხომ არა ვარ!

- მაშ, ესე იგი, სხვის ფარდულებს წვავთ?

- რა თქმა უნდა! ამიტომ... ეს, ერთი სიტყვით, დანაშაულია, ისევე, როგორც ახლა მარისხუანას რომ ვენევი - მკვეთრად გამოხატული დანაშაული.

იდაყვი სკამის საზურგეზე ჩამოვყარდნე. გაეჩუმდა.

- ისეთ ფარდულებს ვარჩევ, დიდი ალი რომ არ ჰქონდეს. ჩემთვის მთავარია ფარდულის დანვა და არა ხანძრის გაჩენა.

თავი დავუქნიე და სიგარა ჩავაქრე.

- რომ დაგიჭირონ, მერე რას შვრები? ხომ შეიძლება დაგაპატიმრონ.

- ვერ დამიჭირონ, - მომიგო არხინად, - მივასხამ ბენზინს, მივადგებ ასანთს და მაშინვე გავრბივარ. შორიდან ბინოკლით ვუყურებ და ვტკბები. ვერ დამიჭირონ. პოლიცია თავს არ შეინუხებს რაღაც უზადრუკი ქობის გულისთვის.

- თანაც არავის თავში აზრად არ მოუვა, ეჭვი მიიტანოს რესპექტაბელურ ახალგაზრდა კაცზე, რომელიც უცხოური ავტომანქანით დაგრილებს, არა?!

- რასაკვირველია! - თქვა გაღიმებულმა.

- ჩვენმა დაქალმა თუ იცის ამის შესახებ?

- არაფერიც არ იცის. ასეთ რამეებს არავის ვუყვები.

- მაშ მე რატომ მომიყვები?

დაფიქრდა და მარცხენა ხელით შებურძვული ლოყა მოიფხანა.

- თქვენ მოთხრობებს წერთ. მგონია, კარგად უნდა ერკვეოდეთ ადამიანური საქციელის მოტივებში. ჩემი აზრით, მწერლები... ერთი სიტყვით, სანამ საგნებსა და მოვლენებს შეაფასებდნენ, მანამ მათი პირველყოფილი შინაარსით ტკბებიან. აი, რატომ მოგიყვები.

მისმა სიტყვებმა დამაფიქრა. მგონია, მართალს ამბობდა.

- შენ ალბათ პირველხარისხოვან მწერლებს გულისხმობ, - ვუთხარი.

ჩაიცინა.

- შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, - დანწყე მან, ხელის მტევენები ერთმანეთს გადააჭდო და წინ გამოჭამა, - მსოფლიოში მილიონობით ფარდულია და ასე მგონია, ყველა, ზღვის პირას დგას ეულად, თუ მინდვრის შუაგულში, მოელის იმ დროს, როცა ცეცხლს წაუუკიდებ და დავწვავ. ნებისმიერი ფარდულისთვის თხუთმეტი წუთი საკმარისია, რომ ჩაიფერფლოს ისე ლამაზად და ეშხიანად, თითქოს არც არსებობდა. გულიც არავის დასწყვება. უბრალოდ - ფშუკ! და ფარდული აღარ არის.

- ასე რომ, შენ თვითონ წყვეტ, საჭიროა თუ არა იგი.

- არაფერსაც არ ვწყვეტ. უბრალოდ, ვუყურებ. როგორც წვიმა... წვიმა მოდის. მდინარე აზვირთდა. დინებას რაღაც მოჰყვება. წყვეტს წვიმა რამეს? - არაფერს! მჯერა იმ ერთი რამის, რასაც ზნეობრიობას უწოდებენ.

ადამიანებს მის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. ჩემი აზრით, ზნეობრიობა, იცით, რა არის? - ერთდროული არსებობა!

- ერთდროული არსებობა?

- მოკლედ რომ ვთქვა, აქაც ვარ და იქაც. ერთდროულად ტოკიოშიც ვიმყოფები და ტუნისშიც. როცა ვსაყვედურობ, ამავე დროს ვპატიობ კიდეც. ამის გარდა კიდევ არსებობს რამე?



აი, თურმე რა ყოფილა!

- ცოტა არ იყოს, უკიდურესი თვალსაზრისია, რომელიც, როგორც ჩანს, ვარაუდის საფუძველზეა აგებული. აბა, წარმოვიდგინოთ ცალკე აღებული ცნება "ერთდროულობა" - ხომ სრული გაუგებრობაა!

- გასაგებია. უბრალოდ, მინდოდა გადმომეცა ჩემი განწყობილება სწორედ განწყობილების მნიშვნელობით. მაგრამ... მოდი, შევწყვიტოთ საუბარი. რაც უფრო ცოტას ვსვამ, იმდენად ბევრს ვებედავ.

- ლუდს დალევ?

- გამადლობთ, უარს არ ვიტყოდი.

სამზარეულოდან ექვსი ქილა ლუდი გამოვიტანე და თან კამამბერის ყველიც მივაყოლე. სამ-სამი ქილა დავვლიეთ.

- ბოლო ფარდული როდის დანვი? - დავინტერესდი.

- მოიცა, გავიხსენებ! - ცარიელი ქილა ჩაბლუჯა და ჩაფიქრდა.

- ზაფხულში... ავვისტოს ბოლოს.

- ახლის დანვას როდის აპირებ?

- არ ვიცი. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს გრაფიკს ვადგენ, კალენდარში ვინიშნავ და სულმოუთქმელად ვმოვადებ იმ დღის დადგომას. ევოლა განწყობილება - ნავალ და დავნავ.

- მაგრამ ხომ შეიძლება, რომ იმ დღეს, როცა განწყობილება მოგივა, ფარდული არ გქონდეს შეგულებული?

- რა თქმა უნდა, - მიპასუხა თითქმის ჩურჩულით, - ამიტომ წინასწარ ვარჩევ.

- მარაგად ინახავ?

- დიახ.

- კიდევ ერთი შეკითხვა თუ შეიძლება?

- ბრძანეთ.

- ამ წუთში შეგულებული გაქვს?

უცებ მოილუშა, კოპები შეჰყარა და ძლივს გასაგონად ამოიხარა.

- შეგულებული მაქვს. კრინტი არ დამიძრავს, ვიჯექი და ლუდს ვწრუპავ.

- ძალიან კარგი ფარდულია! კარგა ხანია, ასეთი არ შემხვედრია! რომ არ დავიმალო, დღეს დაზვერვაზე ვიყავი.

- აქ სადმე ახლოს ხომ არ არის?

- დიახ, აქედან ორ ნაბიჯზეა. ჩვენი საუბარი შეწყდა.

ხუთი საათი შესრულდა. ქალი გააღვიძა, მე კი ბოდიში მომიხადა მოულოდნელი ვიზიტისათვის. ოცი ქილა ლუდი ჰქონდა დალუქი, მაგრამ სრულიად ფხიზლად გამოიყურებოდა, მანქანა სადგომიდან ციმციმ გაიყვანა.

- ფარდულთან ფრთხილად იყავი! - ვუთხარი დამშვიდობებისას.

- კეთილი! - მიპასუხა, - რაც არ უნდა იყოს, აქვეა, ყურისძირში!

- რა ფარდულზეა ლაპარაკი? - დაინტერესდა ქალი.

- ისეთი არაფერია. მამაკაცებმა ვიცი, - დაამშვიდა მან.

- აბა, აბა!

მანქანა ადგილს მოსწყდა და გაუჩინარდა.

შინ შევბრუნდი და დივანზე გავიშლართე. მაგიდაზე გული-სამრევი უნესრიგობა სუფევდა. ავიღე იატაკზე დაგდებული შალის ხიფთანი, დავიხვიე თავზე და დავიძინე.

თვალები რომ გავახილე, სახლში უკვე ბინდ-ბუნდს დაესადგურებინა. შვიდი საათი იყო. ოთახში იდგა მოლურჯო ბინდი და კანაფის მძაფრი სუნი. უცნაური, არაბუნებრივი სიბნელე გულს მიმფოთებდა. ვინეტი დივანზე და ამოად ვცდილობდი გამეხსენებინა სასკოლო სპექტაკლის მომდევნო სცენა - მისცეს თუ არა მელაკუდას ხელთათმანები?!

ავდექი, გავაღე ფანჯარა, ოთახი გავანიავე. სამზარეულოში ყავა მოვადულე და დავლიე.

■ ■ ■

მეორე დღეს წიგნის მალაზიაში ჩვენი რაიონის რუკა ვიყიდე. წვირილ, 1:20000 მასშტაბის რუკაზე ყველაზე ვიწრო ბილიკიც კი არ იყო გამოჩენილი. რუკით ხელში შემოვიარე ჩემი სახლის მიდამოები და ჯვრებით აღვნიშნე ყველა ადგილი, სადაც ფარდული იდგა. სამ დღეში დანვრილებით შევისწავლე ტერიტორია ოთხკილომეტრიანი რადიუსით. მე ვცხოვრობ გარეუბანში, სადაც ჯერ კიდევ ბევრი გლახური მეურნეობაა შემორჩენილი. აქ სულ თექვსმეტი ფარდული დავითვაღე.

თექვსმეტიდან ერთი უთუოდ უნდა დავნვა. როგორც თვითონვე მიმანიშნა - "ყურისძირშიაო" - მსხვერპლი ოთხი კილომეტრის იქით არ უნდა ყოფილიყო. ყურადღებით შევისწავლე თითოეული ფარდულის ირგვლივ არსებული მდგომარეობა. საცხოვრებელ სახლებთან და სათბურებთან მდებარე ნაგებობები თავისთავად გამოვრიცხე. მისთვის არც სასოფლო-სამეურნეო მექანიზმებისა და შხამ-ქიმიკატების საწყობების დანვა უნდა ყოფილიყო უპრიანი, გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით დამრჩა ხუთი ფარდული, რომელთაც დანვა ემუქრებოდა. თანაც ყველა ისეთი იყო, პატრონის გარდა რომ არავის დაენახებოდა. სხვა საქმე იყო, თუ ხუთიდან რომელს აარჩევდა. მართალია, ამას მე არავინ მკითხავდა, მაგრამ ერთი სული მქონდა რამენაირად გამეგო მისი არჩევანი.

■ ■ ■

გავშალე რუკა და ნავშალე ყველა აღნიშვნა ხუთის გარდა. ავიღე სახაზავი, მრუდთარგი და გამოვთვალე დაშორება ჩემი სახლიდან ამ ფარდულამდე. გზა ზიგზაგებით მიუყვებოდა გორაკებსა და მდინარეებს, ამიტომ გა-

ზომვა ცოტა გამიჭირდა. საბოლოო ჯამში გაირკვა მანძილი - შვიდი კილომეტრი და ორასი მეტრი. გაზომვათა სიზუსტე რამდენჯერმე შევამოწმე, რათა შეცდომა გამომერიცხა.

სისხამ დილით, ექვს საათზე ჩავიცვი სპორტული კოსტიუმში, კედლები და გავედი სარბენად. ყოველდღე, დილა-სალამოს, ექვსეულ კილომეტრს დავბრბოდი, ამიტომ დიდი ჯაფა არ დამადგებოდა, თუ ჩვეულ დისტანციას ცოტას ნავუმატებდი. გზას ორი შლაგბაუმი კვეთდა, მაგრამ ძალზე იმეფიად კეტავდნენ. პეიზაჟსაც არა უშავდა. შინიდან გამოვედი და სანამ ინსტიტუტამდე მივალნევი, სტადიონს წრე დავარტყი, მერე სამი კილომეტრი ვირბინე გრუნტიან გზაზე, მდინარის გაყოლებით. პირველი ფარდული ამ მონაკვეთზეა. ამას მოსდევს კორომი, პატარა ალმართი და შემდეგ - მეორე ფარდული, რომლის სიახლოვეს იდგა თავლა დოლის ცხენებისათვის. სხვათა შორის, ცეცხლის დანახვაზე ცხენმა მოკლედ წრიალი იცის. მესამე და მეოთხე ფარდულები მოხუცი ტყუპებით ჰგავდნენ ერთმანეთს. მათ შორის მანძილი ორასი მეტრიც არ იქნებოდა. ორივე საკმაოდ ძველი და ჭუჭყიანი ჩანდა. ბოლო ფარდული რკინიგზის გადასასვლელის გვერდით, სადაც მეექვსე კილომეტრის ნიშნულზე იყო. სავესებით მიტოვებული ჩანდა. კედელზე "პეპსი-კოლას" თუნუქის სარეკლამო პლაკატი შემორჩენოდა. ეს იყო ნახევრად დანგრეული და პირდაპირ დასანვაად გამზადებული შენობა.

■ ■ ■

ცოტა ხნით შევჩერდი, სული მოვითქე. მერე გადმოვჭერი ლიანდაგი, დავადე თავი და უკან, შინისკენ დავეშურე. ოცდათერთმეტი წუთი და ოცდაათი წამი! დასაწყისისთვის არა უშავდა. შხაპი გადავივლე, ვისაუზმე და სანამ საქმეს შევუდგებოდი, მუსიკა ჩავერე. ქაფურის ხის მეტს ვერაფერს ვხედავდი.

მთელი თვე დავბრბოდი მონიშნულ მარშრუტზე, მაგრამ არც ერთ ფარდულს არაფერი დაშავებია.

ამან, ცოტა არ იყოს, დამაეჭვა. ინსპირაციას ხომ არ მიწყობს მეთქი, ვიფიქრე. მართლაც, აღმოდებულ ფარდულზე ისეთი ემხით მელაპარაკებოდა, თითქოს მიბიძგებდა, მაგულიანებდა, მაქებებდა. ერთი-ორჯერ თავში გამიღვავა: რალაზე ველოდო, როდის დანვავეს, ავდგები და თვითონ გავკრავ ასანთს, დიდი ამბავი, ერთი ჯაბახანა გინდ ყოფილა, გინდ არა.

მაგრამ სინამდვილეში ეს ხომ სისულელე იყო. ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ფარდულს არ დავნვაავდი. მას უნდა დანევა! უთუოდ სამიზნე შეცვალა, ან ვერ მოიცალა. ჩემი გოგოსგანაც არაფერი ისმოდა.

■ ■ ■

გავიდა შემოდგომა. დადგა დეკემბერი. დილის სუსხი ძვალრიბილში ატანდა. დაჭირხლული ფარდულები თავ-თავიანთ ადგილებზე იდგნენ. ზამთრის ფრინველები დატრიალებდნენ გაყინულ კორომს. სამყარო თავის წესზე ბრუნავდა.

■ ■ ■

შარშან, დეკემბრის შუა რიცხვებში, შობამდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდი. ყველგან საშობაო სიმღერები გაისმოდა, ქუჩები ბაზრებად იყო გადაქცეული. იმ დღეს ქალაქში ვიყავი ნასული საჩუქრების საყიდლად: ცოლს ნაცრისფერი სვიტერი ვუყიდე, ბიძამვილს - ვილი ნელსონის კასეტა

"საშობაო სიმღერით", უმცროსი დის შვილს - სურათებიანი წიგნი, დაქალს - ფანქრის ირმისფორმიანი სათლელი, ჩემთვის - მწვანე სპორტული მაისური. ნოგოდაკის კვარტალში მივდივარ, ერთი ხელი შალის პალტოს ჯიბეში მიდევს, მეორეში ქალაქის პარკი მიჭირავს. უცებ, გავიხედოთ და რას ვხედავ: მისი მანქანა! ეჭვი არ არის, ის ვერცხლისფერი სპორტული მანქანაა, აი, "სინაგავს" ნომერი, გვერდით, მარცხენა ფართან კი პატარა ნაკანრი აქვს. კაფეს წინ დგას. ბევრი ალარ მიფიქრია, ავდექი და შევედი.

■ ■ ■

ჩაბნელებულ კაფეში ყავის მძაფრი სუნი იდგა. მუსიკა გამაყრუებლად დგანდგარებდა. ისეთი სახე მივიღე, თითქოს ცარიელ ადგილს ვეძებდი, სინამდვილეში მას ვზვერავდი: ფანჯარასთან იჯდა, "კაფე ო-ლეს" სვამდა. ისეთი ბული იდგა, სათვალეები დამეორთქლა, მაგრამ ეტყობა, სიცხე მასზე არ მოქმედებდა, ქიშმირის პალტო ეცვა, ზემოდან კაშნი გადმოეშვა.

■ ■ ■

თავს ძალა დავატანე და მივედი. ალარ დაფუნყე, მანქანა დავინახე და ასე და ისე-ითქი. ვითომ შემთხვევით შევხვდი!

- შეიძლება? - ვკითხე.

- რა თქმა უნდა, დაბრძანდით! საუბარი არ აენყო. ცოტა გვექონდა საერთო თემები, მითუ-მეტეს, შევატყე, რალაცაზე იყო ჩაფიქრებული. ვცდილობდი თავი არ მომებზრებინა. ტუნისის პორტზე ჩამოაგდო სიტყვა, მომიყვა, როგორ იჭერენ კრევეტებს. ვერ ვიტყვი, რომ ზრდილობის გულისთვის მელაპარაკებოდა, მაგრამ არც ხალისი ეტყობოდა.

■ ■ ■

ოფიციალტს ხელი დაუქნია და რძიანი ყავა შეუკვთა.

- მართლა! როგორ არის ფარდულის საქმე? - ვიკითხე.

ლიმილი ტურის კუთხეებში ჩამალა.

- ფარდული? - დავნვი! ლამაზად, როგორც შეგპირდი.

- ჩემ სახლთან?

- დიახ, შენ სახლთან!

- როდის?

- კარგა ხანია. ათი დღე იქნებოდა გასული მას მერე, თქვენთან რომ ვიყავით.

მოვუყევი რუკისა და ყოველდღიური ორჯერადი გარბენების ამბავი.

- ... ამიტომ არანაირად არ შეიძლება, რომ გამოჩნდეთ.

- ოჰ, საინტერესოა! - წამოიძახა მხიარულად, - ბევრად გამუშავიათ! მაგრამ რად გინდა, გამოგრაფა. ზოგჯერ ასეც ხდება! ეტყობა იმდენად ახლოს იყო, რომ ვერ შენიშნეთ.

- ვერაფერი გამიგია!

ჰალსტუხი გაისწორა და საათს დახედა.

- ძალიან ახლოს! - გამიგორა, - ჩემი ნასვლის დროა, დანვრილებით იქნებ სხვა დროს გველაპარაკა? მაპატიეთ, კაცი მელოდება.

რალას ვეტყოდი. ადგა, სიგარეტის კოლოფსა და სანთებელას წამოავლო ხელი.

- ჩვენი მეგობარი გოგონა ხომ არ გინახავთ?

- არა, მას მერე არ შევხვედრით. თქვენ?

- არც მე. ვერ ვუკავშირდები. შინ არ მხვდება, ტელეფონი გა-

■ ■ ■

თიშული აქვს, პანტომიმის სკოლაში არ დადის.

- სადმე ხომ არ წავიდა? ადრე იცოდა ასეთი რამეები.

ჯიბეებში ხელეზნაწობილი იდგა.

- უკაპიკოდე?! თვენახევარია გასული, თანაც დეკემბერი!

- არ ვიცი, - ვუპასუხე.

პალტოს ჯიბეში თითები გაატკაცულა.

- დანამდვილებით ვიცი, არც ფული აქვს და არც მეგობრები ჰყავს. უბის წიგნაკი გავსებული აქვს მისამართებით, მაგრამ არავისთან არ მეგობრობს. თქვენი კი სჯეროდა - მართლა, არ გეპირფერებთ!

■ ■ ■

ისევ საათს დახედა.

- ახლა კი წავედი. იმედია, კიდევ შევხვდებით.

■ ■ ■

მას შემდეგ რამდენჯერმე კიდევ ვცადე გოგოსთან დარეკვა. სატელეფონო სადგურზე მითხრეს, ნომერი გამორთულიაო. შინ მივაკითხე, მაგრამ ვერაფრით დავადგინე, ისევ ცხოვრობდა თუ არა იქ. უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოვიხიე, ბარათი დავუნერე და კარზე დამაგრებულ ფოსტის ყუთში ჩავაგდე. პასუხი არ მიმიღია.

მეორედ რომ მივაკითხე, კარზე უკვე სხვა სახელი და გვარი ეწერა. დავაკაკუნე, კარი არავინ გამიღო. მეტი ალარ მიძებნია. ეს იყო თითქმის ერთი წლის წინათ.

■ ■ ■

ის გაუჩინარდა.

■ ■ ■


დილ-დილაობით ისევ დავრბივარ. დღემდე არც ერთი ფარდული არ დამენვარა. არათუ ჩვენთან, მთელს ოლქში არ ყოფილა რაიმე მსგავსი შემთხვევა. ისევ დადგა დეკემბერი, ისევ აწრილდნენ ზამთრის ჩიტები. მე კი ვბერდები. დრო და დრო, შუალამისას აღმოვებულ ფარდულზე ვფიქრობ.

■ ■ ■

■ ■ ■

■ ■ ■

■ ■ ■



კარლოს ფანტასი

როიტერის ფოტო

რუბრიკა 2X1-ის დღევანდელი, პირველი გამოშვება შესანიშნავ იტალიელ მწერალს, იტალი კალვინოს (1923-1985) ეძღვნება და როგორც ხედავთ, მას თანამედროვე მსოფლიო პროზის ორი ოსტატი, კარლოს ფუნტესი და უმბერტო ეკო "უძღვებიან".

რედაქცია

დაუსრულებლობის ხელოვნება

კარლოს ფანტასი

1985 წლის 18 სექტემბერს ჰარვარდის უნივერსიტეტში, ბოილსტონ-ჰოლში, ჩემს მაგიდასთან ვიჯექი და იტალი კალვინოს გარდაცვალების ცნობას ვკითხულობდი.

ალტაცებითა და საოცარი წინათგრძნობით იკითხება, თუმცა მირჩევნია, გავისხენო კალვინოს მეორე წინასწარმეტყველური წიგნი - "ლიტერატურული მანქანა", სადაც გამოჩენილი იტალიელი მწერალი მკაფიო მიჯნას ავლენს პოლიტიკასა და რომანს შორის.

მექსიკის ბუნება მიდრეკილია მინისძვრებისკენ. მინა იძრა, როდესაც ესპანელებმა აცტეკთა დედაქალაქი ტენოჩტიტლანი (1521 წელს) დაიპყრეს.

პოლიტიკისა და ლიტერატურის ნამდვილი მიზნები სხვაგვარია. კალვინოს თანახმად, პოლიტიკა საჭიროებს ლიტერატურას, როდესაც ლიტერატურა მხარს უჭერს იმ თვალსაზრისს, რომელსაც მხარდაჭერა სჭირდება, და სახელს არქმევს იმას, რაც ანონიმურია.

თი კრძალავდა რომანების წერას ან კითხვას და მეორეც, იმიტომ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის პირველი საუკუნის (ანუ მეცხრამეტე საუკუნის) განმავლობაში დაკავებული ვიყავით პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული და ესთეტიკური მოდელების გადმოღებით ევროპიდან, იმ მცდარი შეხედულების კარნახით, რომ ამ გზით დაუყოვნებლივ ვიქცეოდით დემოკრატიულ და პროგრესულ საზოგადოებად.

აქ შეიძლება კვლავ დავიმონმოთ კალვინოს თვალსაზრისი. მისი შეხედულებით, ლიტერატურა, როგორც ფასეულობითი მოდელი, "გვანვდის ენის, წარმოსახვის, ხედვის, აზროვნებისა და ფაქტების კორელაციის ნორმატიულ ნიმუშებს".

ნილია აბსურდული დიქტომია: პოლიტიკურად ანგაჟირებული ლიტერატურა versus ცოდვილი ხელოვნება ხელოვნებისათვის. ამგვარად, დიდწილად, კალვინოს დამსახურებაა, რომ ლათინურ ამერიკაში თავიდან ავირიდეთ ჭარბი სიმარტივის საფრთხე, რის შედეგადაც ლიტერატურას განვიხილავთ როგორც სოციალური და, ასევე, ესთეტიკური წინასწარჭვრეტის ექსპანსიას.

კალვინოს ნაწარმოებებში გაერთიანებულია, აგრეთვე, სილამაზე და ლიტერატურული წარმოსახვის საზღვრები. ის ფარული ღიმილით ცდილობდა შეექმნა იმ სამყაროს ლიტერატურული ხატი, რომელიც თვით ეძიებს თავის ხატს.

ჩვენს პირადი პოლიტიკური მრწამსისგან დამოუკიდებლად, არ ახორციელებს ენისა და წარმოსახვის ენერჯის შენარჩუნებას (თუმცა, დიქტატორები, მაგალითად, ჰიტლერი და სტალინი, ამ ორ ფასეულობას დიდ მნიშვნელობას როდი ანიჭებდნენ)?

თავის ფილოსოფიურ ზღაპრებში, ისევე, როგორც შესანიშნავ მოთხრობებში, კალვინო გვამცნობს, რომ არსებობს მავანი ჰიპოთეტიკური მკითხველი და ეს უკანასკნელი არა მარტო დღეს კითხულობს წიგნებს, არამედ - ხვალაც გააგრძელებს ამ საქმიანობას.

მკითხველს ეცოდინება ხვალინდელი დღე. ლიტერატურული ინტელექტის შესახებ ამ უკიდურესი და ფანტასტიური წარმოდგენის წყალობით კალვინომ შეძლო, შეემჩნია ჩვენი ცხოვრების მიყრუებული ნაწილი - ანუ ის ნაწილი, რომელიც აღწერას საჭიროებდა.

ში ასახვა ჰპოვა მწერლის დამოკიდებულებებმა სიყვარულის, წიგნების, მეგობრობის მიმართ. ნება მომეცით, უბრალოდ მივუთითო კალვინოს იუმორის გამოვლინებებზე, როდესაც ის გვიხატავს სტრუქტურალისტური რომანის წერით გატაცებულ იან ფლემინგს ან იტალიელი მწერლის მიერ ფრანგული "ახალი რომანის" ხერხების გამოყენებას ძუნძულით სირბილის დროს.

კალვინოს ნაწარმოებებში გაერთიანებულია, აგრეთვე, სილამაზე და ლიტერატურული წარმოსახვის საზღვრები. ის ფარული ღიმილით ცდილობდა შეექმნა იმ სამყაროს ლიტერატურული ხატი, რომელიც თვით ეძიებს თავის ხატს.

რათა მკითხველს იმედეები არ გაუცრუოს, კალვინო სთავაზობს მას თვითქმნადი წიგნის ფრაგმენტებს და მოუწოდებს შემოქმედებითი მუშაობისკენ.

ამგვარად, კალვინო უპირატესობას ანიჭებს დაუსრულებელ წიგნს, რომლის შესანიშნავი ნიმუშია "თუკი ზამთრის ღამით ყარინი...". "opera aperta"-ში კალვინო საშუალებას არ გვაძლევს გავიგოთ, როგორ დასრულდება წიგნი და გვთავაზობს კიდევ უფრო სანიამოვნო შესაძლებლობას, წარმოვიდგინოთ, როგორ არ დასრულდება ის, ესე იგი, როგორ შეავსებს წიგნი თავისთავს და როგორ კორელირებს თავისთავთან, მკითხველთან და სხვა წიგნებთან.

იტალი კალვინო გვინარჩუნებს სიცოცხლის ხალისს და ახორციელებს ამას უჩვეულო სიანცის გრძნობით, იუმორით. ყოველივე ეს იძლევა სულიერი სიჯანსაღის გარანტიას იმ სამყაროში, რომელიც შემზარავია და იგი გვზარავს კიდევ.

უმაბრტო აქო

კალვინოს ნანარმოებებს შორის ყველაზე მეტად მიყვარს "ხეზე ასული ბარონი". როგორც ერთგვარი ზნეობრივი და პოლიტიკური მანიფესტი, ის ყოველთვის წარმოადგენდა ჩემს სამაგიდო წიგნს. თუმცა, შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ მსჯელობა იმ ნანარმოებიდან მიღებული მორალური და პოლიტიკური გაკვეთილის შესახებ, რომელიც მისი გამოცემისას (1957 წ.) სწორედ არასაკმარისი პოლიტიკური ანგაჟირებულობის გამო გააკრიტიკეს. "ხეზე ასულმა ბარონმა" თავის დროზე ბევრი იტალიელი ინტელექტუალი ააღელვა, რადგან ის მკვეთრად განსხვავდებოდა ექვსი წლით ადრე დაწერილი, რეალისტური სულისკვეთებით გამსჭვალული "ორად გაჩხილი ვიკონტისაგან". ახალმა რომანმა გამოააშკარავა, რომ მწერალმა გვერდი აუქცია ობობათა ბუდეებისკენ მიმავალ ბილიკს და გეზი აიღო ფანტასტიკური პოეტისკენ, კოსმიკომიკური გალაქტიკებისკენ, უჩინარი ქალაქებისა და ზენონისეული ვარსკვლავური ტრაექტორიებისკენ.

დღეს ძნელი წარმოსადგენია, როგორ ატკინა გული "ხეზე ასულმა ბარონმა" იტალიელ მემარცხენე-

ასულმა ბარონმა" ჩემში გამოიწვია უფრო ფილოსოფიური, ვიდრე ესთეტიკური ხასიათის რეაქცია, რაც, ალბათ, ბევრს გააკვირვებს. ეს ნანარმოები აღვიქვი არა როგორც ფანტაზიის მშვენიერი ნაყოფი, არამედ - როგორც შესანიშნავი "ფილოსოფიური ზღაპარი".

ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების ახალგაზრდა ინტელექტუალებს (კომუნისტებსა თუ კათოლიკეებს) მოსვენებას არ აძლევდა საკითხი მორალური ვალდებულების შესახებ, რომელიც "ორგანული" უნდა ყოფილიყო მათი იდეოლოგიური ჯგუფისთვის. ახალგაზრდებს თავს ახვედნენ ზოგად მონოდებებს იდეოლოგიური მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად ინტელექტუალური ძალების გაერთიანების საჭიროების შესახებ. მხოლოდ ორმა პიროვნებამ წამოაყენა ინტელექტუალთა როლის განსხვავებული კონცეფცია. პირველი მათგანი იყო ელიო ვიტორინი, რომელიც მოგვიანებით კალვინოსთან თანამშრომლობდა "მენაბოში" (ამ გარემოში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა იტალიური ლიტერატურის კურსი სამოციან წლებში). 1947 წელს ვიტორინომ განაცხა-

კომუნისტური პარტიის წევრი იყო და არცთუ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოსცემდა დამოუკიდებელ გაზეთს "Il Politecnico". შემოსხენებული განცხადების შემდეგ ვიტორინი მუშათა კლასის მოლაპატედ მიიჩნინეს. "Il Politecnico" დაიხურა და მწერალი კარგა ხნით დადუმდა.

1955 წ. მე და ჩემი თაობის წარმომადგენლები გაგვიტაცა ნორბერტო ბობიოს წიგნმა პოლიტიკური ფილოსოფიის შესახებ. ეს იყო *Politica e Cultura*. ბობიოს მიერ ჩამოყალიბებული ზუსტი ტერმინების მიხედვით, იმ ინტელექტუალთა პროფილი, რომლებიც სწორად განსაზღვრავდნენ მათ ქვემარტ ვალდებულებებს, არ უნდა დამთხვეოდა ნებისმიერი ცალკეული ჯგუფის იდეოლოგიურ საფუძვლებს. ბობიოს საგანგებო ფილოსოფიურმა არგუმენტმა და ვიტორინის ლოზუნგმა ვერ განახორციელეს თავიანთი მიზანი. ეს მოხდა მოგვიანებით, "ხეზე ასულ ბარონში", რომელსაც ახასიათებდა იგავის დამაჯერებლობა, მითის ღრმა მიმზიდველობა, ზღაპრის ხიბლი და პოეზიის ნატიფი ძალმოსილება.

კალვინოს თავისი ხელნაწერიდან ამოშალა მორალისტური პასაჟები. კოზიმო პიოვასკო და რონდო არ მოძღვრავს მკითხველებს.

საჭიროა მისგან განკერძოება. ეს მახსენებს ერთ გამონათქვამს "ექვსი შენიშვნიდან მომდევნო ათასწლეულის შესახებ": პერსექსისეული ძალა ყოველთვის ვლინდება მარტოდენ რეალობისგან თავის მიზრუნებაში, მაგრამ არა მის უარყოფაში? მეორე მაგალითში (25-ე თავში) კოზიმოს ძმებს უკვირთ (თუმცა არ ცდილობენ ამ კითხვაზე პასუხის მოძიებას), რომ კოზიმოს გატაცება სოციალური საქმიანობით ერწყმის მის განკერძოებას საზოგადოებისგან.

კოზიმო გადაწყვეტს, მთელი თავისი ცხოვრება ხეზე გაატაროს და გაშორდეს მინიერ სამყაროს. ამასთან, ხეები მისთვის არ წარმოადგენს "სპილოს ძვლისგან აგებული კოშკს". ხეზე ასული კოზიმო ეზიარება უზენაეს სიბრძნეს. მალე დანახული ადამიანები ძალზე პატარებია და გვირს ყველაზე უკეთ ესმის იმ ბედშავი არსებების პრობლემები, რომლებიც განწირულნი არიან, ფეხებზე იარონ. თავის დროზე კოზიმო იძულებული იყო, აქტიური როლი შე-

მკვლევრისა და რევოლუციონერის ხედვებს.

ყოველივე ეს ჩემთვის ძალზე არსებითი იყო. მახსოვს, რომ მოგვიანებით, 1968 წლის სტუდენტთა გამოსვლების პერიოდში, მთხოვეს, განმესაზღვრა ინტელექტუალის როლი. მაშინ კალვინოს რომანი დავასახელებ ერთადერთი საიმედო სახელმძღვანელოს სახით. დავიმონმე რა კოზიმოს ნიმუში, აღვნიშნე, რომ ანგაჟირებული ინტელექტუალების უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს ხეებზე ცხოვრება და თანამოაზრეთაგან ჩამოშორება მათ მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების შენარჩუნების მიზნით. ინტელექტუალთა მოვალეობას არ წარმოადგენს მტრების წინააღმდეგ გამიზნული ლოზუნგების შემუშავება. ამჟამად ეს თვალსაზრისი პოპულარული არაა, მაგრამ ბევრი სტუდენტი, რომელიც მას უარყოფითად ეკიდებოდა, ახლა მუშაობს იტალიელ კონსერვატორთა ლიდერთან, ბერლუსკონისთან.



უმაბრტო აქო

საჰაპრო მანეჟრები

ებს, მაგრამ გავიხსენოთ, რომ იმავე ათწლეულში კომუნისტი ინტელექტუალი ლუკინო ვისკონტი გაკადნიერდა, აესახა "Senso"-ში არა მშრომელთა ცხოვრება, არამედ - მეცხრამეტე საუკუნის ორი მიჯნურის რომანტიკული და დეკადენტური ვნებები. ამ ფილმის გადაღების შემდეგ ვისკონტი თავიანთი რიგებიდან, ფაქტობრივად, გააძევეს ეგრეთ წოდებული სოციალისტური რეალიზმის დამცველებმა.

მინდა ავიხსნათ, როგორ მოხდა, რომ ოცდახუთი წლის ასაკში "ბარონის" ნაკითხვამ ეგზომ ძლიერი ზემოქმედება მოახდინა ჩემს შეხედულებებზე ინტელექტუალთა პოლიტიკური ანგაჟირებულობისა და მათი სოციალური როლის შესახებ.

მაგონდება, როგორ აღმაფრთოვანა ამ ლიტერატურულმა შედეგმა. მისი კითხვისას მეზმანებოდა ომბროზას მომავლადი ცეკვები, ძლევა მოსილად რომ ეშვებთან ზღვისკენ. რამდენიმე დღის წინ გადავიკითხე ეს წიგნი და კვლავ ვიგრძენი ოდინდელი სიამოვნება. კიდევ ერთხელ მომინადირა გამჭვირვალე სტილის ხიბლმა. კვლავ წარმოვიდგინე, როგორ მიძვრები ტოტიდან ტოტზე კოზიმოსთან ერთად და თანმიმდევრულად გარდავისახები ჯერ ოქროსფერ შარავანდედად, შემდეგ - ციყვად, გარეულ კატად, ბელურად, ალუბლად და ზეთისხილის ფოთლად. "ბარონის" სტილის შესახებ საუბრისას უნდა გავიხსენოთ კალვინოს ერთი გამონათქვამი ("ექვსი შენიშვნიდან მეორე ათასწლეულის შესახებ"), რომლის თანახმად, თურმე, კრისტალი, მისი მკაფიო წახნაგებთა და სინათლის გარდატეხის უნარით, მწერალს ყოველთვის ესახებოდა სრულყოფილების ნიმუშად და სიმბოლოდ.

ამასთან, 1957 წელს "ხეზე



ავაჰა ტაჰეჰლავაჰილის ნახატი

და, რომ ინტელექტუალებს არ უნდა დაეკრათ რევოლუციის ფლეიტაზე. ისინი არ უნდა ქვეუღიყვნენ მათი პოლიტიკური ჯგუფის პრეს-აგენტებად, არამედ კრიტიკულად უნდა გაეაზრებინათ მისი კონცეფცია. ვიტორინი იმ დროს

ის, უბრალოდ, განასახიერებს გარკვეულ მაგალითს. მხოლოდ ორჯერ გვთავაზობს რომანი მის შესაძლო მორალურ ინტერპრეტაციას: პირველად, როდესაც, კოზიმოს მტკიცებით (მე-20 თავში), საზოგადოების მართებულად აღსაქმელად

ესრულებინა მისი სამფლობელოს ცხოვრებაში. ის იქცა ცხოველების (რომლებიც მის მეგობრებსაც წარმოადგენენ, მისი საკვებისაც და სამოსისაც) ერთგვარ ღმერთად და, ამგვარად, მოახერხა ბუნების (ამ უკანასკნელის ხელყოფის გარეშე) კულტურად გარდახორციელება. კოზიმო თანდათან ერთვება არა მარტო მისი პატარა ტერიტორიის, არამედ - მთელი ევროპის სოციალურ ცხოვრებაში.

კოზიმო ცხოვრობს, როგორც ნამდვილი ველური, მაგრამ ის იქცევა განათლებულ ადამიანად; საზოგადოებისგან გარიყული, რევოლუციური ლიდერი ხდება. მაგრამ მას ყოველთვის ძალუძს, გააკრიტიკოს თავისი თანამოსაგრეები და ჰკარგავს მწუხარებისა და იმედგაცრუების განცდის (მისი კერპების სიჭარბის გამო) უნარს. კოზიმო ნიმუშია ანგაჟირებული ინტელექტუალისა, რომელიც არასოდეს უკრავს ფლეიტაზე ვინმესთვის, არამედ ამას სჩადის მხოლოდ კეთილგონიერებისა და სიბრალულის კარნახით.

კალვინოს თქმით, კოზიმოს ხასიათი იმითაა საინტერესო, რომ ის მიზანთრობი კი არაა, არამედ - მისი დროის პრობლემებში ჩართული ადამიანია. მწერალი შენიშნავს, რომ მარტობა და ძნელად ასატანი ახირებულობა წარმოადგენს პოეტის,

რატომ იყო ამ რომანიდან გამოტანილი გაკვეთილი ეგზომ დამაჯერებელი ჩემთვის? კალვინო განმარტავს ("ექვსი შენიშვნაში..."): "მორალური გაკვეთილები, ჩვეულებრივ, ძალზე მძიმეა, და ისინი, ვინც გვიტოვებს მათ დასამახსოვრებელ ნიმუშებს, ამას ძალდაუტანებლად, მსუბუქად ახორციელებენ". კალვინოს არამინიერი (მისი ბარონის მსგავსად) პროზა უწონადია. ის "უფრო ლალი და უფრო განმარტებადია ჰაერში, სადაც არავინ არაფერს წონის ან ალაგებს", როგორც ვერლენი იტყოდა. ან, კალვინოს სიტყვებით რომ დავსარულოთ, "მაშინ, როდესაც კაცობრიობას მისჯილი აქვს სიმძიმე, ვაპირებ, გაფრინდე (პერსექსის მსგავსად) სხვა სივრცეში - არ ვგულისხმობ ოცნებებში ან ირაციონალურის საუფლოში თავის დახსნას, არამედ - ჩემი თვალსაზრისის შეცვლას, სამყაროს ხილვას სხვა პოზიციიდან, სხვა ლოგიკის, აგრეთვე - შემეცნებისა და ვერიფიკაციის ახალი მეთოდების მეშვეობით. სიმსუბუქის შთაბეჭდილება, რომლისკენაც ვილტვი, არ გაუჩინარდება, როგორც თანამედროვე და მომავალი რეალობის ზეგავლენით გაფანტული ოცნებები".

აი, სწორედ ეს განახორციელა და მემკვიდრეობად დაგვიტოვა იტალიო კალვინომ.



იბალო კალვინო

დაუსრულებლობის
ხელოვნება

გვერდი 14-15

LE CITTA INVISIBILI